ეროვნული ბიბლიოთეკა

№277 (12 347) 27 ნოემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



# ცქიტიშვილი ეშმაკების ზარს ელოდება

2



# კლაუსს მოჭრილი ხელფასი აღარ ექნება

## ჯერ ქულები, მერე ფულები

ინტერვიუ
არჩილ არველაძესთან 2



# შანსი არის!

ინტერვიუ
გია გეგუჩაძესთან 3



# გრანდებმა ყენია და სირაძე ჩაინიშნეს?

უცხოურ პრესაში 3

წილისყრის შემდეგ და კალენდრის მოლოდინში

# დავიწყოთ იტალიით...

## საქართველომ საფრანგეთი და ესპანეთი გამოიწვია. კვიპროსის ტურნირი გამოირიცხა

მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის (ტურნირი 2008 წლის სექტემბერში იწყება) წილისყრის შემდეგ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კალენდრის დადგენაა. ამასთან დაკავშირებით, მეტოქეები რომში ან სოფიაში 10-15 იანვრის ფარგლებში შეიკრიბებიან. თავყრილობაზე **კლაუს ტოპმიოლერი** და მისი შტაბი კალენდრის საკუთარი გეგმით ჩავა. ამ გეგმის გარკვეული მონახაზები გავიგეთ და სწორედ ეს უნდა გაცნობოთ.

ახლახან დასრულებულ შესარჩევში საქართველოს ნაკრებს ივნისში ორი მატჩის გამართვა მოუწია და ორივე სტუმრად - ლიტვასა და საფრანგეთში. ამჯერად, ასე აღარ იქნება. ფიფას გადაწყვეტილებით, 2009 წლის ივნისში შესარჩევი მატჩები აღარ გაიმართება. თუმცა, ასევე ფიფას გადაწყვეტილებით, ივნისში მატჩების ჩატარება შესაძლებელია 2008 წელს, თუკი მეტოქეები ამაზე მოილაპარაკებენ.

ახლა, რაც შეეხება კალენდრის ჩვენეულ გეგმას. ფეხბურთის ფედერაციის სურვილია, შესარჩევი ციკლი დავიწყოთ იტალიასთან გასვლითი მატჩით და დავასრულოთ იტალიასთან საშინაო თამაშით. დაწყება კი, მაგრამ იტალიით დასრულება ცოტა უცნაურია. შესაძლოა, ტოპმიოლერი ფიქრობდეს, რომ "სკუადრა აძურა" ბოლო ტურამდე გაინაღდებს მუნდიალის საგზურს და თბილისში ნაკლები მოტივაციით ჩამოვა. დასაწყისს რაც შეეხება, ეს ლოგიკურია, რადგან ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იტალიელები, სავარაუდოდ, არ იქნებიან ოპტიმალურ ფორმაში. გავიხსენოთ, რომ ლიტვამ იტალიაში ქულა (1:1) სწორედ შესარჩევი ციკლის სტარტზე აიღო.

პარალელურად, მიდის მუშაობა ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზეც. აქამდე, გეგმაში იყო კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე (საიდანაც მიწვევა უკვე იყო) ასპარეზობა. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, საქართველო კუნძულზე აღარ ჩავა. მალტის ტურნირი კი, მოგეხსენებათ, 2008 წელს არ გაიმართება. რაც შეეხება ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილ თარიღებს, ფიფას მიერ შემდეგი დღეებია შერჩეული: 6 თებერვალი, 26 მარტი, 27 და 31 მაისი, 20 აგვისტო. ფეხბურთის ფედერაციიდან რამდენიმე ქვეყანაში უკვე გაიგზავნა ფაქსი სპარინგის გამართვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ადრესატი საფრანგეთიცაა. ასევე საუბარია ესპანელებთან თამაშზე. 20 აგვისტოს კი ტოპმიოლერს ერთ-ერთ ბრიტანულ ნაკრებთან სურს სტუმრად გაჯიბრება.

დავით ცაბაძე



2006 წლის 13 ოქტომბერი.
საქართველო-იტალია 1:3

# ყოჩები საქართველოს სამგზის ჩემპიონია



13

რაგბი მიხეილ მესხზე. ყოჩებმა ფინალში 15:9 დაამარცხა ლელო და საქართველოს ჩემპიონი გახდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მოსალოდნელი ტრანსფერი

# საუბარი ეშმაკებთან

## ცქიტიშვილს გერმანიაში ერთ კვირაში ელიან


ლევან ცქიტიშვილი

**ლევან ცქიტიშვილის** "კაიზერსლაუტერნში" გადასვლაზე მოლაპარაკება ლიტვასთან მატჩის შემდეგ უნდა დაწყებულიყო.

გუშინ გერმანულ ვებგვერდებზე ეს თემა კიდევ ერთხელ წამოიწია.

"კაიზერსლაუტერნის" ხელმძღვანელობა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ ლევან ცქიტიშვილთან აწარმოებს მოლაპარაკებებს".

"ცქიტიშვილი "კაიზერსლაუტერნისთვის" მართლაც დიდი შენაძენი იქნება. მას კლასი და გამოცდილება საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მინდორზე. შევეცდები ცქიტიშვილი დავარწმუნო, რომ "კაიზერსლაუტერნში" მისი გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა ეს საბოლოოდ მისი გადასაწყვეტია", - აცხადებს **კლაუს ტოპმიოლერი**.

"კარგი იქნება თუ ცქიტიშვილი "კაიზერსლაუტერნის" წინადადებას დათანხმდება. თუმცა ჩვენთვის ისიცაა ცნობილი, მას ინგლისიდან აქვს წინადადება", - ეს ნაწყვეტი "შპიგელში" მოვიძიეთ. ყოველივე ამის შემდეგ თავად ლევანთან დაკავშირება გადავწყვიტეთ.

"დასამალი რა მაქვს, "კაიზესრლაუტერნთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს. არ გამოვრიცხავ, რომ 1 დეკემბერს გავემგზავრო გერმანიაში, იქნებ უფრო ადრეც. სატელეფონო ზარს ველოდები იქიდან და ყველაფერს ამის მიხედვით გადავწყვეტ. თუ პირობებზე შევთანხმდებით ჩავალ და კონტრაქტს გავაფორმებ. საუბარია 2.5 წლიან თანამშრომლობაზე......

...მართალი გითხრათ ინგლისიდან რეალური წინადადება არ მაქვს. "შტურმის" ინტერესზე მეც გავიგე, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ "კაიზერსლაუტერნთან" ვაწარმოებ მოლაპარაკებას", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ლევან ცქიტიშვილმა.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ არჩილ არველაძესთან

# ტოპმიოლერს მოჭრილი ხელფასი აღარ ექნება

## ტყუპისცალის თამამი აზრები

არჩილ არველაძემ საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ ოთხ შესარჩევ ციკლში ითამაშა და ჩვენს ახლანდელ ეროვნულ გუნდზე სასაუბროდ მას მივმართეთ.

ეროვნული ნაკრები მართლაც ეროვნული საქმეა და მის ავან-ჩავანზე მხოლოდ მისმა მწვრთნელებმა, ფედერაციის მესვეურებმა და ჟურნალისტებმა არ უნდა იბჭონ.

ეროვნული ნაკრები ისეთი თემაა, რომ მასზე ყველამ გახსნილად, პირდაპირ უნდა ილაპარაკოს.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გასულ შესარჩევში, შვიდგუნდიან ჯგუფში მეექვსე ადგილი დაიკავა, მხოლოდ ფარერელ მეთევზეებს გადაუსწრო.

რა ზნე სჭირს ჩვენს უპირველეს გუნდს? არჩილ არველაძეს ამაზე ვესაუბრეთ.

**- თუ დაინახე რამე პოზიტიური 2005-07 წლების საქართველოს ეროვნულ ნაკრებში?**

- შედეგით, რა თქმა უნდა, ყველანი უკმაოფილო ვართ. გამოვარჩევდი იმას, რომ გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოჩნდნენ - ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და გიორგი მაკარიძე - მათი გამოყენება მომდევნო შესარჩევ ეტაპზეც შეიძლება.

**- და მიგაჩნია, რომ ეს იყო მთელი ორი წელიწადის პოზიტივი?**

- ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნაკრებში თავის გამოჩენის მეტი შანსი ჰქონდათ და ეს პოზიტიურად მიმაჩნია.

**- გუნდის თამაშის ხარისხის და კონცეფციის მხრივ თუ დაინახე რამე პოზიტიური?**

- განვლილ შესარჩევში არ ყოფილა თამაში, ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი რომ არ გამოკლებოდა. როცა ბირთვი არ იკვრება, მწვრთნელისთვის ძალიან ძნელია, გუნდისთვის დავალების მიცემა და ფეხბურთელებისთვის მწვრთნელის დავალების შესრულება. ბოლო ორ წელიწადში იყო რამდენიმე ისეთი თამაში, რომელშიც გუნდი ტაქტიკურადაც კარგად იყო მომზადებული და თამაშის ხარისხიც რიგიანი გამოდგა - ამხანაგური მატჩები ურუგვაისთან და თურქეთთან, უკრაინასთან სტუმრად, შოტლანდიათან და იტალიასთან შინ.

**- მწვრთნელის და ფეხბურთელის ურთიერთობაზეც ვთქვათ. იტალიასთან სტუმრად 0:2 წაგებული მატჩის შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა შეკრება თბილისში განაგრძო და კლაუს ტოპმიოლერმა შეკრებაზე მისული გიორგი ლომაია გუნდიდან გაუშვა იტალიასთან კურიოზულად გაშვებული გოლის გამო. რამდენად მისაღებად მიგაჩნია ურთიერთობის ასეთი ფორმა?**

- ზუსტად არ ვიცი, რა როგორ მოხდა. რა თქმა უნდა, არის განსხვავება გუნდიდან გაშვების ამა თუ იმ ფორმას შორის. თუ მწვრთნელი ლომაიას ცალკე არ დაელაპარაკა და შეკრებიდან, ყველას თვალწინ გაუშვა, შესაძლოა, იმის თქმა სურდა, რომ გუნდთან დასამალი არაფერი აქვს. მწვრთნელმა ფეხბურთელი გუნდიდან ცუდად არ უნდა გაუშვას. შეცდომის გარდა განვლილ შესარჩევში ლომაიას რამდენიმე მოგერიებული ძნელი ბურთიც გვახსოვს. მწვრთნელს უნდა შეეძლოს ფეხბურთელის გუნდიდან გაშვების უკეთესი ფორმის გამოძებნა.

**- და უთამაშებელ მეკარეს რომ აყენებს მწვრთნელი სასტარტოში და ისიც სტუმრად იტალიასთან, ამაში თვითონ მწვრთნელსაც არ ეკუთვნის პასუხისმგებლობა?**

- მწვრთნელმა ალბათ, იგრძნო კიდეც ასეთი პასუხისმგებლობა და ამიტომაც ასეთნაირად გადაწყვიტა პრობლემა.


1997 წელი. არჩილ არველაძე იტალიასთან მატჩში

**- ზოგი გულმოსულია ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელთა კრიტიკით, მათ შორის ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე თანამშრომელიც. კარგად უნდა გახსოვდეს, თუ როგორ აკრიტიკებდნენ ჩვენი ნაკრების ქართველ მწვრთნელს თუნდაც იტალიასთან სტუმრად მინიმალური ანგარიშით მარცხის გამო...**

- ერთ რამეს უნდა გავუსვა ხაზი - კრიტიკა იმისგან უნდა მიიღო, ვისგანაც ეს მისაღებია. ისე კი, ჩვენი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელები ახლა მართლაც გასაკრიტიკებელნი არიან, რადგან მათ განვრთნილ გუნდებს ცუდი შედეგი აქვთ. როცა ახალგაზრდული ნაკრები რუსეთს დაამარცხებს, შეაქებენ, როცა ყაზახეთთან წააგებს - გააკრიტიკებენ. ეროვნული ნაკრები ლიტვასთან აქაც და იქაც რომ წააგებს, გააკრიტიკებენ და აქ საწყენი არაფერი უნდა იყოს.

**- კლაუს ტოპმიოლერს დაცვაში ჰყავს კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი და ზურაბ ხიზანიშვილი, მაგრამ სამი მცველით თამაშს ვერ რისკავს. როგორია შენი აზრი ამ საკითხზე?**

- მე რომ მწვრთნელი ვიყო, გუნდს სამი მცველით ვათამაშებდი. ვთამაშობდი ჰოლანდიაში, ჩემი ტყუპისცალიც „აიაქსში" თამაშობდა და ცნობილ მწვრთნელებთან უმუშავია - კარგად ვიცი, თუ რას წარმოადგენს ჰოლანდიური, შემტევი ფეხბურთი და ასეთი სტილის მომხრე ვარ. მირჩევნია, უკეთესად შევუტიო, ვიდრე უკეთესად დავიცვა თავი. თუმცა, ყველას თავისი ხედვა აქვს.

**- ყოველგვარი ირონიის და ნიშნის მოგების გარეშე უნდა გკითხო - ლიტვასთან ერთი გამოკვეთილი ფორვარდით რომ ვითამაშეთ და ლევან მჭედლიძე ნახევარდავის მარცხენა ფლანგზე რომ იყო ჩამოწეული, ეს რას ემსახურებოდა? სირაძე-მჭედლიძის ფორვარდულმა ტანდემმა ხომ ჩინებულად ითამაშა შესარჩევის წინა შეხვედრაში შოტლანდიასთან...**

- საქართველოს ნაკრებისთვის არ შეიძლება ერთი ფორვარდით თამაში, რადგან ჩვენ არ გვყავს ისეთი შუახაზელები, რომლებიც ძალიან ძლიერები არიან შეტევაში და გოლის გატანაც ეხერხებათ. რატომ ითამაშა მჭედლიძემ ლიტვასთან მარცხენაფლანგელად? სიმართლე გითხრათ, ამას ვერ მივხვდი, გამიკვირდა მჭედლიძის ასეთი პოზიცია.

**- ნაკრების მიღმა დარჩა ალექსანდრე იაშვილი. რა არგუმენტებით გაუკეთებდი კომენტარს მწვრთნელის ასეთ გადაწყვეტილებას?**

- ჩემი ნება რომ იყოს, იაშვილს ისევ გამოვიძახებდი ნაკრებში და ფორვარდების უკან გავამწესებდი. მას შეუძლია ბურთის მიღება და შენარჩუნება, პასის შესრულება. ვფიქრობ, იაშვილი ნაკრებში თამაშის ღირსია.

**- რა ფეხბურთს თამაშობს საქართველოს ნაკრები ტოპმიოლერის ხელში, რა რეჟისურა, რა კონცეფცია აქვს გუნდს? შეგიძლია ამის ახსნა?**

- გამორჩეულ სტილს ვერ ვხედავ. თამაში თუ წაგვივა, ამის მიხედვით ვთამაშობთ.

**- გადაწყვეტილია, რომ კლაუს ტოპმიოლერი დამდეგ შესარჩევშიც საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელი იქნება. მომხრე ხარ ამ გადაწყვეტილებისა?**

- მისგან გაცილებით მეტს ველოდი. ახლა კი ის ველარ იტყვის,რომ რალაცრალაცეებში გარკვეული არ არის - ამის თქმის უფლება აღარ ექნება.

**- დამდეგ შესარჩევში ჩვენი ნაკრებისგან უფრო გუნდურ თამაშს ელი თუ მიგაჩნია, რომ გუნდი ისევ ცალკეულ ფეხბურთელებს დაეყრდნობა?**

- საქართველოს ნაკრებს ყოველთვის ჰყავდა ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც გუნდი ეყრდნობოდა. დაცვაში ახლა ასეთი ფეხბურთელები ნამდვილად გვყავს. რაც შეეხება ნახევარდაცვას, ლევან ცქიტიშვილი ალბათ კიდევ რამდენიმე წელი შეძლებს სანაკრებო დონეზე თამაშს - ის მაღალი კლასის ფეხბურთელია, უგუნდოდ მყოფი ნაკრების რამდენიმე მატჩში საუკეთესოც კი იყო. ვნახოთ, რამდენად მალე მომწიფდება ყენია იმისთვის, რომ ნაკრებში შეტევის წარმმართველი გახდეს. არა მგონია, მომდევნო შესარჩევში საქართველოს ნაკრებმა სტაბილური შემადგენლობით ითამაშოს, რადგან გუნდი ამისთვის მომწიფებული არ არის, - არ ჩანს ერთი თაობის ბევრი ფეხბურთელი ნაკრებში სტაბილურად რომ ითამაშებს.

**- ეს მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერც მწვრთნელის ფაქტორი ინება მეორე პლანზე...**

- როგორც შევიტყვე, ტოპმიოლერის ანაზღაურების ფორმა შეიცვლება. ჩვენი ნაკრების მწვრთნელები ხელფასს შედეგის, დაგროვილი ქულების მიხედვით მიიღებენ.

**დავით თავართქილაძე**

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის თვალით. ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

# ნუ ვიქნებით პესიმისტები, შანსი არის!

## არ არის გამორიცხული, იტალია პირველ ადგილზე ვერც გავიდეს

**გუშინ** საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე მოსახვედრად, ევროპის ზონის მერვე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს იტალიასთან, ბულგარეთთან, ირლანდიასთან, კვიპროსთან და დებიუტანტ ჩერნოგორიასთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. "გაგრის" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე სულაც არ თვლის, რომ კლაუს ტოპმიოლერის გუნდის საქმე წასულია, პირიქით, წილისყრამ ის იმედიანად განაწყო. თუმცა წარმატების მისაღწევად, გარკვეული წინაპირობების აუცილებლობასაც ხედავს...

**- ბატონო გია, რას ფიქრობთ წილისყრის შედეგებზე? კრისტიან კარამბეუს იღბლიანი ხელი ჰქონია თუ არა?**

- ორი აზრი არ არსებობს, ძალიან რთული ჯგუფია. ძნელია წინასწარ იმის თქმა, რა განლაგება იქნება ცხრილში ციკლის დასრულების შემდეგ. ცხადია, ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტია იტალია, მაგრამ გამოკვეთილი აუტსაიდერი კი არ ჩანს, ანუ ისეთი, როგორც ახლახანს ფარერები იყო. პირველი "სკუდრა აძურა" უნდა იყოს, ხოლო მეორე ადგილზე გასვლის შანსი თითქმის ყველას თანაბარი აქვს. ბულგარეთს ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ბევრით არ გვჯობია. იგივეს ვიტყვი ირლანდიაზეც. ბოლო დროს, კვიპროსი აშკარად გაძლიერდა და ძველებურად ხელწამოსაკრავი გუნდი აღარაა. საინტერესო გუნდი მგონია ჩერნოგორიაც.

**- მეორე ადგილისთვის ბრძოლაში შანსები თითქმის თანაბარიაო, თქვით. ჩვენი ნაკრებისგან ასეთი ნახტომი რეალური იქნება?**

- მოდით, ნუ ვიქნებით პესიმისტები. საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი გააჩნია და ეს უნდა ვირწმუნოთ. რა თქმა უნდა, დღევანდელი გადასახედიდან ეს ძნელი წარმოსადგენია. შესარჩევი ციკლი 2008 წლის ზაფხული-შემოდგომის მიჯნაზე დაიწყება. ანუ, კლაუს ტოპმიოლერს გუნდის მოსაღონიერებლად მაინცდამაინც დიდი დრო არ აქვს. არადა, მანამდე ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. შეიძლება, პარადოქსულად ჩანდეს, მაგრამ მიმაჩნია, ისეთი რთული ჯგუფი და მეტოქეებია, არ არის გამორიცხული, იტალია პირველ ადგილზე ვერც გავიდეს.

**- ჯგუფი რომ რთულია, ცალსახაა. ასევე შევთანხმდით იტალიის ფავორიტობაზეც. ერთადერთი, გაურკვეველი სუბიექტი ჩერნოგორიაა. თუმცა მასზე რაღაც წარმოდგენა შეგვიძლია იმითიც შევიქმნათ, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გასულ სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ექვსი ჩერნოგორიელი თამაშობდა...**

- ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს იქნება სერიოზული კერკეტი კაკალი. იტალიასაც კი უბრძოლველად არაფერს დაუთმობს. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, თავის დროზე ამ სახელმწიფოში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა საკმაოდ სოლიდურად გამოჩნდა: სერბეთი, ხორვატია, სლოვენია... ბოსნიამაც რამდენჯერმე გაიბრწყინა. და რამხელა ფურორი მოახდინა ახლახან ხორვატიამ?! ინგლისს სახლში ბევრი უგებს? და მაინც, ვიმეორებ: ჩვენ დიდი შანსი გვაქვს, რომ მეორე ადგილზე გავიდეთ. ასეთი თანაბარი ჯგუფის პირობებში ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

**- წელან ბრძანეთ, საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი გააჩნიაო. კონკრეტულად, როგორ წარმოგიდგენიათ მისი შესაძლებლობების გამოვლენა?**

- პოტენციალი მართლაც გვაქვს. მთავარია, შესარჩევი ციკლის დაწყებამდე რა სამუშაოს ჩაატარებს ტოპმიოლერი. მიმაჩნია, რომ ნაკრების გადახალისება, ახალი გუნდის ჩამოყალიბება ძალიან გვიან დავიწყეთ. როცა ცნობილი გახდა, რომ ჯგუფში საფრანგეთი და იტალია გვეყოლებოდა, ხომ ისედაც ცხადი იყო, რომ ეს პროცესი მაშინ უნდა დაგვეწყო? ასეთ შემთხვევაში, ახალ შესარჩევ ციკლს გაცილებით მომზადებული და ძლიერი ნაკრებით დავიწყებდით. ტოპმიოლერმა დანიშვნისთანავე თქვა, რომ მისი მიზანი საქართველოს ნაკრების 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გაყვანა იყო. ჯგუფი იოლი არაა, მაგრამ წინას მსგავსად, გამოკვეთილი ფავორიტები არ არიან. ბრძოლა ყველასთან შეიძლება. იტალიასთან მეტ-ნაკლებად რაღაც გამოგვდიოდა, ბულგარეთთანაც... ბრიტანელებთან თამაში რომ შეგვიძლია, ადრეც გამოჩნდა და ეს შოტლანდიასთანაც დადასტურდა. კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან ხომ ისედაც ვიბრძოლებთ... მთავარია, სწორი სელექცია, გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადება და მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსსაც გამოვიყენებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



გია გეგუჩაძე

დილა

# უცნაური გუნდი

**უცნაური** გუნდია „დილა". ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი წევრი, არათუ ჩემპიონობისთვის, ევროსაგზურის მოსაპოვებლადაც თითქმის არასდროს იბრძვის. გორელებს უმეტესწილად ლიგაში დასარჩენად უწევთ გარჯა და შეიძლება ითქვას უკვე განაფულნიც არიან როგორ არ უნდა „გავარდნენ" უმაღლესიდან. „დილა" მიმდინარე სეზონშიც იგივე პრობლემის გადასაჭრელად იბრძვის, პარალელურად კი თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი დაძლია. კიდევ ერთი უცნაური ჩვევა აქვთ შიდა ქართლელებს — ყველა წამყვან ქართულ გუნდთან ისეთ მატჩებს ჩაატარებენ, მაყურებელს მათი ნაშრომის წყალში ჩაყრა დაენანება, სატურნირო ცხრილის შუაგულში უპრეტენზიოდ მოთავსებულ გუნდებთან კი ხშირად სრულიად უიმედოდ მარცხდებიან.

„დილის" წლევანდელ მიზნებსა და ამოცანებზე ამ გუნდის გულშემატკივართა ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელ საბა სულთანიშვილს გავესაუბრეთ.

**— „დილა" ლიგის დატოვების საფრთხის წინაშე იდგა მაშინაც, როცა ფინანსურად უჭირდა და ახლაც, როცა ამ თვალსაზრისით აღარ უჭირს. ახლა რაღაა მიზეზი?**

— გასული სეზონის შედეგებით უმაღლესი ლიგის დატოვება გვიწევდა. ჩვენი იქ დარჩენა საბოლოოდ პირველ ტურამდე ცოტა ხნით ადრე გადაწყდა, იმ დროს უკვე აღარც უმაღლესისთვის შესაფერისი კონტიგენტი გვყავდა (ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი წასული იყო გუნდიდან), არც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ვიყავით მზად. განსაკუთრებით ფიზიკურად მოუმზადებლობამ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე დაასვა დაღი ჩვენს გამოსვლას.

**— არაერთ წამყვან კლუბთან დასანანი შეხვედრები დათმეთ, მათთან შედარებით სუსტებთან კი უიმედოდ დამარცხდით...**

— გეთანხმებით. კერძოდ, „ამერთან" სტუმრად და „ვიტ ჯორჯიასთან" შინ არ იყო წასაგები თამაშები. ალბათ, იმიტომ, რომ რაც უნდა დასუსტებული იყოს „დილა", ძლიერ გუნდებთან მუდამ თავგანწირვით იბრძვის. გარკვეულ როლი მსგავს შედეგებში ძლიერ გუნდებთან ჩვენს მიერ დაცვიდან თამაშმა შეასრულა, სუსტებთან კი სამი ქულის მოსაპოვებლად იმდენად დიდი მონდომებით გავდივართ, რომ შეტევებში გართულებს დაცვაში შეცდომები გვეპარება. თუმცა მე პირადად შემტევი ფეხბურთის მოყვარული გახლავართ და მირჩევნია „დილამ" სწორედ ასეთი ფეხბურთი ითამაშოს.

**— ლიგის აუტსაიდერებმა თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მეოთხედფინალის საგზურის განაღდება როგორ შეძელით?**

— ვერ ვიტყვი, თითქოს თასზე უფრო მოტივირებულნი ვიყავით, რადგან უმოტივაციოდ არც ჩემპიონატში გვიასპარეზია. თასზე ალბათ, უკეთ წაგვივიდა თამაში, შეიძლება ცოტა გაგვიმართლა კიდეც.

**— თასზე „მგლებთან" ჩატარებულ პრინციპულ პაექრობებში ზუგდიდში ფრე გაახერხეთ და შინ მოუგეთ, ამ შეხვედრათა შუალედში კი უკვე ჩემპიონატის მატჩში იგივე მეტოქესთან გორში საწყის 22 წუთში უკვე 0:3 აგებდით...**

— მე ვფიქრობ ამ სეზონის ყველაზე უარესი მატჩი სწორედ ეს იყო. მაშინ რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმის გამო გვაკლდა, წაგებული შეხვედრებიც ერთმანეთს იყო მიბმული და დებიუტშივე სამი ბურთით ჩამორჩენის ამოქაჩვა ველარაფრით შევძელით.

**— თავად ადრე ბომბარდირული თვისებებითაც გამოირჩეოდი, მიმდინარე სეზონში კი ჯერჯერობით მხოლოდ ფლანგებიდან სახიფათო ჩაწოდებებით და თანაგუნდელებისთვის საგოლე მომენტების შექმნით გვამახსოვრებ თავს.**

— ამჯერად ნახევარმცველის ფუნქციებს ვასრულებ, თუმცა ბუნებრივია გოლის გატანაზე უარს არასდროს ვამბობ... აქამდე საკუთარი თამაშით უკამყოფილო ვიყავი, რაც ჩემი აზრით არასრულფასოვანი მოსამზადებელი ეტაპის გამო მოხდა. დღესდღეობით საჭირო კონდიციები აღვიდგინე, იმედი მაქვს სულ მალე უკეთ და შედეგიანად ავთამაშდები.

**— ფეხბურთელთა დღევანდელი კონტიგენტით თუ არის „დილის" უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი?**

— აუცილებელია ყველა სათამაშო რგოლის გაძლიერება მეკარიდან დაწყებული თავდამსხმელებამდე. პირველი სიახლეები უკვე გვაქვს გუნდში მოსული ახალი, თუმცა გორელთათვის კარგად ნაცნობი ვანო ხორგუაშვილის სახით. მისი მუშაობა ჩემი აზრით სასიკეთოდ წაადგება „დილას"

**— როგორც გამოცდილი ფეხბურთელი ქვეყნის ჩემპიონატის დონის ვარდნას უფრო ხედავ, თუ ალმასვლას?**

— მცირედით, მაგრამ ვფიქრობ უფრო ამაღლდა ჩემპიონატის დონე და ეს პირველ ყოვლისა ფინანსურად ძლიერი კლუბების მომრავლების ხარჯზე. ბოლო სეზონში ჩემპიონობისთვის თითქმის ხუთი გუნდი იბრძოდა. ახლა უმთავრესი ფავორიტები „დინამო" და „ზესტაფონი" არიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ საჩემპიონო რბოლაში „ვიტ ჯორჯია" და „ამერიც" ჩაერევიან.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ლევან ყენია

ლეგიონერები

# სირაძე და ყენია გრანდების სამიზნეში?

**მსოფლიოს** 2010 წლის ჩემპიონატის წილისყრასთან დაკავშირებით, რუსულმა ინტერნეტ-სააგენტო "სოკერნიუსმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც საინტერესო ფრაზას მივაკვლიეთ: "*საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ დავით სირაძისა და 17 წლის ნახევარმცველ ლევან ყენიას გვარები უკვე იცის ევროპის ტოპხუთეულში შემავალი საფეხბურთო ლიგების მრავალმა სკაუტმა, და არა მარტო მათი. საქართველოს ნაკრებში კიდევ რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა. ისინი სხვადასხვა კლუბების ინტერესთა სფეროში არიან*".

ამის მეტი, ინტერნეტ-გაზეთში არაფერია დაკონკრეტებული - არც კლუბები, არც ქვეყნები. **ლევან ყენიას** შესახებ ისედაც ცნობილი იყო, რომ ქართული ფეხბურთის ტალანტით მრავალი კლუბი დაინტერესდა. რაც შეეხება **დავით სირაძეს**, მისი ამბავი უცნობი გახლდათ. დათომ ლიტვასთან მატჩამდე გვითხრა, რომ ზამთარში ხელახლა შეეცდებოდა "პოდერნბორნის" ხელმძღვანელობასთან დალაპარაკებას და იმის გარკვევას, თუ რამდენად სასურველი იყო კლუბში მისი დარჩენა. სირაძის კლუბი მეორე ბუნდესლიგაში დარჩენაზე ზრუნავს. იმედია, დათო მალე გამოჯანმრთელდება და მეორე წრისთვის მზადებას დროეულად დაიწყებს. ფაქტია, რომ ლიტვასთან მატჩში მომხდარმა მას გეგმები გვარიანად აურია.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XIX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა

# მინიმალური ცვლილებები

საგანგებო მდგომარეობისა და სანაკრებო დღეების გამო, ეროვნულ ჩემპიონატში პაუზამ თითქმის ერთ თვეს გასტანა. არ იყო გამორიცხული, რომ გასულ ტურს ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოეწვია, მაგრამ მატჩები ძირითადად, მოსალოდნელი შედეგებით დასრულდა და ლიდერთა შორის აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. გაცილებით საინტერესო პირველ წრის ბოლო ორი ტური უნდა გამოდგეს, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ცხადია, "დინამო"-"ზესტაფონის" მატჩია, რომელიც "შემოდგომის ჩემპიონს" გამოავლენს.

მანამდე კი "ზესტაფონმა" დამაჯერებლად მოიპოვა დაგეგმილი სამი ქულა, დინამოელებმა კი გაცილებით ნერვიული თამაში მოიგეს. "ლოკომოტივმა" მეორეადგილოსანს მედგარი ბრძოლა გაუმართა და მხოლოდ ბოლო წუთებზე მიღებული გოლით დასრულდა. "დინამოს" ტაქტიკასა და შემადგენლობაში ამ პერიოდს ცვლილებები არ შეუტანია.

ფეროელებმა კვლავ ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, როგორსაც ბოლო პერიოდში შეგვაჩვიეს – შემტევი და სანახაობრივი. მართალია, **თემურ მახარაძის** გუნდს მეტოქე არცთუ ანგარიშგასანევი ჰყავდა, მაგრამ ოთხი უპასუხო ბურთით გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში ალსანიშნავი ფაქტია.

ახალციხეში გამარჯვება "ამერის" აქტივში უნდა ჩაიწეროს. მართალია, გლდანელებმა ამით ლიდერებთან ჩამორჩენა ვერ შეამცირეს, მაგრამ თუ პირველ წრეში დარჩენილ მატჩებში **გიორგი ჩიხრაძის** შეგირდები ქულათა მაქსიმუმს მოიპოვებენ, ჩემპიონობის თეორიულ შანსს შეინარჩუნებენ.

სტაბილურობა არ დაუკარგავს "ვიტ ჯორჯიას", რომელმაც იმ ქალაქში იმარჯვა უპირობოდ, სადაც სხვებს წარმატების მიღწევა ძალიან უჭირთ. თუკი თასზე არცთუ სახარბიელოდ მისდით საქმეები, ჩემპიონატში ვეტერინარები შესანიშნავად გამოდიან და ცხრილის შუა და ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებთან დაკარგული ქულები რომ არა, პირველ ადგილზეც იქნებოდნენ. შეგახსენებთ, "ჯორჯიამ" პირველადგილოსან "ზესტაფონთან" სტუმრად ფრეს მიაღწია, მის მდევარ "დინამოს" კი ასევე გასვლით შეხვედრაში სძლია.

გასული ტურის დანარჩენი შეხვედრებიდან კი გამოსარჩევი ისაა, რომ სატურნირო ცხრილის "ოქროს შუალედში" "ბორჯომმა" და "ოლიმპმა" გაიმყარეს ადგილი. სამცხელებმა "სიონის" მეკარის უხეში შეცდომის წყალობით გაიმარჯვეს, წარმატების შანსი ჰქონდა "მერანს" რომელმაც საკმაოდ ხარისხიანი ფეხბურთი აჩვენა და არაერთი საგულე მომენტი ვერ გამოიყენა.

გორული დერბი საკმაოდ უსახური და მოსაწყენი გამოდგა. ფრე არც "დილასთვის" იყო მისაღები და არც "სპარტაკისთვის", ამ შედეგს მათი მდგომარეობა ოდნავადაც არ გამოუსწორებია. შეგახსენებთ, "დილას" ამ სეზონში პირველად უხელმძღვანელა **ზურაბ ხორგუაშვილმა.**

მთავარი ბრძოლები კი წინაა, 2007 წლის ბოლო ოფიციალურ მატჩებს საკმაო ბევრი ცვლილების მოტანა შეუძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## XII ტურიას სიმბოლური ნაკრები





პავლე დათუნაიშვილი (20) და ვიტ ჯორჯია დინამოს დამარცხების შემდეგ დღეს მალაროელის ძლევას შეეცდებიან

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება. ჯგუფური ტურნირი. VI ტური. წინათქმა

# გზა ჭიათურიდან მეოთხედფინალამდე

დღეს დავით ყიფიანის თასის ყველა მეოთხედფინალისტი გაირკვევა. მომდევნო ეტაპზე გასვლა რამდენიმე გუნდმა კარგა ხნის წინათ დაიბევა, დანარჩენები კი ამ ამოცანის გადაჭრას დღეს შეეცდებიან. ყველაზე საინტერესო დაპირისპირება ჭიათურაში შედგება.

### A ჯგუფი

**ამერი-სპარტაკი**

27 ნოემბერი. თბილისი. ამერი. 14:00

დისკვალიფიკაცია: **რ. გოცირიძე, დობროვოლსკი** (ამერი), **ძარია, თარხნიშვილი** (სპარტაკი)

**ტორპედო-მესხეთი**

27 ნოემბერი. ქუთაისი. ცენტრალური. 14:00

დისკვალიფიკაცია: **ზ. ჩხეტიანი** (მესხეთი)

როგორც ხედავთ, "ამერსაც" და "სპარტაკსაც" მეოთხედფინალი განაღდებული აქვთ, გლდანელებს ქვეჯგუფში პირველობისათვის გამარჯვება სჭირდებათ. მოგეხსენებათ, ოთხეულში პირველი საფეხურის დაკავება მეოთხედფინალში შედარებით ხელსაყრელ მეტოქესთან დაპირისპირების შანსს ზრდის. ჯგუფის მეორე მატჩი კი აბსოლუტურად არაფერს წყვეტს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-2 | 12 |
| 2. ამერი | 5 | 4 | 0 | 1 | 16-4 | 12 |
| 3. მესხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| 4. ტორპედო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-19 | 0 |

### B ჯგუფი

**მალაროელი-ვიტ ჯორჯია**

27 ნოემბერი. ჭიათურა. ცენტრალური. 14:00

**დინამო-ლოკომოტივი**

27 ნოემბერი. თბილისი. ეროვნული. 14:00

დისკვალიფიკაცია: **სპასოევიჩი** (დინამო)

მეოთხედფილალში გასასვლელად "დინამოს" ფრე ჰყოფნის და ძნელი წარმოსადგენია, უჰრინის გუნდმა უმოტივაციო მეტოქესთან ამ შედეგს ვერ მიაღწიოს. შეგახსენებთ, ჩემპიონატის გასულ ტურში "დინამომ" "ლოკომოტივს" ვაკეში 2:1 სძლია. "მალაროელმა" კი მთელი ჯგუფური ეტაპი მაღალ დონეზე ჩაატარა და სენსაციის მოსახდენად ერთი ქულა სჭირდება. "ვიტ ჯორჯია" სათასო შეხვედრებში ბოლომდე არასდროს იხარჯებოდა, მაგრამ დღეს ალბათ, საუკეთესო შემადგენლობით იბრძოლებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 2. მალაროელი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 10 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 0 | 2 | 12-6 | 9 |
| 4. ლოკომოტივი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-13 | 0 |

### C ჯგუფი

**ოლიმპი-ბათუმი**

27 ნოემბერი. რუსთავი. ფოლადი. 14:00

დისკვალიფიკაცია: **აკუასაგა** (ოლიმპი), **თოთლაძე, დარჩიძე** (ბათუმი)

**მერანი-ბორჯომი**

27 ნოემბერი. თბილისი. მერანი. 14:00

დისკვალიფიკაცია: **თევდორაძე** (მერანი), **შ. ჯიქია, ლ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი** (ბორჯომი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 2. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 3. ბათუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 4. მერანი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-2 | 5 |

ყველაზე დაძაბული მდგომარეობა ამ ჯგუფშია შექმნილი. "ბორჯომს" თავი უკვე ქუდში აქვს, დანარჩენ სამ გუნდს კი სამეოთხედფინალო შანსი შენარჩუნებული აქვს. "ოლიმპი"-"ბათუმის" წყვილში გამარჯვებული შემდეგ რაუნდში ავტომატურად გავა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რუსთავული მატჩი ფრედ დასრულდება და "მერანი" მოიგებს, შანსი თბილისურ კლუბსაც ექნება და დამატებითი მაჩვენებლების დათვლა გახდება საჭირო.

### D ჯგუფი

**ზესტაფონი-დილა**

27 ნოემბერი. ზესტაფონი. ცენტრალური. 14:00

დისკვალიფიკაცია: **საჯაია, ბ. გოცირიძე** (ზესტაფონი), **შატაკიშვილი** (დილა)

**კახეთი-მგლები**

27 ნოემბერი. თელავი. გ. ჩოხელი. 14:00

დისკვალიფიკაცია: **კუტალია** (მგლები)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დილა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| 2. ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 13-6 | 10 |
| 3. მგლები | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 4. კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-16 | 0 |

ამ კვარტეტიდან ორი საუკეთესო უკვე გარკვულია, თუმცა "ზესტაფონს" მოტივაცია არ დაუკარგავს – ფეროელებს პირველი ადგილის დასაკავებლად მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# აბრამიძე ნეფთჩიში ბრუნდება?

25 ნოემბრის ნილისყრის შემდეგ კვიპროსული ფეხბურთით უფრო მეტად დავინტერესდებით, ამ კუნძულის ნაკრები ხომ საქართველოს ეროვნული გუნდის მომავალი მეტოქეა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, მანამდე კი ორი ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელის და ერთი მწვრთნელის ამბავს შევიტყობთ, იქაურ A დივიზიონში მეათე ტურის მატჩები გაიმართა. გათამაშებას კვლავ **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" ლიდერობს ერთპიროვნულად. ფამაგუსტელებს 24 ქულა აქვთ და აპოელს ორით უსწრებენ. ბოლო ტურში ქართველი მწვრთნელის შეგირდები აელ-ს მასპინძლობდნენ და 3:1 მოუგეს. მეორე სეზონია თემურს გუნდში ქართველი ფეხბურთელი არ ჰყავს. **ლევან ქებაძის** "ახნასი" სწორედ ლიდერის მდევარ აპოელს ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. ვეტერანმა ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა. **ლევან მაღრაძის** "აპოლონმა" "ალკის" უმასპინძლა - 1:0. ამ შეხვედრაში ლევანს მონაწილეობა არ მიუღია. "აპოლონი" 19 ქულით მეოთხე ადგილზეა, ხოლო "ახნასი" 9 ქულით მეთერთმეტეა.

ერთი ტურიც და აზერბაიჯანშიც შეისვენებენ, შაბათ-კვირას ჩვენს სამეზობლოში მე-12 ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონატს მოულოდნელი ლიდერი ჰყავს, ბაქოს "ოლიმპიკს" 30 ქულა აქვს და უახლოეს მდევრებს, "ინტერსა" და "ხაზარს" 5-5 ქულით უსწრებს. აღსანიშნავია, რომ სამივე დაწინაურებულ გუნდში ქართველი ფეხბურთელი არ ირიცხება. ამ ტურში ერთი ქართული გოლი გავიდა - "ქარვანმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა "სიმურგი", ზაქათალელთა კარში ერთადერთი გოლი 55-ე წუთზე **რომან ახალკაცმა** გაიტანა. მატჩი კახში გაიმართა, სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში ორი ქართველი იყო: **ალექსანდრე ინწკირველი** და რომან ახალკაცი. რომანმა მატჩის 55-ე წუთზე **მარკუს ფერეირას** გრძელი პასი მიიღო, გოლკიპერთან ერთ-ერთზე გავიდა და გაიტანა. მატჩის 85-ე წუთზე გოლის ავტორი შეცვალეს.

"ბაქი" შინ დებიუტანტ აბნ-ს მასპინძლობდა და მოულოდნელად ვერ შეძლო გამარჯვება - 0:0. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და **ამირან მუჯირმა** სრულად ითამაშეს. გოგობერიშვილმა ორჯერ ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან კარს, ხოლო მუჯირის საჯარიმო დარტყმა სტუმართა გოლკიპერმა საოცარი ნახტომით კუთხურზე მოიგერია. მატჩის მიწურულს მუჯირი გააფრთხილეს.

ქართველთა "კაბალა" "მასალისთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა. **ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე** და **თორნიკე აფციაური** სასტარტოში იყვნენ. ეს უკანასკნელი **გიორგი გაბიდაურმა** 78-ე წუთზე შეცვალა. "სტანდარდი" "თურანის" შეხვედრაში (1: 1) არ უთამაშია მასპინძელთა ნახევარმცველ **ვლადიმერ უგრეხელიძეს**. ბაქოს "ნეფთჩიმ" ვერ შეძლო შინ "ყარაბახის" დამარცხება - 0:0, ერთი საგოლე მომენტი **გიორგი ადამიასაც** შეექმნა, თუმცა ქართველმა ფორვარდმა სტუმართა გოლკიპერს ვერ აჯობა. "ყარაბახის" შემადგენლობაში **ირაკლი** და **გოგა ბერაიებს** არ უთამაშიათ.

"ნეფთჩი" 24 ქულით მეოთხე ადგილზეა, "კაბალა" და "ბაქი" 18-18 ქულით მეექვსე-მეშვიდე ადგილებს იყოფენ. ერთი ქულით ჩამორჩება მათ "ყარაბახი" (მერვე) და სამით - "ქარვანი" (მეცხრე). "სტანდარდს" 11 ქულით მე-11 ადგილი უკავია.

ამასობაში აზერბაიჯანული მედია ავრცელებს ინფორმაციას თითქოს "ნეფთჩის" მწვრთნელ **ვლასტიმილ პეტრჟელას** გუნდში ქართველი მცველის **ვალერი აბრამიძის** დაბრუნება სურს. აზერბაიჯანულ ფეხბურთს უბრუნდება ყოფილი ფეხბურთელი **ბადრი კვარაცხელიაც**, ის "კაბალას" სამწვრთნელო შტაბში იმუშავებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დავით მუჯირი

# მუჯირი, ჩვენი კაცი არჩევნებში

ამ შემთხვევაში, პოლიტიკა და საპრეზიდენტო არჩევნები არ გვაქვს მხედველობაში. თუმც საქმე არჩევნებს ნამდვილად ეხება, მაგრამ საქართველოს ნაკრებისა და სამარის "კრილია სოვეტოვის" ფლეიმეიქერი პოლიტიკაში ჩართვას არ აპირებს. აქ სხვა არჩევნებზე გიამბობთ. რუსულმა გაზეთმა "სოვეტსკი სპორტმა" გუშინ გამოაქვეყნა პრემიერლიგის 30 საუკეთესო ფეხბურთელის სია, საიდანაც მკითხველებმა გამორჩეულები უნდა დაასახელონ.

ამ 30 მოთამაშის შერჩევის პრინციპი ასეთია: პირველ 16-ს პრემიერლიგის გუნდებიდან შეარჩევენ, დანარჩენ 14-ს გაზეთის სარედაქციო კოლეგია გამოავლენს. ჰოდა, გაირკვა, რომ "კრილია სოვეტოვში" საუკეთესო მაჩვენებელი **დავით მუჯირს** ჰქონია. ჩვენმა ლეგიონერმა სეზონში 26 მატჩი ჩაატარა, 9 გოლით "კრილიას" საუკეთესო ბომბარდირი გახდა, სეზონში 7 ყვითელი ბარათი მიიღო, მოედანზე კი საშუალოდ 67.3 წუთი დაჰყო. "სოვეტსკი სპორტმა" მუჯირს წლის საშუალო შეფასებად 5.62 ქულა არგუნა.

მშრალმა სტატისტიკამ შეცდომაში არ შეგიყვანოთ. გაზეთი ქართველ ნახევარმცველს საუკეთესოებში მისი მძიმე სეზონის გათვალისწინებით ასახელებს: "29 წლის დავით მუჯირის 9 გოლი აუტსაიდერ გუნდში ძვირად ფასობს, თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ მცირე სათამაშო დროს, რომელიც ქართველს ჰქონდა. 26 შეხვედრიდან მან მოედანზე პირველიდან ბოლო წუთამდე მხოლოდ ოთხ მატჩი ითამაშა.

"სოვეტსკი სპორტის" გამოკითხვაში მონაწილეობა გაზეთის ინტერნეტ-მისამართზე შეიძლება. მუჯირის კონკურენტები არიან ბრაზილიის ნაკრებისა და ცსკა-ს თავდამსხმელი **ვაგნერ ლავი**, რუსული ფეხბურთის ვარსკვლავი **რომან პავლიუჩენკო** და კიდევ ბევრი სახელოვანი ფეხბურთელია.

**მერაბ მამულაშვილი**

# გიგიაძე და კრივბასი ბევრს ითხოვენ?

## ჯაკობია მეტალისტიდან მიდის

ახტირკის "ნეფტიანიკში" არენდადამთავრებულ **ვასილ გიგიაძეს** კრივოი როგის "კრივბასი" არ ეშვება და სასურველ კლუბში გადასვლას არ ანებებს. ბოლო სამი ტურია, 30 წლის ქართველი ლეგიონერი "ნეფტიანიკში" აღარც თამაშობს. ბოლო ცნობებით, ლუგანსკის "ზარიაში" გიგიაძის გადასვლა გადაწყვეტილი ამბავი გვეგონა, მაგრამ მთლად ასე მარტივადაც არ ყოფილა საქმე. გაირკვა, რომ კრივოი როგის "კრივბასი", რომელსაც ქართველი თავდამსხმელის ტრანსფერი დღემდე ეკუთვნის, დაინტერესებულ კლუბს კვლავ დიდ თანხას სთხოვს. უკრაინის ჩემპიონატის მე-17 ტურის შემდეგ, "ზარიის" მთავარ მწვრთნელ **ალექსანდრე კოსევიჩს** ჰკითხეს - ბოლოს და ბოლოს, გიგიაძეს ყიდულობთ თუ არაო. აი, მისი პასუხი:

"ჩვენ გიგიაძის შეძენა ნამდვილად გვსურდა, მაგრამ "კრივბასი" საფასურად იმხელა თანხას ითხოვს, რომლის საშუალებაც დღეს ჩვენ არ გაგვაჩნია. ასეთი დონის თავდამსხმელს ჯერ ვერ შეიძენთ. თავად ვასილიც ბევრს ითხოვს, არადა, მისი დამატება ძალიან მინდა. მასთან ორი წელი კრივოი როგში ვიმუშავე და გარწმუნებთ, ასაკის მიუხედავად, უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. გიგიაძე ხარკოვის "მეტალისტში" რომ თამაშობდეს (პრესკონფერენცია "მეტალისტი"-"ზარიის" შეხვედრის შემდეგ გაიმართა - ავტ), ის ამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა. რიკუნისა და ედმარის გვერდით ის საკუთარ პოტენციალს აუცილებლად გამოავლენდა".

უკრაინული სააგენტო "სპორტი" კი იუწყება, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს, შესაძლოა, ხარკოვის "მეტალისტი" **ლაშა ჯაკობიამ** დატოვოს.

"საქართველოს ნაკრების ფორვარდს კლუბთან კონტრაქტი დეკემბრის ბოლოს უმთავრდება. ამას გარდა, ჯაკობია "მეტალისტის" ძირითად შემადგენლობაში მუდმივად ვერ ხვდება. ბევრი ფაქტორი გვაფიქრებს, რომ მისი მოქმედებებით მთავარი მწვრთნელი მირონ მარკევიჩიც არაა კმაყოფილი. ამასწინათ, მან განაცხადა კიდეც, რომ ზამთარში სატრანსფერო პრიორიტეტი ძლიერი თავდამსხმელის მოძებნა იქნება" - იუწყება სააგენტო.

თავად ჯაკობიამ კი გვითხრა, რომ "მეტალისტთან" კონტრაქტის გაფორმება თავად აღარ სურს და ძირითად შემადგენლობაში ამიტომაც აღარ ათამაშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**



ვალერი აბრამიძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ

# ბარსელონა ანრის გარეშე



ბარსელონელებს ფრანგი ვარსკვლავი დააკლდებათ

## E ჯგუფი

### შტუტგარტი–რეინჯერსი

გერმანიის მოქმედი და ალბათ ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ჩემპიონი „შტუტგარტი“ აბსოლუტურად უმტოვაციოდაა დარჩენილი, რადგან შვაბებმა ოთხივე თამაში წააგეს და მესამე ადგილზე გასვლის თეორიული შანსიც კი აღარ შერჩათ. **არმინ ფეეს** გუნდი რომ ბოლო ადგილზე გავა, ეს უკვე ფაქტია, მაგრამ საკითხავია, მოახერხებს თუ არა „შტუტგარტი“ ქულის ან ქულების მოპოვებას? შაბათს შვაბებს **მარიო გომესი** დაუშავდათ და მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, თუმცა თუ გამოჯანმრთელებას მოასწრებს, მწვრთნელი მას ათამაშებს კიდეც.

*„არავის დასვენებას არ ვაპირებთ. ჩვენ გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგას ღირსეულად, გამარჯვებებით გამოვეთხოვოთ. წამყვანი ფეხბურთელები რომ დავასვენოთ, დამნაშავეები ვიქნებით საკუთარი თავის, საერთოდ ფეხბურთის, ჩვენი გულშემატკივრებისა და „ლიონის“ წინაშე,“* – აცხადებს ფეე. „შტუტგარტის“ დამრიგებელი იმას გულისხმობს, რომ მისმა გუნდმა ეს თამაში რომ წააგოს და „რეინჯერსს“ 3 ქულა ჩაახუტოს, „ლიონსაც“ ცუდად ექნება საქმე. „შტუტგარტის“ ერთადერთი მოტივაცია ბუნდესლიგის რეიტინგისთვის ქულების შეგროვებაა. შეგახსენებთ, რომ „რეინჯერსმა“ გლაზგოში (პირველი ტური) „შტუტგარტი“ 2:1 დაამარცხა.

საავარაუდო შემადგენლობები

**შტუტგარტი**: რ. შეფერი, ბეკი (ან ტასკი), მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი, ჰიტცლშპერგერი, ხედირა, კაკაუ, გომესი.

**რეინჯერსი**: მაკგრეგორი, ჰატონი, უეირი, კუელარი, პაპაცი, ემდანი, ბიზლი, ბ. ფერგიუსონი, ტომსონი, მაკკალოხი, დარშევილი.

**მსაჯი**: დარკო ჩეფერინი (სლოვენია).

### ლიონი–ბარსელონა

„შტუტგარტთან“ ორი თამაშის მოგების შემდეგ, „ლიონს“ მერვედფინალში გასვლის შესანიშნავი შანსი გაუჩნდა და იმისათვის, რომ ეს შანსი არ დაკარგონ, ფრანგებმა „ბარსელონა“ უნდა დაამარცხონ. ან, თუ ვერ დაამარცხებენ, მაშინ „შტუტგარტმა“ უნდა ივაჟკაცოს „რეინჯერსთან“, რადგან ბოლო ტურში „ლიონი“ „რეინჯერსს“ სტუმრობს და ახლა მათ შორის სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა.

*„ერთი შეხედვით, ეს შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ შეუძლებელი არაფერია. დიახ, ჩვენ უნდა დავამარცხოთ „ბარსელონა“ და ზურგს ის გვიმაგრებს, რომ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ,“* – განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „ლიონის“ თავკაცმა **ალენ პერენმა**.

„ლიონს“ საკადრო პრობლემა აქვს: დიდი შანსია, რომ დღეს ვერ ითამაშოს **ქარიმ ბენზემამ**. საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გასულ შაბათს, „რენთან“ 2:0-ზე მოგებულ შეხვედრაში დაშავდა და მეორე ტაიმის დაწყების შემდეგ შესაცვლელი გახდა. გუნდის ექიმის, **ჟან-ჟაკ ამპრინოს** თქმით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბენზემამ „ბარსელონასთან“ თამაშისთვის გამოჯანმრთელება მოასწროს, მაგრამ მისი ასპარეზობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. თვითონ ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ გამოჯანმრთელებას მოასწრებს. სამაგიეროდ, „ლიონს“ ძირითადი მეკარე **გრეგორი კუპე** გამოუჯანმრთელდა. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი საფრანგეთის ჩემპიონატის დაწყებამდე დაშავდა და მას მერე ფრანგული გრანდის კარს **ვერკუტრი** იცავდა. მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რომ პერენი რისკზე ვერ წავიდეს და უთამაშებელ კუპეს ვერ ენდოს.

„ბარსას“ პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ დღეს კატალონიურ გიგანტს **ტიერი ანრი** ვერ დაეხმარება. ფრანგმა შაბათს, „რეკრეატივოსთან“ ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ კვირას მუხლში ტკივილმა შეაწუხა, რის გამოც **ფრანკ რიიკაარდმა** ის განაცხადში არ შეიყვანა - სხვათა შორის, ისევე, როგორც ტრავმირებული **ოლეგერი**. სამაგიეროდ, რიიკაარდმა „რეკრეატივოსთან“ **რონალდინიო** დაასვენა, რომელიც დღეს აუცილებლად ისასპარეზებს.

საავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი**: ვერკუტრი, რევეილერი, სკილაჩი, ანდერსონი, გროსო, ჟუნინიო, დოს სანტოსი, კალსტრიომი, გოვუ, ბენ არფა, ბენზემა.

**ბარსელონა**: ვიქტორ ვალდესი, პუიოლი, ტიურამი, მილიტო, აბიდალი, ჩავი, ინიესტა, ი. ტურე, მესი, გუდიონსენი (ან კრკიჩი), რონალდინიო.

**მსაჯი**: სტეფანო ფარინა (იტალია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 7-0 | 10 |
| 2. რეინჯერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 3. ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-8 | 6 |
| 4. შტუტგარტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-10 | 0 |

## F ჯგუფი

### დინამო–რომა

„მანჩესტერ იუნაიტედს“ მერვედფინალში თამაში უკვე განალდებული აქვს, ისევე, როგორც კიევის „დინამოს“ ბოლო ადგილი. მეორე ადგილისთვის კი „რომა“ და „სპორტინგი“ იბრძვიან, მაგრამ იტალიელებს უდიდესი უპირატესობა აქვთ, რადგან ლისაბონურ კლუბს სამი ქულით უსწრებენ. შესაბამისად, თუ „რომა“ დღეს კიევიდან 3 ქულას წაიღებს, „ჯალოროსი“ ავტომატურად გაიფორმებს მერვედფინალის საგზურს. იმ შემთხვევაში, თუ იტალიელები უკრაინის დედაქალაქში მხოლოდ ფრეს დასჯერდებიან, „რომა“ მაინც ინარჩუნებს ფლეი ოფში თამაშის განალდების შანსს – ასეთ შემთხვევაში „სპორტინგმა“ მანჩესტერში უნდა წააგოს, რაც ასევე ძალიან რეალურია. ერთი სიტყვით, ძალიან ცოტას თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ „რომა“ მერვედფინალში ვერ გავა.

იტალიელთა თავკაც **ლუჩანო სპალეტის** იმედი ჰქონდა, რომ გუნდის ლიდერი და კაპიტანი **ფრანჩესკო ტოტი** ამ მატჩისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებდა, მაგრამ ექიმებმა აცნობეს, რომ „დინამოსთან“ ტოტის თამაში უდიდესი რისკია. შესაბამისად, ფრანჩესკოს დღეს ისევ ჩერნოგორიელი **მირკო ვუჩინიჩი** შეცვლის. შეგახსენებთ, რომ ტოტის ტრავმის გამო უკვე დაახლოებით ერთი თვე გაუცდა.

საავარაუდო შემადგენლობები

**დინამო**: შოვკოვსკი, ელ ქადური, ფიოდოროვი, დიაკიტე, მარკოვიჩი, გუსევი, კორეა, გიოანე, ვაშჩუკი, როტანი, მილევსკი.

**რომა**: დონი, სისინიო, მექსე, ჟუანი, კასეტი, ჟიული, დე როსი, პიზარო, პეროტა, მანსინი, ვუჩინიჩი.

**მსაჯი**: ვოლფგანგ შტარკი.

### მანჩესტერი–სპორტინგი

„მანჩესტერი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც განვლილ ოთხ ტურში ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებმა მერვედფინალში თამაში უკვე გაინალდეს და დღევანდელ შეხვედრაში მათი მიზანი პირველი ადგილის განალდებაა. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მანკუნიანელები ზედიზედ მეხუთე თამაშს მოიგებენ. „სპორტინგი“ კი გადარჩენისთვის იბრძვის, მაგრამ შანსი იმისა, რომ პორტუგალიელებმა მერვედფინალში გაალწიონ და „რომა“ უკან მოიტოვონ, ძალიან მცირეა.

გარკვეულია, რომ პორტუგალიურ კლუბს დღეს თავდამსხმელი **იანიკი** ვერ დაეხმარება, რომელიც პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებში ასპარეზობისას დაშავდა. ამ უკანასკნელის შეცვლა **დერლეის** შეუძლია. გამორიცხული არ არის, რომ ფერგიუსონმა ერთი ან რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენოს.

საავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი**: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ნანი (ან კ. რონალდო), ქერიკი, ჰარგრივსი, სქოულზი, გიგზი, ტევესი.

**სპორტინგი**: სტოიკოვიჩი, აბელი, პოლგა, რონი, ტონელი, იზმაილოვი, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი,ველოსო, ლიდსონი, დერლეი.

**მსაჯი**: კლაუს ბო ლარსენი (დანია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 12 |
| 2. რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 3. სპორტინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 4. დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 3-12 | 0 |

## G ჯგუფი

### ცსკა–ეინდჰოვენი

მოსკოვის ცსკას მერვედფინალში გასვლის შანსი აღარ აქვს, მაგრამ არმიელებს ჯერ კიდევ შეუძლიათ მესამე ადგილისთვის და შესაბამისად, უეფას თასზე გადასვლისთვის ბრძოლა. „პსვ ეინდჰოვენს“ კი მხოლოდ მოგება სჭირდება იმისათვის, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნოს. ასე რომ, ამ მატჩში უდიდესი ინტრიგაა.

*„ჩემმა ბიჭებმა ძალიან კარგად იციან, რომ გულშემატკივრებს იმედები გაუცრუეს, მაგრამ ისიც ესმით, რომ ფანების თვალში რეაბილიტაცია შესაძლებელია და რომ ამისათვის გუნდმა მესამე ადგილი უნდა დაიკავოს. მე მიმაჩნია, რომ ცსკა-მ ჩემპიონთა ლიგაში წელს უფრო სანახაობრივი და გამართული ფეხბურთი აჩვენა. სხვა საქმეა ის, რომ ჩვენ ყველა შეხვედრაში ძალიან არ გაგვიმართლა, როცა ქულები ინდივიდუალური შეცდომების გამო დავკარგეთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამჯერად შედეგიც ისეთი იყოს, როგორც ჩვენ გვინდა,“* – ეს **ვალერი გაზაევის** სიტყვებია.

„ეინდჰოვენი“ რუსეთის დედაქალაქში კაპიტან **ტომი სიმონსის** გარეშე გაემგზავრა. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ 30 წლის ბელგიელი ცსკა-სთან თამაშს მოახერხებდა, მაგრამ მისი ასპარეზობა ბოლო მომენტში გამოირიცხა. ტრავმირებულია **მანუელ და კოშტაც**, რის გამოც, დღეს პსვ-ს კაპიტანი **კარლოს სალსიდო** იქნება. სამაგიეროდ, ლაზარეთიდან დაბრუნდნენ და თამაში შეეძლებათ **იბრაჰიმ აფელეისა** და **ჯეისონ კულინას**.

*„მოსკოვში ძალიან სერიოზული და დაუნდობელი მეტოქე გველოდება,“* – აცხადებს ჰოლანდიელთა ერთ-ერთი ლიდერი **დანი კუვერმანსი**, - *„ამას თან ისიც ერთვის, რომ რუსეთში უკვე ძალიან ცივა. პირველი მატჩისგან განსხვავებით, რომელიც 2:1 მოვიგეთ, მეტოქეზე ახლა უფრო მეტი რამ ვიცი. როგორც თავდამსხმელს, შემიძლია ვთქვა, რომ ცსკა-ს ძალიან ორგანიზებული და ძლიერი დაცვა ჰყავს, რაც არის კიდეც ამ გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი. მოსკოვიდან სამი ქულის წაღება ძალიან გაგვიჭირდება.“*

საავარაუდო შემადგენლობები

**ცსკა**: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, გრიგორიევი, დ. კარვალიო, დუდუ, კრაშიჩი, რახიმიჩი, ჟირკოვი, ჟო, ვაგნერ ლავი.

**ეინდჰოვენი**: გომეში, სალსიდო, აისატი, კრომკამპი, მარსელისი, კულინა, კუვერმანსი, ზონეველდი, ბაკალი, პერესი, ლაზოვიჩი.

**მსაჯი**: მეხუტო გონსალესი (ესპანეთი).

### ინტერი–ფენერბაჰჩე

„ინტერს“ ოთხიდან სამი მატჩი მოგებული აქვს, ერთი კი წაგებული. ეს ერთადერთი მარცხი „ნერაძურიმ“ სწორედ „ფენერბაჰჩესთან“ (პირველ ტურში) იწვნია. საკმარისია, „ინტერმა“ დღეს „ფენერი“ დაამარცხოს, რომ **რობერტო მანჩინის** შეგირდები მერვედფინალის საგზურს გაინალდებენ. ფლეი ოფში გასვლის ჩინებული შანსი აქვს „ფენერბაჰჩესაც“ – თურქები მესამე ადგილზე მყოფ „ეინდჰოვენს“ 4 ქულით უსწრებენ და შეგახსენებთ, რომ წინ კიდევ ორი ტურია. ასე რომ, თუ „ფენერი“ მილანში ფრეს მიაღწევს, ცალი ფეხით უკვე მერვედფინალში იქნება.

საავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი**: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, კივუ, ხ. ძანეტი, დაკური, კამბიასო, სოლარი, სუასო, იბრაჰიმოვიჩი (ან კრუსი).

**ფენერბაჰჩე**: ვოლქან დემირელი, ჩაქმაქი, თურაჩი, ედუ, რობერტო კარლოსი, აურელიო, ალექსი, თიუმერი, დეივიდი, ვედერსონი, შენთურქი.

**მსაჯი**: კონრად პლაუტცი (ავსტრია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 2. ფენერბაჰჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 3. ეინდჰოვენი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 4. ცსკა | 4 | 0 | 1 | 3 | 6-10 | 1 |

## H ჯგუფი

### სევილია–არსენალი

ლონდონის „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური ჯერ კიდევ სამი კვირის წინ გაიფორმა და ახლა მხოლოდ ერთი მიზანილა ამოძრავებს: ჯგუფში პირველი ადგილის განალდება. თუ „მეთოფეები“ სევილიიდან სამ ქულას წაიღებენ, ამ ამოცანასაც წარმატებით ამოხსნიან, მაგრამ „სანჩეს პისხუანზე“ გამარჯვება რომ ძალიან ძნელია, ეს ლონდონელებმაც შესანიშნავად უწყიან. რაც შეეხება ანდალუსიურ კლუბს: „სევილიას“ შესაძლოა ფრეც ეყოს მერვედფინალში გასასვლელად.

**არსენ ვენგერი** დღევანდელ მატჩში ბელორუს ნახევარმცველ **ალექსანდერ გლებს** ვერ დაიხმარს. ეს უკანასკნელი სანაკრებო შეხვედრაში დაშავდა. გლები სავარაუდოდ 21 დღე ვერ ითამაშებს. დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა **მეტიუ ფლამინის** ასპარეზობაც, რომელიც საფრანგეთის ნაკრებიდან მცირე ტრავმით დაბრუნდა.

საავარაუდო შემადგენლობები

**სევილია**: პალოპი, ჰინკელი, დრაგუტინოვიჩი, კაპელი, ფაციო, ხესუს ნავასი, პოულსენი, კეიტა, ადრიანო კორეია, ლუიშ ფაბიანო, კანუტე.

**არსენალი**: ალმუნია, კლიში, გალასი, კოლო ტურე, სანია, ებუე, დიარა, როსიცკი, დენილსონი, უოლკოტი, ადებაიორი.

**მსაჯი**: ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია).

### სტიაუა–სლავია

პრაღის სლავიას მერვედფინალში გასვლის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ სასწაულის თვითონ ჩეხ ფეხბურთელებსაც არ სჯერათ, თუმცალა ბოლომდე იბრძოლებენ. დღეს „სლავია“ იმ „სტიაუას“ სტუმრობს, რომელსაც ოთხივე თამაში წაგებული აქვს და 0 ქულით ბოლო ადგილზეა. პირველი თამაში, პრაღაში „სლავიამ“ 2:1 მოიგო. თავის მხრივ, რუმინელებსაც აქვთ მესამე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი.

საავარაუდო შემადგენლობები

**სტიაუა**: ზაპატა, რადა, გოიანი, ემეგარა, ნესუ, ნიკოლიტა, პეტრე, ნეაგა, დიკა, ლოვინი, ბადეა.

**სლავია**: ვანიაკი, ბრაბეცი, ჰუბაჩეკი, კრაიჩიკი, ვოლეშაკი, შმიცერი, პუდილი, შვეცი, ტავარესი, ივანა, ვლჩეკი.

**მსაჯი**: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-0 | 10 |
| 2. სევილია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-6 | 9 |
| 3. სლავია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-12 | 4 |
| 4. სტიაუა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-7 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# ინგლისელთა მეორე შანსი

## კაპელო მოლაპარაკებებს უარყოფს, თუ ბრიტანელებს შედეგი უნდათ, რეალის ყოფილი დამრიგებელი საუკეთესო კანდიდატიაო, წერს იტალიური პრესა...



ფაბიო კაპელომ გეზი ინგლისისაკენ აიღო?

**ფაბიო კაპელომ** უარყო ინფორმაცია, თითქოს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციასთან მართავდეს მოლაპარაკებას. იტალიელმა მწვრთნელმა არ დაადასტურა, რომ მას შეიძლება ინგლისის ნაკრები ჩააბარონ. კაპელოს განცხადება არ ნიშნავს, რომ საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილია. კაპელოს დანიშვნა სწორედაც რომ აქტუალური გახლავთ, თუმცა დონ ფაბიოს ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიუღია. *„ინგლისის ასოციაციასთან ურთიერთობა არ მქონია. ჩემთან არავის დაურეკავს. მათი დაინტერესების შესახებ გაზეთებიდან შევიტყვე. გაზეთები წერენ, რომ მე სამი კანდიდატიდან ერთ-ერთი ვარ... ესპანეთსა და ინგლისს არა ერთი ჩინებული ფეხბურთელი ჰყავთ. უცნაურია, რომ ამ ქვეყნების ნაკრებები ვერაფერს აღწევენ.“* კითხვაზე, როგორ უყურებს ნაკრებში მუშაობის პერსპექტივას, კაპელომ მიუგო: *„ნაკრები კლუბისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ასპარეზია. ნაკრებში ფეხბურთელებთან ყოველდღიურ მუშაობას მოკლებული ხარ. ამიტომ ტრადიციული საწვრთნელ პროცესსაც ვერ მართავ. ეს რთულია, მაგრამ საინტერესო.“*

პარასკევს ესპანურმა გამოცემამ „მარკამ“ კაპელოს სვეტი გამოაქვეყნა. ის მთლიანად ინგლისის ნაკრებისადმი იყო მიძღვნილი. გასულ ოთხშაბათს ხორვატიასთან სენსაციური წაგების გამო ინგლისელები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ. კაპელო გაკვირვებული კითხულობს, თუ როგორ მოახერხეს ვარსკვლავებით დაკომპლექტებულმა ინგლისელებმა საკვალიკაციო ტურნირის ჩაფლავება: *„ესაა კითხვა, რომელიც ყველა მწვრთნელს უჩნდება. მასზე პასუხი კი არავის აქვს. ინგლისსა და ესპანეთს უმდიდრესი ლიგები აქვთ. მათ ჩემპიონატებში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი, მაგრამ ნაკრებები სასურველი შედეგის მიღწევას ვერ ახერხებენ. ამ შესარჩევ ციკლში ინგლისის რამდენიმე თამაში ვნახე. მოსკოვურ მატჩში გუნდმა გოლი გაიტანა და მთელი დარჩენილი დრო დაცვაში გაატარა. ხორვატიასთან მატჩისას შეტევაში წავიდა, არადა ფრე სჭირდებოდა. ეს იყო ორი რადიკალურად განსხვავებული თამაში. ასეთ დროს მწვრთნელი ვალდებულია, უფრო მეტად ფსიქოლოგი იყოს, ვიდრე ტაქტიკოსი. ინგლისის გავარდნა მხოლოდ არასათანადო ფსიქოლოგიური მომზადებით შემიძლია ავხსნა...“*

იტალიელი მიმომხილველი **ანტონიო ლაბატე** კაპელოს მოსალოდნელ დანიშვნას ეხმაურება. მისი აზრით, დონ ფაბიო ის მწვრთნელია, რომელიც ინგლისს ყველაზე მეტად სჭირდება. კაპელოს ყოველთვის თან სდევს გამარჯვება. მწვრთნელმა „მილანში“, „რომაში“, „იუვენტუსსა“ და „რეალში“ (თანაც ესპანურ გრანდში ორჯერ ათწლიანი შუალედით) დაამტკიცა, რომ მისთვის მიუღწეველი სიმაღლე არ არსებობს. ლაბატეს აზრით, ის „ინტერშიც“ აუცილებლად მოიპოვებდა სკუდეტოს ცოტა რომ დაეცდიათ. მიმომხილველი კაპელოს **ჟოზე მოურინიოს** ადარებს. მისი აზრით, დონ ფაბიოს აქვს ხასიათის ყველაზე ის თვისება, რაც ინგლისის ნაკრებს სჭირდება. ის თავდაჯერებული სპეციალისტია. **სტივ მაკლარენს** ყველაზე მეტად საკუთარი ძალების რწმენა აკლდა. კაპელომ იცის, რა უნდა და ისიც ზუსტად იცის, როგორ მიაღწიოს მიზანს. კაპელომ დასუსტებულ და იმედდაგარკულ „რეალშიც“ კი გამონახა რესურსი საიმისოდ, რომ გუნდი ჩემპიონი გაეხადა. მან შეგირდები პრაგმატულად ათამაშა. „რეალმა“ გაიმარჯვა, მაგრამ არა შთამბეჭდავად. მწვრთნელს კარისაკენ მიუთითეს. ლაბატეს აზრით, ინგლისს ყველაზე მეტად შედეგი სჭირდება. გუნდს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალებში შორეული 1966 წლის შემდეგ არ უთამაშია. შეუძლებელია, ამ ნაკრებმა სანახაობა შედეგზე წინ დააყენოს. თუ ინგლისელებს სანახაობა სურთ, მაშინ ურჩევნიათ, ზდენეკ ზემანს გაუფორმონ კონტრაქტი, მაგრამ თუ შედეგი უნდათ, კაპელო უნდა დანიშნონო, წერს პოპულარული მიმომხილველი.

დონ ფაბიოს იტალიის ნაკრებში მუშაობის სურვილი არასოდეს გამოუთქვამს. უცხოურ ნაკრებებზე კი ყოველთვის ენთუზიაზმით საუბრობდა. ინგლისელებმა კაპელო პირველად 2000 წელს მოიკითხეს, იქამდე, სანამ **სვენ გორან ერიქსონს** დანიშნავდნენ. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ საფეხბურთო ასოციაციას კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, კონტრაქტი გაუფორმოს ლეგენდარულ სპეციალისტს. ფეხბურთში ბოძებულ შანსებს გამოყენება უნდა. ინგლისს ასეთი ვარიანტი შეიძლება აღარასოდეს ჰქონდესო, ასკვნის ანტონიო ლაბატე.

პალერმო

# საოცრება: ისევ გვიდოლინი!

ასეთი რამ მხოლოდ იტალიაში თუ შეიძლება მოხდეს. **ფრანჩესკო გვიდოლინი** „პალერმოს“ მთავარ მწვრთნელად ინიშნება. მაგრამ ეს მხოლოდ მშრალ ინფორმაციად დარჩება, თუ ისტორიას არ მოვუხმობთ. გუშინდელ მიმოხილვაში ვიწინასწარმეტყველეთ, რომ „იუვენტუსთან“ გამანადგურებელი (0:5) მარცხის შემდეგ, **სტეფანო კოლანტუონოს** კარისკენ მიუთითებდნენ. ცნობილია, რომ „პალერმოს“ პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინისთვის** მწვრთნელების ცვლა ერთგვარი ჰობია. და აი, მორიგი მსხვერპლიც: კოლანტუონო ტურინულ ფიასკოს შეეწირა.

ძამპარინი ამბიციური კაცია. ის თვლის, რომ „პალერმო“ ყოველთვის მოწინავეთა შორის უნდა იყოს, თუმცა ამის საფუძველი მაინცდამაინც დიდი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომაც ვერ შეეგუა ორთვიან მოუგებელ სერიას. მაგრამ მაინც არ გვესმის მისი ახალი არჩევანის და კიდევ უფრო არ გვესმის იმ მწვრთნელის, რომელიც მეოთხედ შედის ერთ მდინარეში. სწორედ გვიდოლინზე გვაქვს საუბარი. დიახ, ის მეოთხედ მიდის იმ გუნდში, საიდანაც სამჯერ დაითხოვეს და სამივეჯერ ამას სკანდალის სახე ჰქონდა. საინტერესოა, რომ გასულ სეზონში გვიდოლინი სულაც ორჯერ მივიდა გუნდში. ბოლო ტურებში მან კვლავ ჩაიბარა „პალერმო“, რომელსაც სეზონის დაწყებიდან ექვსი თვის განმავლობაში ავარჯიშებდა. შესაძლოა, აქ მწვრთნელის უპრინციპობასა და თავმოყვარეობაშიც დაეჭვდეს კაცი...

თუმცა რა ჩვენი საქმეა და, ბოლოს კოლანტუონოს პატარა კომენტარსაც შემოგთავაზებთ: *„არ მინდა, ეს კამათის საგანი გახდეს. ჩვეულებრივი ამბავია მწვრთნელის ცხოვრებაში და ამას უნდა შეეგუო. მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო კლუბს, რომელმაც შანსი მომცა. ვტოვებ გუნდს, რომელიც მეექვსე ადგილზეა“.*



ფრანჩესკო გვიდოლინი

აქ ბოლო სიტყვებია საყურადღებო. როგორც ჩანს, კოლანტუონო მეექვსე ადგილს წარმატებად მიიჩნევს. თუმცა ძამპარინის ამბიციები ხომ გაცილებით შორს მიდის...

მანჩესტერ სიტი

# ბაპტიშტა 8 მილიონად

## სვენმა ხორვატი დარიო შიმიჩიც მოიკითხა

„მანჩესტერ სიტიმ“ **ჟულიო ბაპტიშტას** ტრანსფერისათვის 8 მილიონი გირვანქა გაამზადა. ბრაზილიელი თავდამსხმელი მადრიდის რეალის საკუთრებაა. სამეფო კლუბს ის დიდი ხანია, აღარ სჭირდება. პაპტიშტამ შარშანდელი სეზონი არსენალში გაატარა. ზაფხულში „მეთოფეები“ მის შეძენას აპირებდნენ, მაგრამ მადრიდელთა მიერ მოთხოვნილი 10 მილიონი გირვანქას არ აღმოაჩნდათ. ბაპტიშტა „რეალში“ დაბრუნდა, თუმცა დროის უმეტეს ნაწილს თადარიგში ატარებს. მისი სათამაშო დრო ძალიან შეზღუდულია. თავდამსხმელს ახალ სამსახურში გადასვლა სურს.

„სიტის“ ბოსი **სვენ გორან ერიქსონი** დარწმუნებულია, რომ მისი ტრანსფერის შემთხვევაში, გუნდის თავდასხმას საგრძნობლად გააძლიერებს. სვენმა შეტევის ხაზის გარდაქმნისათვის სხვა არა ერთი ღონისძიებაც გაატარა. ზაფხულის ტრანსფერისას ერიქსონმა შემტევი ნახევარმცველი - **ელანო** და **მარტინ პეტროვი** შეიძინა. ბაპტიშტას მეორე ინგლისური კლუბი, „ტოტენჰემიც“ ეპატიჟება. „მამლების“ თავკაც **ხუანდე რამოსს** საიანვროდ ამბიციური გეგმები აქვს. გუშინვე იტალიურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია ჟულიო ბაპტიშტათი რომაელთა დაინტერესების თაობაზე. „ჯალოროსი“ „რეალს“ სოლიდურ თანხას შესთავაზებსო, წერს „გაძეტა დელო სპორტი“. ზაფხულში იტალიელებმა მადრიდიდან კიდევ ბრაზილიელი ლეგიონერი, **სისინიო** შეიძინეს.

აქვე კიდევ ერთი სატრანსფერო ინფორმაცია „მანჩესტერ სიტის“ ბანაკიდან. ერიქსონმა მილანელი მცველი **დარიო შიმიჩი** მოიკითხა. 32 წლის ხორვატი ვარსკვლავი როსონერის ძირითადში ვერ ხვდება. ცოტა ხნის წინ მას „იუვენტუსში“ გადასვლა უწინასწარმეტყველეს. ერთი თვის წინ შიმიჩი 3 მილიონი ევრო ღირდა. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ხორვატების ევროპის ჩემპიონატზე გასვლა თითოეული ფეხბურთელის, მათ შორის, შიმიჩის ფასს აწევდა.



ქარიმ ბენზემა ევროპული გრანდების თვალთახედვის არეშია

მილანი

# რონალდოს ბენზემა შეცვლისო...

## როსონერის ლიონელი თავდამსხმელის ხელში ჩასაგდებად დიდი ბრძოლა მოუწევს...

„მილანი“ იმ კლუბების რიცხვს შეუერთდა, რომელთაც ლიონელი თავდამსხმელის **ქარიმ ბენზემას** შეძენა სურთ. „კონტროკამპოს“ ცნობით, საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელი **რონალდოს** შემცვლელად განიხილება. ფენომენს იტალიური კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება. „როსონერის“ შეთანხმების გაგრძელების თაობაზე არაფერი უთქვამს. რონალდოს ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა. მან წონაში მოიმატა. ზედმეტი კილოგრამები ბრაზილიელი ვარსკვლავის განუყრელ პრობლემად იქცა. ფეხბურთელი მინდორს „კალიარისთან“ გასულ უქმეებზე გამართულ მატჩში დაუბრუნდა.

დავუბრუნდეთ ბენზემას, ის არა ერთი ევროპული გრანდის თვალთახედვის არეშია. „რეალმა“, „მანჩესტერ იუნაიტედმა“, „არსენალმა“ და „ინტერმა“ ფეხბურთელთან თანამშრომლობაზე დაიწყეს ფიქრი. ასეთმა ინტერესმა „ლიონს“ ფასის აწევის საშუალება მისცა. ბენზემას საწყისი ღირებულება 17 მილიონი გირვანქაა. აუქციონის პირობებში ფასმა შეიძლება რამდენიმე მილიონით მოიმატოს. ლიონელთა პრეზიდენტ **ჟან მიშელ ოლას** სწორედ ამის იმედი აქვს. აქვე გეტყვით, რომ ქარიმის ზემოთ ჩამოთვლილი გრანდები ლიონის მეორე ვარსკვლავს, **ჰატემ ბენ არფასაც** აკვირდებიან. ლიონის „ოლიმპიკი“ ყველა ღონეს ხმარობს, რათა ეს ფეხბურთელები მინიმუმ სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს.

და კიდევ ერთი ინფორმაცია „მილანიდან“. **კარლო ანჩელოტი** დაცვის გაძლიერებას აპირებს. ის ლივორნოელი **დარიო კნეჟევიჩით** დაინტერესდა. „როსონერიმ“ „ლივორნოს“ მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. 25 წლის ხორვატი ფეხბურთელი მისივე თანამემამულის, **დარიო შიმიჩის** შემცვლელად მოიაზრება. კნეჟევიჩის ტრანსფერი იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე უნდა განხორციელდეს.

### ანელკას დიდი მოთხოვნები აქვს

იანვრის ტრანსფერებისას **ნიკოლა ანელკა** იმ კლუბში გადავა, რომელიც მის შესაძენად და შემდეგ მრავალმილიონიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 40 მილიონ ევროს გადაიხდის. ამ ინფორმაციას პოპულარული ბრიტანული ტაბლოიდი „დეილი მირორი“ ავრცელებს. სპეკულაციების თანახმად, ფრანგი ფორვარდი „ჩელსისა“ და „მანჩესტერ სიტის“ სურთ. ამ კლუბების მესვეურები უნდა დაფიქრდნენ, უღირთ თუ არა 28 წლის ფეხბურთელში ამხელა თანხის დაბანდება. ანელკა დაინტერესებული კლუბებისაგან მინიმუმ სამწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვს. მინიმალური ანაზღაურება, რომელსაც ის დათანხმდება, წელიწადში 5.5 მილიონი ევროა. ნიკოლა „ბოლტონის“ საკუთრებაა. ბოლტონელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 21 მილიონი ევროს ითხოვენ.

### ვინ დაინიშნება კიევის დინამოში?

საფეხბურთო კლუბ „მოსკვას“ ყოფილი თავკაცი **ლეონიდ სლუცკი**, შეიძლება, კიევის დინამოში დაინიშნოს. ამ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. მათი მტკიცებით, სლუცკის სარფიანი კონტრაქტი 2+1 სისტემით შესთავაზეს. თანხმობის შემთხვევაში, კიეველები რუს სპეციალისტს წლიურად 1 მილიონ დოლარს დაუნიშნავენ. სლუცკი ერთადერთი კანდიდატურა არ არის. „დინამო“ **ოლეგ ბლოხინის** დანიშვნაზეც ფიქრობს. ბლოხინი უკრაინის ნაკრების დამრიგებელია. წარუმატებელი შესარჩევი კამპანიის მიუხედავად, მას გაშვებას არ უპირებენ. არც მწვრთნელს გამოუთქვამს სამსახურის შეცვლის სურვილი. არცთუ ურიგო შანსები აქვს კიეველთა დროებით თავკაც **ოლეგ ლუჟნის**. „დინამოს“ პრეზიდენტი **იგორ სურკისი** აქცენტს პოსტსაბჭოელ სპეციალისტებზე აკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გუტისთან

# როცა ნერვები დაძაბული გაქვს და თავი გიხურს, მშვიდად ვერ მოიქცევი

## სამეფო კლუბის ლიდერი დანაშაულს ინანიებს, თუმცა იმასაც ამბობს, რომ გაუთავებელი პროვოკაციები ყელში ამოუვიდა...



რობინიო, გუტი და რაული

„მურსიასთან" მატჩი ხოსე მარია გუტირესისთვის ორმაგად მტკივნეული აღმოჩნდა. ჯერ ერთი, რომ მისმა „რეალმა" პრიმერა დივიზიონის საშუალო დონის გუნდთან ორი ქულა დაკარგა. გარდა ამისა, არსოს წინააღმდეგ ჩადენილი უხეშობისთვის დაუდენ იბანიესმა გუტი წითელი ბარათით დასაჯა. მოედნის დატოვებისას სამეფო კლუბის მეორე კაპიტანმა ლაინსმენს მიაძახა, ქამელეონები და უსირცხვილოები ხართო. ლუის ლოპეს მუნიოსმა საფინალო სასტვენის შემდეგ იბანიესი უმალ საქმის კურსში ჩააყენა. მთავარმა არბიტრმა კი დაუყოვნებლივ შესაბამისი დოკუმენტი შეადგინა და ფურცელი ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს ჩააბარა. მოარული ხმების თანახმად უახლოეს დღეებში გუტის ორმატჩიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიან. საგულისხმოა, რომ ინციდენტიდან 48 საათის გასვლის შემდეგ ხოსე მარიამ „დირაიო ასს" ინტერვიუ მისცა და საკუთარ საქციელი მოინანია.

**- მურსიული უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ ორი დღე გავიდა. ძალიან მაინტერესებს, ამ შემთხვევაზე თუ ფიქრობდით?**

- რა თქმა უნდა. ძალიან ბევრი ვიფიქრე. საკუთარ თავთან მარტო ვიყავი და განუწყვეტლივ ვფიქრობდი. ცივი გონებით განსჯისას მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. რა თქმა უნდა, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. სამწუხაროდ, ნერვებმა მიმტყუნა. ვაღიარებ, მეტი პასუხისმგებლობა მმართებდა. მზად ვარ ბოდიში მოვიხადო. გულშემატკივრებს, კლუბის ხელმძღვანელობას, მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს პატიებას ვთხოვ.

**- თვითკრიტიკულობა მას შემდეგ აღმოგაჩნდათ, რაც წაიკითხეთ, რომ პრესამ თქვენი საქციელი გუტის მორიგ გამოხდომად და ბავშვურ ცელქობად შეაფასა?**

- ასეთ სიტუაციაში მხოლოდ კრიტიკაზე არ ფიქრობ. სხვათა შორის, თვითკრიტიკულობა არასოდეს მაკლდა. ვაღიარებ, რომ ყოველთვის მეტისმეტად ემოციური ვიყავი. მიჭირდა და ალბათ, ახლაც მიჭირს მოვლენებს მშვიდად შევხვდე. მოდით ასე ვთქვათ, მე ცხელსისხლიანი ფეხბურთელი ვარ და ხშირად არ შემიძლია, მოვლენები ცივსისხლიანად შევაფასო. არ ვამბობ, რომ ეს კარგია და საკუთარ თავზე მუშაობა არ მჭირდება. უბრალოდ, როცა მოედანზე გავდივარ და „რეალის" ღირსებას ვიცავ, აზარტში შევდივარ და კონტროლს ვკარგავ. ალბათ, ამის გამო ჩავარტყი არსოს და შემდეგ მსაჯებს შეურაცხყოფა მივაყენე. აქვე მოგახსენებთ, რომ მურსიელმა პროვოკაცია მომიწყო. სამწუხაროდ, სულელურად წამოვეგე და გუნდი დავაზარალე.

**- ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც არსომ ძალიან მტკივნეულად ჩაგარტყათ ფეხში. მოწინააღმდეგეთა უხეშობა ყელში ამოგივიდათ?**

- რა თქმა უნდა. კარგია, რომ არსოს უხეშობა თავად აღნიშნეთ. თუმცა ჩემს საქციელს ეს მაინც არ ამართლებს. არ ვიცი გამიგებთ თუ არა, მაგრამ გაუთავებელი ჩარტყმებით, უხეშობითა და საზიზღარი პროვოკაციებით ძალიან იღლები. თუნდაც იგივე „მურსიასთან" მატჩი ავიღოთ, შეხვედრის მსვლელობისას უამრავჯერ ჩამარტყეს ფეხში, მაგრამ მსაჯს ყვითელი ბარათის ჩვენება აზრადაც არ მოსდიოდა. ყელში ამომივიდა და გავაკეთე ის, რაც გავაკეთე. მერწმუნეთ, როცა ნერვები დაძაბული გაქვს და თავი გიხურს მშვიდად ვერ მოიქცევი.

**- გასაგებია, მაგრამ ერთადერთი არ ხართ ვისაც ფეხებში ურტყამენ და წითელ ბარათსაც არავის უჩვენებენ. მსგავსი პრობლემა სხვასაც არაერთხელ შექმნია, მაგრამ თქვენგან განსხვავებით ძალიან მშვიდად იქცევიან. საინტერესოა, ნერვები ასე იოლად რატომ გეშლებათ?**

- იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე თამაშში ვარ ჩართული და აზარტში გახლავართ ჩაფლული. არ ვიცი, ასეთ დროს სხვა რას გრძნობს, მაგრამ მე მხოლოდ ამ აზარტით ვცოცხლობ. რა თქმა უნდა, საფინალო სასტვენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ვმშვიდდები და მოვლენებს საღი გონებით ვაფასებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თავს არ ვიმართლებ. აუცილებელია, რომ ნერვების გაკონტროლება შევძლო. ბოდიშს ვიხდი.მზად ვარ, ეს იმდენჯერ გავიმეორო, რამდენჯერაც საჭირო გახდება. ისღა დამრჩენია, საზოგადოების შემწყნარებლობის იმედი ვიქონიო და ძალიან ბევრი ვიმუშაო იმისთვის, რომ საუკეთესო კონდიციებს მივაღწიო, შემდეგ კი სასურველი ფორმა შევინარჩუნო.

**- მიგაჩნიათ, რომ საუკეთესო კონდიციებამდე ბევრი არ გიკლიათ?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კარგად ვთამაშობ. კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო დრო მიდგას. გუნდთან შესანიშნავად ვარ შეთამაშებული. მწვრთნელი უსიტყვოდ მენდობა და ძირითადში სტაბილურად მათამაშებს. რაც მთავარია, გულშემატკივრები მაღმერთებენ. მათი მხრიდან უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ. მთავარია, პროგრესის გზით სიარული არ შევანელო. მჯერა, გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია. ამას აუცილებლად დავამტკიცებ.

**- „მურსიასთან" მატჩს როგორ შეაფასებთ? ძნელი მისახვედრი არ არის, რომ გასვლით პაექრობაში ორი ქულის დაკარგვას არ გეგმავდით...**

- ამის მიხვედრა ძნელი მართლაც არ არის (იცინის). ეს შეხვედრა მწვრთნელმა შესანიშნავად შეაფასა. ჩვენ უკმაყოფილოები დავრჩით. სხვათა შორის, არა იმდენად შედეგით, რამდენადაც თამაშის ხარისხით. არ იფიქროთ, რომ ფრე ჩვენთვის რაიმენაირად მისაღები იყო, უბრალოდ გაცილებით მტკივნეული ცუდი თამაში გამოდგა.

**- „ბარსელონას" სულ რაღაც ორი ქულითღა უსწრებთ. არადა, კატალონიური გრანდის კრიზისზე ძალიან ბევრს საუბრობენ. რეალურად კი განსხვავება მხოლოდ ორ ქულაშია. ფაქტია, სამეფო კლუბმაც მრავალი ქულა გაფლანგა.**

- მთავარია, რომ ჩვენ კვლავ ლიდერები ვართ. რა თქმა უნდა, ვწუხვარ, „ბარსელონამ" სხვაობა რომ შეამცირა, მაგრამ როგორც ყოველთვის ყველაფერი ისევ და ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. ალბათ, ძალიან ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ ღრმად მწამს, ჩემპიონები ჩვენ გავხდებით.

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

რეალი

# ინგლისელებს შუსტერის გადაბირება უფასოდაც შეუძლიათ

## თუმცა გერმანელ სპეციალისტს სხვა გეგმები აქვს: ჩემი წასვლის შანსი ნულის ტოლია


ბერნდ შუსტერის გარშემო სპეკულაციების ახალი ტალღა აგორდა

გასული კვირის მიწურულს, „დიარიო მარკაში" სენსაციური ინფორმაცია გაჩნდა. კერძოდ, დაიწერა, რომ **ბერნდ შუსტერს** ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გენერალური დირექტორი **ბრაიან ბერვიკი** დაუკავშირდა და **სტივ მაკლარენის** გადაყენების შედეგად გაჩენილი მთავარი მწვრთნელის ვაკანტური თანამდებობა შესთავაზა. ბუნებრივია, ასეთი ხმაურიანი ინფორმაცია დისკუსიის გარეშე ვერ ჩაივლიდა. იმავე „დიარიო მარკამ" სამეფო კლუბის ხელმძღვანელობისგან ბერნდ შუსტერის კონტრაქტის ის პუნქტები მოიპოვა, რომელიც საჯაროა და კონფედენციალურ ელემენტებს არ შეიცავს. როგორც გაირკვა, გერმანელ სპეციალისტს „სანტაიგო ბერნაბეუდან" აზარგებისთვის სრული თავისუფლება გააჩნია. რას ნიშნავს ეს? იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლუბის ან ფედერაციის ხელმძღვანელი ჰერ ბერნდის გადაბირებას მოისურვებს მადრიდის „რეალს" კომპენსაციის სახით ერთ ევროსაც არ გადაუხდის. ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ დედაქალაქური გრანდის შეფები ასეთი ყაიდის შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას დათანხმდებოდა. გამოდის, სამეფო კლუბი აბსოლუტურად დაუცველია და მისი თავკაცის ბედი მხოლოდ და მხოლოდ მთავარი მწვრთნელის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. **რამონ კალდერონისთვის** საბედნიეროდ ირკვევა, რომ შუსტერს „სანტიაგო ბერნაბეუდან" წასვლა არ სურს: *„ინგლისის ნაკრები ბოლო წარუმატებლობის მიუხედავად, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდია. ამის გათვალისწინებით, ბრიტანელთა შემოთავაზება, რა თქმა უნდა, საამაყოა, მაგრამ „რეალიდან" წასვლის და ინგლისის ეროვნული გუნდის გაძღოლის შანსი ნულის ტოლფასია. იმედია, არავინ მიწყენს, მე სწორედ სამეფო კლუბში მსურს მუშაობა და ტრიუმფალური გამარჯვებების მოპოვება. წინ დიდი ამოცანები გველის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მიმდინარე სეზონში პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვოთ. ამ პირობებში სხვა საფეხბურთო წრეების შემოთავაზების ზერელე მოსმენისა და განხილვის მორალური უფლებაც კი არ მაქვს. მთლიანად „რეალზე" ვარ კონცენტრირებული. გამომდინარე იქიდან, რომ ევროპულმა საინფორმაციო სააგენტოებმა ინგლისელთა სურვილი საქვეყნოდ გაახმაურეს, თავი მოვალედ ჩავთვალე საჯარო განცხადება გამეკეთებინა და ბრიტანელები აბსოლუტურად მთელი მსოფლიოს გასაგონად უარით გამესტუმრებინა. მორჩა, ეს თემა ამოწურულია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ბერნდ შუსტერის წასვლის შანსი ნულს უტოლდება."*

რამონ კალდერონმა არაორაზროვანი განცხადებით დიდად გაიხარა, მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ინგლისელთა გააქტიურების შემთხვევაში სიტუაცია შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ვთქვათ, მათ შუსტერს ზღაპრული გასამრჯელო შესთავაზეს, საინტერესოა, გერმანელი სპეციალისტი კვლავ ასეთივე შეუვალი იქნება? ექსპერტები ფიქრობენ, რომ მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, „რეალის" ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ამ ადამიანებს თუ დავუჯერებთ, ყველაფერი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაზეა დამოკიდებული. მათ უნდა გადაწყვიტონ, მართლა სჭირდებათ თუ არა შუსტერის სამსახური და რამდენი მილიონი ფუნტი ულირთ ეს...

---

ატლეტიკო

# მადრიდელებმა დაცვას უნდა მიხედონ

## გამარჯვებისთვის ოთხი გოლის გატანა სა□ირო არ უნდა იყოს

გასულ კვირას „ატლეტიკომ" მშობლიურ „ვისენტე კალდერონზე" ურთულესი გამარჯვება მოიპოვა. „ვალიადოლიდი" შეხვედრის მსვლელობისას ორჯერ იგებდა. სტუმრები რიცხვობრივ უპირატესობასაც ფლობდნენ. **ვარელას** გაძევების შემდეგ „ატლეტიკო" ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ საქმე მაინც გამარჯვებამდე მიიყვანა. „როხიბლანკოს" მთავარი მწვრთნელი, **ხავიერ აგირე** აღიარებს, რომ ეს წარმატება ფორტუნის წყალობით იქნა მიღწეული. აი, რა განაცხადა მექიკელმა სპეციალისტმა: *„ბედმა გაგვიღიმა, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ. გულწრფელად ვიტყვი, რომ „ვალიადოლიდი" წაგებას არ იმსახურებდა, მაგრამ რა გაეწყობა, ეს ხომ ფეხბურთია. თამაში, რომელიც ყოველთვის ლოგიკური შედეგით არ სრულდება. მართალია, ჩემს ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დაცვაში ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. სამი გოლის გაშვება სწორედ ამ გარემოებაზე მეტყველებს. მართლაც ძალიან გაგვიმართლა. ღმერთს მადლობას მოვახსენებ და იმედს ვიტოვებ, რომ მომავალ ტურებში გაცილებით ნაკლებ პრობლემას წავაწყდებით. ამისათვის, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო. ვინც ჩვენს ბაზაზე ხშირად დადის, დამეთანხმება, შრომა არც ერთ ჩვენგანს ეზარება, მაგრამ როგორც ჩანს, კიდევ უფრო მეტი ოფლისღვრა გვმართებს."*

„ატლეტიკოს" კაპიტანი, **მაქსი როდრიგესი** „ვალიადოლიდთან" მატჩში გაშვებული სამი ბურთით მთავარ მწვრთნელზე არანაკლებ შეშფოთებულია. არგენტინელი ნახევარმცველი მიიჩნევს, რომ: *„არ შეიძლება, გამარჯვების მოსაპოვებლად ოთხი გოლის გატანა გვჭირდებოდეს. ვფიქრობ, დასაფიქრებელია, ზედიზედ მეორე თამაშში სამი ბურთი რატომ გავუშვით. აშკარაა, დაცვაში პრობლემები გვაქვს. თანაგუნდელებს არაფერში ვადანაშაულებ. საქმე მხოლოდ მცველებს არ შეეხება. ჩვენ, ნახევარმცველები ვალდებულები ვართ, საკუთარი კარის უსაფრთხოებას მეტი ძალისხმევა მოვახმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გოლებს მომავალ შეხვედრებშიც შეგვიგდებენ, ჩვენ კი ყოველთვის ოთხ გოლს ვერ გავიტანთ. მჯერა, მწვრთნელები ფეხბურთელებთან ერთად სწორ დასკვნებს გამოვიტანთ და ხარვეზებს უმოკლეს დროში აღმოვფხვრით."*


ხავიერ აგირემ კარის უსაფრთხოებაზეც დაიწყო ზრუნვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. დაპირისპირება

# ცეცხლზე ნავთი: სანიოლი vs ჰიტცფელდი

## ფრანგული აჯანყება: ისმაელის შემდეგ, მიუნხენის დატოვების სურვილი ვილიმაც გამოთქვა, მწვრთნელთან რიბერისაც უსაუბრია...

**„ბაიერნის" ფრანგი ფეხბურთელები ძალიან უკმაყოფილოები არიან. ვალერიან ისმაელის შემდეგ უკვე ვილი სანიოლმაც გამოთქვა იმის სურვილი, რომ ზამთარში მიუნხენური კლუბი დატოვოს, რითაც ახალ დაპირისპირებას დაუდო სათავე – დაპირისპირებას მასსა და ოტმარ ჰიტცფელდს შორის. უკმაყოფილოა ფრანკ რიბერიც...**

შაბათს, გერმანიის დროით ხუთს თხუთმეტი უკლდა, როცა „ბაიერნის" ფრანგი მცველი **ვილი სანიოლი** სათადარიგოთა სკამიდან წამოდგა და გახურებას შეუდგა. ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მიუნხენის „ალიანს არენაზე" ძალიან მოსაწყენი ატმოსფეროა, მაგრამ ფაქტია, რომ სანიოლის წამოდგომას ამ „მოსაწყენ არენაზე" გამაყრუებელი ჟრიამული და ხმაშეწყობილი შეძახილები (ვილი, ვილიიი!) მოჰყვა. ფრანგს ძალიან გაუხარდა და ეს სახეზეც შეეტყო – 69 000 მაყურებელი მოუთმენლად ელოდა მომენტს, როცა ჰიტცფელდი სანიოლს მოედანზე შესვლის უფლებას მისცემდა.

კარგად გახურდა, ბევრიც ირბინა, მოთელვებიც გააკეთა. ამასობაში კი ნახევარი საათი გავიდა და არაფერიც არ მოხდა - ჰიტცფელდმა მოედანზე 17 წლის **ტონი კროოსი** შეუშვა, სანიოლი კი სკამზე დატოვა. შესაბამისად, ვილი ჯერ კიდევ ელოდება მომენტს, როცა ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ (31 მარტის შემდეგ ალარ უთამაშია) მინდორზე დაბრუნდება. არცაა გასაკვირი, ამ ფაქტმა ფრანგი ძალიან რომ გააბრაზა. სანიოლმა არც აცია, არც აცხელა და საფინალო სასტვენის შემდეგ ტელეკამერების წინ ასეთი რამ თქვა: *„გუნდის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ ვკითხე, შემიძლია თუ არა, რომ ზამთარში „ბაიერნი" დავტოვო-მეთქი."*

ჰო, ვილი სანიოლს რეკორდმაისტერიდან აბარგება უნდა, რითაც ბავარიულ გუნდში ახალ გაუგებრობას და ნეგატიურ გამოხმაურებას დაუდო სათავე.

სანიოლი მეორე ფრანგია ამ მოკლე დროში, რომელმაც მიუნხენური კლუბიდან წასვლის სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინათ ახეთივე სურვილი **ვალერიან ისმაელმაც** გამოხატა, რომელსაც ასევე ხანგრძლივი იძულებითი პაუზა ჰქონდა. FCB-ს გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** ამ აყველაფერს სიამოვნებით ნამდვილად არ მოისმენდა და ცხადია, რომ ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ჩვენს გერმანელ კოლეგებთან საუბრისას მაინც მშვიდად გამოიყურებოდა. აი, როგორი კომენტარი გააკეთა ულიმ: *„ჩვენ ისედაც ზედმეტად ბევრი ფეხბურთელი გვყავს. ასე რომ, თუ ზამთარში ერთი-ორი მათგანი გუნდიდან წავა, ამით ქვეყანა ნამდვილად არ დაინგრევა."* თუმცა ჰიონესი იქვე ამატებს, რომ სანიოლი წამსვლელთა სიაში არავის ჩაუწერია და რომ მას არ სჯერა, რომ ფრანგს „ბაიერნიდან" აბარგება გულით უნდა. *„ვილის ძალიან კარგად ვიცნობ,"* – თქვა ჰიონესმა კვირას, - *„ის ძალიან ემოციური ადამიანია. გუშინ წასვლა უნდოდა, დღეს დარჩენა მოუნდება, ხვალ კი კონტრაქტს გააგრძელებს. მოდით, ამ ყველაფერს ასე სერიოზულად ნუ მივიღებთ,"* – ული დარწმუნებულია, რომ როგორც კი ფრანგი მოედანზე დაბრუნდება, მაშინვე შეიცვლის აზრს.

სანიოლის ახლო მეგობრები კი ამტკიცებენ, რომ მისი ეს განცხადება არ იყო მხოლოდ ცხელ გულზე გამოთქმული აზრი, რომელსაც ვილი ძალიან სწრაფად შეიცვლის. ამაყი ფრანგი **ოტმარ ჰიტცფელდზეა** ნაწყენი! „გენერალმა" ცოტა ხნის წინათ გუნდის ვიცე-კაპიტნად **ლუსიო** დანიშნა და ამით განაცხადი გააკეთა იმაზე, რომ როცა კანი კარიერას დაასრულებს, რეკორდმაისტერის კაპიტანი სავარაუდოდ ბრაზილიელი გახდება. არადა, აქამდე ცნობილი იყო, რომ კაპიტნის საკმლაური სანიოლს გადაეცემოდა. ეს დიდი ხნის შეთანხმებული და გადაწყვეტილი ამბავია: როცა ვილიმ „ბაიერნთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა, სწორედ მაშინ შეპირდა მას ჰიონესი, რომ კანის წასვლის შემდეგ კაპიტნის სამკლაურს მიიღებდა. ესეც კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სანიოლი ჰიტცფელდს ემდურის.

მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც ის აბრაზებს, რომ ჰიტცფელდი ანერვიულებს – ოტმარი სანიოლს აგრძნობინებს, რომ კონკურენცია უდიდესია. *„ახლა რისკზე წასვლა არ შემიძლია,"* – ამბობს ჰიტცფელდი, - *„ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ქულები გვჭირდება!"* მართალიცაა: დაცვის მარჯვენა ფლანგზე **კრისტიან ლელი** ძალიან კარგად გამოიყურება და რაც დრო გადის, თავის საქმეს სულ უფრო და უფრო კარგად აკეთებს. როცა მარსელ **იანსენი** გამოჯანმრთელდება, ფილიპ **ლამსაც** შეეძლება მარჯვნივ თამაში და ასე რომ, სანიოლი ნამდვილად ალარ არის შეუცვლელი ფიგურა. ათიოდ დღის წინათ მან რეგიონალლიგაში, მოყვარულთა გუნდში ითამაშა (ბურგჰაუზენთან), რამაც ფეხბურთელი კიდევ უფრო განარისხა.

ჰიონესის თქმით, ვილი ძალიან მოუთმენელია და ფიქრობს, რომ მოედანზე დასაბრუნებლად უკვე 100 პროცენტით მზადაა. მენეჯერი ფრანგ ფეხბურთელს მოთმინებისკენ მოუწოდებს, ზუსტად ისე, როგორც კანი. *„ის 7 თვის მანძილზე ტრავმირებული იყო და ვთხოვ, ყველას ნუ გააგიჟებს. ასე არ შეიძლება,"* – ეს სწორედ ოლის სიტყვებია.

ან იქნებ სხვა რამეშია საქმე? „კიკერის" ცნობით, სანიოლს „მანჩესტერ იუნაიტედი" ეპატიჟება და თანაც, საქმე ძალიან სერიოზულად ყოფილა. „მენიუ" სანიოლისთვის მართლაც მისწრებაა, რადგან მანკუნიანელთა რიგებში გადასვლის შემთხვევაში, ის ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და უფრო დიდი შანსი ექნება, რომ საფრანგეთის ნაკრების თავკაც **რაიმონ დომენეკს** ევროპის ჩემპიონატისთვის თავი მოაწონოს. ჰიონესი: *„თუკი ოთხი კვირის შემდეგ ის ისევ იმ აზრზე იქნება, რომ წასვლა უნდა, დავსხდებით და დაველაპარაკებით."* როგორც ხედავთ, ული არ ამბობს, ვილის არაფრისდიდებით არ გავუშვებო. გუშინ ჰიტცფელდმა განაცხადა, რომ სანიოლთან შეხვედრას და გულახდილ საუბარს გეგმავს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ეს შეხვედრა დღეს უნდა შედგეს.

რუმენიგე VS ჰიტცფელდი, ჰიონესი VS ფანები, ისმაელი VS ჰიტცფელდი და ახლა სანიოლი VS ჰიტცფელდი – „ბაიერნისთვის" 2007 წელი ძალიან დაძაბულ ნოტაზე სრულდება. თავად განსაჯეთ, თვით **ფრანკ რიბერიც** უკმაყოფილო ყოფილა იმით, რომ ოტმარი მისგან სტანდარტული მდგომარეობების უფრო კარგად შესრულებასა და მოედანზე უფრო მეტ ეფექტურობას ითხოვს. გაირკვა, რომ პარასკევს რიბერი ამ ყველაფრის თაობაზე ჰიტცფელდს ესაუბრა. საუბარმა ნახევარ საათს გასტანა, შაბათს კი, რიბერიმ ისევ შესანიშნავად ითამაშა და მწვრთნელისგან ქება დაიმსახურა.

„სენსაციური" და „მსოფლიო კლასის ვარკსვლავი" – აი, ამ სიტყვებით ამკობდა ჰიტცფელდი რიბერის, მაგრამ იქვე ამატებდა, მიუნხენში თავს ჯერ ისე კარგად ვერ გრძნობს, რადგან მარსელის თბილ ამინდებსაა მიჩვეულიო. თუ სანიოლი და ისმაელი „ბაიერნიდან" წავლენ, რიბერი ორ თანამემამულეს და უახლოეს მეგობარს დაკარგავს...

**გოტფრიდ ლენცი**



ვილი სანიოლი ოტმარ ჰიტცფელდს შემოსწყრა, რა ხდება მიუნხენურ გიგანტში?

მოსალოდნელი დანიშვნა

## მათეუსი ბაიერნში? ეს რეალურია!

რა მოხდება, თუკი იანვარში ბავარიელები ჰიტცფელდს ვერ მოურიგდებიან? ცხადია, რეკორდმაისტერი ახალი მწვრთნელის ძებნას დაიწყებს.

ხუთი წლის წინათ, ული ჰიონესმა ისეთი რამ თქვა, რითაც ლეგენდარულ ლოთარ მათეუსს ძალიან ატკინა გული. აი, ულის მაშინდელი განცხადებაც: *„სანამ „ბაიერნის" სათავეში კარლ-ჰაინც რუმენიგე და მე ვიქნებით, მათეუსი ჩვენთან მინდვრის მკრეჭავის პოსტსაც კი ვერ მიიღებს!"* ეს განცხადება იყო შედეგი ჩხუბისა, რომელიც მათეუსის გამოსამშვიდობებელ მატჩთან დაკავშირებით ლოთარსა და „ბაიერნის" ბოსებს შორის მოხდა. ამ ამბიდან ხუთი წლის შემდეგ, როგორც ჩანს, მათეუსის ჰიონესის თვალში ამაღლდა და ახლა ის გაცილებით მეტია, ვიდრე მინდვრის მკრეჭავი.

აი, რა უთხრა ჰიონესმა მათეუსს შაბათს, ტელეკომპანია „პრემიერ უორლდის" პირდაპირ ეთერში (როგორც იცით, მათეუსი ამ არხის სპორტული ექსპერტია): *„როგორც გავიგე, უახლოეს მომავალში სამწვრთნელო ლიცენზიის ალებას აპირებ. როცა აილებ, უკვე სრულყოფილი და აბსოლუტურად ლეგიტიმური მწვრთნელი იქნები. შესაბამისად, ჩვენც სხვანაირად შემოგხედავთ, გაცილებით მეგობრულად, ვიდრე ადრე და სერიოზულად დავფიქრდებით იმაზე, რომ „ბაიერნი" ჩაგაბაროთ. ასე რომ, ტელევიზიაში დიდხანს ნუ იმუშავებ, კარგად იმეცადინე, ლოთარ!"* კითხვაზე, მოიაზრება თუ არა მათეუსი ჰიტცფელდის შემცვლელად, ჰიონესი ასე პასუხობს: *„თუკი ჰიტცფელდს ვერ შეუთანხმდებით, რაც არა მგონია, რომ მოხდეს, მაშინ 6 თვე გვექნება იმისათვის, რომ „ბაიერნს" ღირსეული მწვრთნელი ვუპოვოთ."*

ამ თემას ლეგანდარული მარიო ბასლერიც გამოეხმაურა. *„100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მათეუსი ერთხელაც „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გახდება და არ გამოვრიცხავ, რომ ეს ახლავე მოხდეს. ლოთარს ამ გუნდის წინაშე უდიდესი დამსახურებები აქვს,"* – ამბობს სუპერმარიო, რომელიც 1996-დან 1999 წლამდე რეკორდმაისტერში სწორედ მათეუსთან ერთად თამაშობდა.



ვილიარეალი

# რიკელმეს ეშველა

## შეთანხმება მიღწეულია, რომანი ბოკა ხუნიორსში ბრუნდება

გაუთავებელ ტანჯვა-წამებას წერტილი დაესვა. **ხუან რომან რიკელმემ** „ვილიარეალის" მესვეურებთან ნანატრ შეთანხმებას მიაღწია, რომლის ძალითაც მას კარიერის „ბოკა ხუნიორსში" გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემა. ესპანური კლუბის დირექტორატის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, **ხოსე მანუელ ლიანესა** გუშინ ღამით ბუენოს აირესს გაემგზავრა, რათა არგენტინული გრანდის მესვეურებთან უკანასკნელ დეტალებზე მოილაპარაკოს. შეხვედრას სავარაუდოდ, თავად რიკელმე და მისი ორი მენეჯერიც დაესწრება. ბაირესს „ვილიარეალმა" კომერციული დირექტორი **მიგელ პერესიც** მიავლინა, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო მან ხოსე მანუელ ლიანესას რეისით გაფრენა ვერ მოახერხა. სენიორ პერესი დღეს საღამოს ნებისმიერ შემთხვევაში „ბოკა ხუნიორსის" ოფისში იქნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ საკითხი დღესვე გადაწყდება და საბრალო რომანს საყვარელი საქმის კეთების შესაძლებლობა მიეცემა. მოგეხსენებათ, „ვილიარეალის" მთავარ მწვრთნელთან, **მანუელ პელეგრინისთან** არსებული კონფლიქტის გამო, წელს მას ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. რიკელმე მხოლოდ არგენტინის ნაკრებში თამაშობდა. სხვათა შორის, ძალიან წარმატებულად. რომანი „ალბისელესტეს" რამდენიმე გოლითა და არაერთი საგოლე პასით დაეხმარა.



ხუან რომანი შინ დაბრუნდება



ბილი დევისი უმუშევარი დარჩა

პრემიერლიგა. მწვრთნელები

# მეექვსედ პრემიერლიგაში

## დერბი ქაუნთიც უმწვრთნელოდ დარჩა...

პრემიერლიგის აუტსაიდერმა „დერბი ქაუნთიმ" მთავარი მწვრთნელი დაითხოვა. გუნდმა 14 ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და 6 ქულა დააგროვა. ამიტომ **ბილი დევისს** კარისკენ მიუთითეს. კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მხარეებმა გადაწყვეტილება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მიიღეს. დევისი დიდი ხანია, დათხოვნის უპირველეს კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ მან პოსტი სხვებზე მეტხანს შეინარჩუნა. ის თანამდებობაზე 18 თვის წინ დანიშნა. დევისს დერბის ხელმძღვანელობასთან განსაკუთრებით ამ სეზონში გაურთულდა ურთიერთობა. გუნდმა პრემიერლიგა კატასტროფულად დაიწყო - 14 მატჩში მხოლოდ 5 გოლი გაიტანა და 33 მიილო. „დერბი ქაუნთიმ" რამდენიმე შეხვედრა დიდი ანგარიშით დათმო. მან 0:6 წააგო „ლივერპულთან" (სტუმრად), 0:5 „არსენალსა" (სტუმრად) და 0:5 „ვესტ ჰემთან" (შინ).

ბილი დევისი იმედისმომცემი სპეციალისტად ითვლება. 1998 წელს, როცა ის შოტლანდიური „მოზერველის" თავკაცად დანიშნეს, შოტლანდიური საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დამრიგებელი გახდა. დევისი სულ რაღაც 33 წლისა იყო. ის „მოზერველიდან" ინგლისში გადავიდა და „პრესტონ ნორთ ენდში" დაინიშნა. 2006 წლის ზაფხულში „დერბი" ჩაიბარა და პირველსავე სეზონში გუნდი პრემიერლიგაში გადაიყვანა - სხვათა შორის, პირველად 2002 წლის შემდეგ. 43 წლის დევისს კონტრაქტი 2010 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. მას სოლიდური კომპენსაცის შეხვდება. **ბილი დევისი** პრემიერლიგის მეექვსე მწვრთნელია, რომელსაც მიმდინარე სეზონში პოსტის დატოვება მოუხდა. მასზე ადრე თანამდებობებს გამოეთხოვნენ **სტივ ბრუსი** (ბირმინგემი, „ვიგანში" გადავიდა), **კრის ჰათჩინგსი** (ვიგანი), **სემი ლი** (ბოლტონი), **მარტინ იოლი** (ტოტენჰემი) და **ჟოზე მოურინიო** (ჩელსი). სპეკულაციების თანახმად რიგში დგანან „ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი** და „მიდლსბროს" დამრიგებელი **გარეთ საუთგეიტი**. ურთიერთობა ბენიტესსა და გუნდის ამერიკელ მფლობელებს შორის დღითიდღე იძაბება. ისინი იანვრის სატრანსფერო გეგმებზე ვერ თანხმდებიან.

ინტერვიუ მიქაელ ლაუდრუპთან

# კრუიფმა ყველაფერი შეცვალა

## ხეტაფეს მთავარი მწვრთნელი ფიქრობს, რომ ლეგენდარული ჰოლანდიელის წყალობით, დღეს ყველაზე მოკრძალებული კლუბებიც კი კარგად თამაშს ცდილობენ

**პირველი**, რაც მიქაელ ლაუდრუპმა „ხეტაფეში" მწვრთნელობისას ისწავლა, ეს არის ის, რომ ყველაზე მოკრძალებულ კლუბებშიც კი, საკმარისი არ არის კარგად თამაში. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როცა ესეც საკმარისი გახლავთ. მაგალითად სამი კვირის წინ, როცა „ხეტაფემ" „ბარსელონას" მოუგო. ლაუდრუპმა AS-თან ინტერვიუში ახსნა მომხდარი.



მიქაელ ლაუდრუპი

ეს სეზონი „ხეტაფესთვის" არც ისე კარგად დაიწყო, მაგრამ ახლა გუნდი კრიზისიდან გამოვიდა, რაზეც სამი კვირის წინ, „კოლიზეუმის" უნიკალურ სტადიონზე „ბარსელონას" დამარცხებაც მეტყველებს. „კოლიზეუმი" ის არენაა, სადაც მსოფლიოში საუკეთესო ტრამპლინი არსებობს. სწორედ აქედან აიჭრა მწვერვალისკენ **კიკეს** კარიერა, ეს ტრამპლინი დაძლია **ბერნდ შუსტერმა** და ახლა იგივეს გაკეთებას ცდილობს **მიქაელ ლაუდრუპი**. ფეხბურთელობის დროს, დანიელი იმით იყო ცნობილი, რომ ბრწყინვალედ შეეძლო ბოლო პასის მიცემა და აი ამ ზაფხულს, ის ესპანეთში მწვრთნელის რანგში დაბრუნდა, მანამდე კი, წარმატებით გაიარა თავისი „უნივერსიტეტები", როცა „ბრონდბიუსთან" ერთად მოიგო დანიის ჩემპიონატი, ორჯერ ქვეყნის თასი და ერთხელ სუპერთასი.

„ლაციოს", „იუვენტუსის", „ბარსელონას", „რეალის", „აიაქსის" ყოფილი ვარსკვლავის გამოჭერა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. „ფეხბურთელობა გაცილებით იოლი ყოფილა. მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავ და ცოტას გუნდზე. ფეხბურთზე ფიქრი იმით შემოიფარგლებოდა, დაგაყენებდა თუ არა მწვრთნელი კვირას ძირითადში. მწვრთნელის რანგში კი, ფიქრობ იმაზე, ვინც თამაშობს, სათადარიგოებზე, კალენდარზე, გასვლაზე, გუნდზე..."

„რეალის" წინააღმდეგ უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე „ბარსასთან" მატჩში". მადრიდელებთან შეხვედრამ ორმაგი ზიანი მოგვიტანა. ჯერერთი ის, რომ ჩვენ წავაგეთ, მეორე კი ის, რომ ყველამ გვეუბნებოდა და გვაჯერებდა - ბრწყინვალედ თამაშობდითო. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მართალია ცოტა ქულას ვაგროვებთ, სამაგიეროდ თამაში გამოგვდის კარგად. ამის შემდეგ „მალიორკასთან" დავმარცხდით... არავინ, გარდა იმ ფეხბურთელებისა, რომლებსაც დიდ კლუბებში უთამაშიათ, არ იცის რას ნიშნავს მოკრძალებულ მოწინააღმდეგესთან თამაში", - ამბობს ლაუდრუპი.

მიუხედავად კარგი თამაშისა, „ხეტაფემ" მაინც წააგო „სევილიასთან" და „ვალენსიასთან". მაგრამ ფეხბურთი იმდენად გასაოცარი რამაა, რომ დროდადრო ისეთი რამეები ხდება, რომ ჯერ შედეგები ზარალდება და შემდეგ, ყველაფერი დანარჩენი. შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია „მალიორკასთან" წაგებით გაგრძელდა. მეტოქე უმცირესობაში იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც 4:2 გაიმარჯვა, თანაც „ხეტაფე" 2:0 იგებდა. ამის შემდეგ, ფეხბურთელები გასახდელში შეიკრიბნენ და საათნახევარი საუბრობდნენ ერთმანეთში, ლაუდრუპი კი, მათ საწვრთნელ მოედანზე ელოდა. „კიდევ კარგი, არ ციოდა, - ხუმრობს მიქაელი. - ხანდახან ფეხბურთელებს სჭირდებათ ასეთი საუბარი, რათა პირდაპირ უთხრან ერთმანეთს სათქმელი. თუ ამას მწვრთნელი აკეთებს და ერთი და იმავეს ათჯერ გამეორება უწევს, სიტყვები ძალას კარგავენ. ასეთი შეკრებები მეც მქონია „იუვენტუსში", „რეალში" და „ბარსელონაში", მაშინაც კი, როცა საქმეები კარგად მიდიოდა".

ამის შემდეგ, გუნდმა ჩემპიონატის ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგო, ამას დაუმატა უეფას თასზე „ტოტენჰემთან" გამარჯვება. „ამ მატჩებში უფრო მეტი გოლი გავიტანეთ, ვიდრე მომენტები შევქმენით. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდაა პოსტიდან გავენთავისუფლე, მაგრამ კარგად ვიცი, რა არის ფეხბურთი. თუ გუნდი წარუმატებლად თამაშობს, მწვრთნელი მიდის ხოლმე. თუ სიტუაცია მაინც არ გამოსწორდა, ამის შემდეგ ოთხ-ხუთ ფეხბურთელს ათავისუფლებენ, ბოლოს კი, პრეზიდენტსაც უწევს წასვლა. ჩვენს შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ხეტაფეს" 11 ახალი ფეხბურთელი ჰყავს - ეს ძალიან ბევრია".

ის საგანგაშო სიტუაცია უკვე წარსულს ჩაბარდა. და ახლა, ლაუდრუპი „ბარსელონასთან" გამარჯვებას აანალიზებს: „ბევრს ვსაუბრობდით იმის შესახებ, თუ როგორ გაგვეჩერებინა მესი. შედეგად, იმ 70 წუთის მანძილზე, რაც არგენტინელმა მინდორზე გაატარა, მასზე მხოლოდ ორჯერ დავჯარიმდით. ეს ლიხტისა და მისი დამხმარე ფეხბურთელების დამსახურებაა. მწვრთნელი კმაყოფილია, როცა მის გეგმას ასრულებენ". გეგმა კი, საკმაოდ თამამი იყო: „რეალი" ან „ბარსელონა" უკვე თავდასხმის ხაზიდან იწყებენ პრესინგს და ხშირად, პატარა კლუბები ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას ირჩევენ, რათა მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირონ. მე კი ვფიქრობ, უფრო ეფექტურია მოთმინებით ალიჭურვო, რადგან მოწინააღმდეგე დიდი ძალებით მიმართავს პრესინგს: სამი მოთამაშე წინ და კიდევ ორი ნახევარმცველი ოდნავ უკან. თუ ამ ხაზს გადალახავ, შეტევისთვის თავისუფალ სივრცეს მიიღებ. მაშინ უკვე შეგეძლება მეტოქისთვის შეტევაში პრობლემის შექმნა". მთავარი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ბურთის მიღების შემდეგ, უსწრაფესად უნდა იმოქმედო: „ცენტრში თამაში დიდ სისწრაფეს მოითხოვს. დიახ, მატჩის ბედს შემტევი ფეხბურთელებს გადაწყვეტენ, მაგრამ მათთვის მომენტების შექმნაა საჭირო. მესი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია, როცა ის მეტოქესთან ერთი ერთზე რჩება, მაგრამ საჭიროა, რომ მას ეს სიტუაცია შეუქმნან. მარტოდმარტო სამი ფეხბურთელის წინააღმდეგ კი, ის არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება".

ლაუდრუპს ბევრს ეკითხებიან „ხეტაფეს" უეფას თასზე გამოსვლის შესახებ. ყოველ სამ დღეში ერთხელ თამაში - საკმაოდ ბევრია ჯერ კიდევ შეუთამაშებელი ფეხბურთელებისთვის: „მაგალითად, პაბლო ერნანდესი ასაკოვანი ფეხბურთელია და მას უჭირს მომრავლებულ მატჩებზე შესაბამისად გაწყობა. „ტოტენჰემთან" მატჩში იმ ექვსი ფეხბურთელის შეცვლა მომიწია, რომელმაც ჩემპიონატში ითამაშეს და მოიგეს. მაგრამ უკვე მომდევნო კვირას, ექვსივე შემადგენლობაში დავაყენე და „რასინგმა" 2:0 დაგვამარცხა. „ტოტენჰემთან" იმ მატჩს ერთი დადებითი გარემოება ახლდა თან - მან ჩვენს გუნდში კონკურენცია გაზარდა. გარდა ამისა, გუნდისთვის არ არსებობს უკეთესი წამალი, ვიდრე ეს შემადგენლობის როტაციაა".

საუბარი გასახდელისა და სტრატეგიის გარშემო გაგრძელდა. ლაუდრუპი დროდადრო ახსენებდა **ზეპ პიონტეკს, ჯოვანი ტრაპატონის** და **იოჰან კრუიფს**. „პიონტეკი თავად იყო დაცვითი სტილის ნახევარმცველი და თავის გუნდებში გერმანულ დისციპლინას ამყარებდა. ტრაპატონი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო ძლიერი. ის გაგებით ეკიდებოდა ისეთ სიტუაციებს, როცა საქმე ცუდად მიდიოდა, სამაგიეროდ, ძალიან მკაცრი იყო, როცა წარმატების შემდეგ, საჭირო გახლდათ გუნდის ეიფორიიდან გამოყვანა. კრუიფმა კი, თავად თამაშის ფსიქოლოგია შეცვალა, შეკრიბა რა ერთ გუნდში უმაღლესი კლასის ფეხბურთელები. მისი წყალობით გაჩნდა დაცვითი სტილის ნახევარმცველის პოზიცია. მან მოახერხა ბაკეროს, ამორის, ბეგირისტაინის, ეისებიოს, რომარიოს და სტოიჩკოვის გაერთიანება. დღეს, ყველაზე მოკრძალებული კლუბებიც კი ცდილობენ კარგად ითამაშონ. კრუიფს ესპანეთში რომ არ ემუშავა, შესაძლოა დღეს არ ესაუბრათ „ხეტაფეში" ნახევარმცველთა ისეთ წყვილზე, როგორიცაა კასკერო და დე ლა რედი".

ის ე.წ. „ლაუდრუპის ფორმულის" შთაგონების წყარო იყო, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ნაკრებების მატჩები ორ დღეს ტარდება ხოლმე. როცა ეროვნული გუნდები შაბათსა და ოთხშაბათს თამაშობენ, კლუბები ამ დროს ნაკლებად ზარალდებიან. „და მაინც, კალენდარი ასეთი სახით - ნამდვილი სიგიჟეა. ახლა ჩვენ ერთი თვით დავკარგავთ უჩეს აფრიკის თასის გამო. შეიძლება ლიგაში გუნდების რიცხვი 18-მდე შემცირდეს, რითაც მატჩების რიცხვი 38-დან 34-მდე დაიკლებს, ამით კი, ოთხი სათამაშო ოთხშაბათი გამონთავისუფლდება. უმჯობესი იქნება, თუ თასის რაუნდებში გამარჯვებული თითო თამაშის წყალობით გამოვლინდება. შესაძლებელია ნაკრებთა ამხანაგური მატჩების გაუქმება, რადგან ის არაფერს იძლევა. ის, რომ ჩვენს სამ არგენტინელს ავსტრალიაში ამხანაგურ მატჩზე უწევთ გამგზავრება - ეს ნამდვილი ბარბაროსობაა".

თავის მხრივ, ლაუდრუპი არ თვლის, რომ ესპანეთის პრიმერა ძალიან შეიცვალა. „დიახ, საშუალო გუნდები გრანდებს მიუახლოვდნენ. გამოირჩევიან „რეალი", „ბარსელონა", „ვალენსია", „სევილია", „ატლეტიკო", „ვილიარეალი", „სარაგოსა", „ესპანიოლი" და „მალიორკა". დანარჩენი გუნდებს შორის კი, დიდი განსხვავება არ არის. ძალიან მომწონს „ვილიარეალი", მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ჩემპიონატის ბედი „რეალისა" და „ბარსელონას" დაპირისპირებაში გაირკვევა".

სამწვრთნელო კარიერის დაწყებამდე, ლაუდრუპი უბრწყინვალესი ფეხბურთელი იყო, რომელმაც ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი (ოთხჯერ „ბარსელონაში" და ერთხელ „რეალში"). მანვე ორ სახელგანთქმულ კლასიკოში მიიღო მონაწილეობა, როცა მატჩები ერთნაირი ანგარიშით - 5:0 დასრულდა. თანაც, დანიელი ორივეჯერ გამარჯვებულის გუნდის წევრი იყო. „ეს იყო საოცრება - ერთი წლის განმავლობაში ორ ასეთ მატჩში მონაწილეობა. ბარსელონაში დიდი ხანი საუბრობდნენ ჯერ კიდევ კრუიფის დროინდელი შავ-თეთრი კლასიკოს შესახებ, როცა კატალონელებმა 5:0 მოიგეს. გამიკვირდა, როცა მადრიდში თბილად მიმიღეს. რაც არ უნდა იყოს, მე ბარსელონური წარსული მქონდა". მანამდე კი, ლაუდრუპმა ექვსი სეზონი გაატარა იტალიაში (ორი „ლაციოში", ოთხი - „იუვენტუსში"), სადაც ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტდა. „ამაში დამნაშავე არამარტო იტალიური ფეხბურთის ხასიათია. იქ მაშინ წავედი, როცა მხოლოდ 19 წლის ვიყავი. იმ დროს, მოედანზე მხოლოდ ორ ლეგიონერს შეეძლო გასვლა, თუ შენ ერთ-ერთ ამ ადგილს დაიკავებდი, სხვებისგან შესამჩნევად გამორჩეული უნდა ყოფილიყავი. შესაძლოა მე შევცდი. ალბათ, უკეთესი იქნებოდა ჰოლანდიის ტიპის ჩემპიონატში მეცადა ძალები".

„რეალის" შემდეგ დანიელი იაპონიაში გაემგზავრა, რითაც მისივე აღიარებით, შეცდომა დაუშვა. „მე 13 წელი გავატარე ისეთ კლუბებში, რომელთა ვარჯიშებს ყოველდღე 45 ჟურნალისტი ესწრება, შესაბამისად, უფრო მშვიდი გარემო მჭირდებოდა. მაგრამ იაპონიაში ხუთთვიანი მოღვაწეობის შემდეგ მივხვდი, რომ არ შეიძლებოდა კარიერის ასე დასრულება. ამიტომაც მორტენ ოლსენის „აიაქსში" გავემგზავრე. მოვიგე ჰოლანდიის ჩემპიონატი და თასი, მოვხვდი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ჩვენმა ნაკრებმა მეოთხედფინალში გააღწია. სწორედ ეს იყო კარიერის ბრწყინვალე დასასრული".

ლაუდრუპის მაგალითზე შეიძლება ბოლო პასის ხელოვნების შესახებ სახელმძღვანელოს დაწერა - ის ხანდახან, ერთი მიმართულებით იხედებოდა და ბურთს მეორე მიმართულებით გზავნიდა. „ვერ ავხსნი რატომ ვაკეთებდი ასე. დღეს ამას ბევრი ფეხბურთელი იმეორებს. ვარჯიშებზე ბოლო პასის სრულყოფა და მასზე მუშაობა შეუძლებელია. ის არის, ან არ არის. დე ლა პენიას მსგავსი ნიჭი 18 წლის ასაკში აღმოაჩნდა. დე ლა პენია, გუტი და ინიესტა - ამ ნიჭით დაჯილდოებული საუკეთესო ფეხბურთელები არიან".

ბავშვობაში ის „ლივერპულის" გულშემატკივარი იყო, „იმიტომ, რომ დანიაში ინგლისის ჩემპიონატის მატჩებს აჩვენებდნენ". იმ მოთამაშეებს შორის, რომელთანაც მას მოუწია თამაში, ლაუდრუპი **კუმანსა** და **იეროს** გამოყოფს მათი ლიდერის თვისებების გამო და არც **რომარიო** ავიწყდება. „ჩვენ ვარჯიშებზე ახალ სათამაშო სვლებზე ვმუშაობდით, რომარიო კი, ამ ყველაფერს მატჩების დროს იგონებდა".

დღეს მოქმედი ფეხბურთელებიდან, ლაუდრუპი **რაულით** არის აღფრთოვანებული: „სეზონის სტარტზე, მან სამი მომენტის გამოყენება ვერ შეძლო, მაგრამ უკვე შემდეგ მატჩში გაასწორა მიზანი. სწორედ ეს სულიერი ძალა ეხმარებოდა რაულს ბოლო სამ წლის განმავლობაში, როცა მას უმოწყალოდ აკრიტიკებდნენ. როგორ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მან დაასრულა თამაში, როცა ის მხოლოდ 30 წლისაა? მან „რეალში" 13 წელი გაატარა და ყოველთვის მოკრძალებულ ადამიანად რჩებოდა. როცა რაულს თამაში არ მისდის, ის მაინც თავიდან ბოლომდე იხარჯება". ლაუდრუპმა **რონალდინიოც** დაიცვა: „მას ძალიან მაღალ თამასას უყენებენ, თუმცა ის მართლაც არ არის ისეთივე კარგი, როგორიც 2-3 წლის წინ იყო".

ბოლოს კი, ლაუდრუპმა ცოტა დანიის ნაკრებზეც ისაუბრა. ის ყველა დროის საუკეთესო დანიელი ფეხბურთელი იყო, მაგრამ არ ითამაშა ევროპის 1992 წლის ჩემპიონატზე. „ნაკრები დავტოვე, რადგან ამას მთხოვდა, მათ შორის „ბარსელონაც". მე კლუბი ავირჩიე. არავის არაფერში არ ვადანაშაულებ". და ყველაფერი ესპანეთის ნაკრებმა გააფუჭა. „ის მატჩი 1993 წელს - ჩემი ყველაზე უარესი მოგონებაა ფეხბურთში. ჩვენ წავაგეთ გუნდთან, რომელიც ათი კაცით გვეთამაშებოდა და უსამართლო გოლი გაგვიტანა. ბაკერომ ეს 14-წლიანი დაგვიანებით აღიარა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერი. კვირის მიმოხილვა

# ვინ დაიჭერს მანუს?

უკრაინის ჩემპიონატში "კიევის" ბოლო მატჩს რომ გადავხედე, თვალები მოვიფშვნიტე, მეგონა "კიევ"-"პო ორტეზის" ოქმს ვუცქერდი - გასულ კვირას გამართულ ორივე შეხვედრაში მანუჩარ მარკოიშვილს ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდა 25 წუთში 27 ქულა! ...თუმცა ეს პატარა ძახილის ნიშანი მანუს დიდ მონაგარს ნამდვილად არ შეეფერება.

ასე და ამგვარად, ქართველმა ფორვარდმა, მარკოიშვილმა "ნიკოლაევთან" გასვლით შეხვედრაშიც 27 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელებს უკრაინის ჩემპიონატში მერვე მატჩი მოაგებინა (0 ნაგება) - 86:68. მანუმ შეტევაში შესაშურად რომ ითამაშა, ამაზე ტყორცნების რეალიზების პროცენტული მაჩვენებელიც მეტყველებს: 9-დან 6 ორქულიანი, 6-დან 4 სამიანი და 3-დან 3 საჯარიმო. მარკოიშვილმა მონაგარი კიდევ 3-3 მოხსნა-პასით გაამდიდრა.

შეტევაზე სტატისტიკა გვესაუბრა, ქართველის კარგ დაცვაზე კი "კიევის" მთავარი მწვრთნელი **ტომო მაჰორიჩი** მოგვითხრობს: *"მატჩის დაწყებამდე ვნერვიულობდი, რადგან ვატყობდი, რომ გუნდი "ნიკოლაევთან სათამაშოდ სათანადოდ მზად არ იყო. ამისთვის დრო არ გვქონდა - ულების თასზე "პო ორტეზთან" ურთულესი მატჩი ახლახან ჩავატარეთ და ძალების აღდგენა ბოლომდე ვერ მოვასწარით. ნიკოლაევში თავიდან მართლაც ძალიან გაგვიჭირდა, მეტოქე კარგად თამაშობდა ზონურ დაცვას, მაგრამ სიტუაცია მას შემდეგ გამოსწორდა, რაც მოედანზე მანუჩარ მარკოიშვილი შევიყვანე. მეორე ტაიმში შეტევაში თამაშიც აგვეწყო და დამაჯერებლად გავიმარჯვეთ."*

ქართველ მკითხველს დააინტერესებს "ნიკოლაევსკი ნოვოსტიში" გამოქვეყნებული მიმოხილვის მცირე მონაკვეთი: *"შეხვედრის გახურებასთან ერთად დაიქოქა ფორვარდი მანუჩარ მარკოიშვილი. მას ძალაც საკმარისად აქვს, სიმაღლეც, სროლის ტექნიკა ბუნებრივადაც აქვს და ეტყობა, რომ მწვრთნელებსაც კარგად უმუშავიათ... მოკლედ ქართველმა ლეგიონერმა ჩვენი კალათი ბოლომდე ამოავსო. მწვრთნელმა მარკოიშვილის წინააღმდეგ არაერთი მოთამაშე დააყენა, მაგრამ მისი შეჩერება ვერავინ შეძლო. კოლექტიური წართმევის მცდელობაც უნაყოფოდ სრულდებოდა, რადგან მანუჩარს თავისუფალი თანაგუნდელის მოძებნაც არ უჭირდა."*

ამ სიტყვების წაკითხვა ბევრს სიამაყის გრძნობით აავსებს, ზოგსაც ანატრებინებს - ნეტავ მანუს ნაკრებშიც ასე იყენებდნენო.



მანუჩარ მარკოიშვილმა ნიკოლაევთან 27 ქულა დააგროვა

"კიევს" მორიგი მატჩი ულების თასზე დღეს, ბულგარეთში "აკადემიკის" წინააღმდეგ ელის. უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ორი კიეველის ინტერვიუ დღევანდელი მატჩის შესახებ. ერთ-ერთი მანუჩარ მარკოიშვილია.

- "აკადემიკი" საშიში მეტოქეა. გავიხსენოთ, რომ ბულგარელებმა სტუმრად იტალიურ "ბენეტონს" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია, შინ კი გერმანული "არტლანდი" დაამარცხა. ასე რომ, შეხვედრისთვის მაქსიმალურად ვემზადებით, - განაცხადა ბულგარეთში გამგზავრებამდე მარკოიშვილმა.

**- ბოლო ორ მატჩში 27-27 ქულას აგდებ, საკუთარი თამაშით კმაყოფილი უნდა იყო.**

- ჩემთვის მთავარი ის გახლავთ, რომ გუნდი ორივე შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდა. "ნიკოლაევთან" მატჩში მეტოქე ისეთ ზონურ დაცვას აყენებდა, რომ თითქმის ყველა შეტევის დაგვირგვინება მე მიწევდა. სროლა წამივიდა, ხელის აუკანკალებლად ვტყორცნიდი, ეს იყო და ეს. სიმართლე რომ გითხრათ ამ შეხვედრების შესახებ უკვე დავივიწყე და მთლიანად ბულგარულ მატჩზე ვარ გადართული. სოფიაში გამარჯვებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

## დანარჩენები

**უხოურ კლუბებში მიმოფანტულმა საქართველოს ნაკრების წევრებმა გასულ კვირას მანუს მსგავსად ვერ იყოჩაღეს. ელისმა, ცქიტიშვილმა, ცინცაძემ და ბოისამ ჯამში 31 ქულა ჩააგდეს, რაც 4-იტ მეტია მანუჩარის ერთი დღის მონაგარზე.**

საუბარი იტალიური ამბებით განვაგრძოთ. **ნიკოლოზ ცქიტიშვილის** "ტერამომ" სტუმრად "აველინოსთან" 81:101 დათმო და სატურნირო ცხრილში მე-10 პოზიციამდე დაქვეითდა, თუმცა, ტერამოელების წინ მდგომ 4 გუნდსაც 11 მატჩში 6 მოგება აქვს.

ნიკამ 20 წუთი ითამაშა, 8 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. მონაგარი არაეფექტურია, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ იგი ურიგოდ გაისარჯა - შეტევაში უშეცდომო იყო, 4 ორქულიანი სტყორცნა და ოთხივე კალათში მოათავსა.

**ვლადიმერ ბოისამ** ცქიტოზე ერთით ნაკლები, 7 ქულა ჩააგდო. მისმა "სპარტაკ-პრიმორიემ" "სიბირტელეკომს" უმასპინძლა და იოლად გაუსწორდა - 97:65.

7 ქულის პარალელურად ვოვას ანგარიშზე 5 მოხსნა და 1 პასია(23 წუთში).

"პრიმორიე" სეზონის დაწყების შემდეგ პირველად შევიდა საუკეთესო რვაეულში - 9 შეხვედრიდან 4 აქვს მოგებული. რუსეთის ჩემპიონატის ფლეი ოფში სწორედ 8 რჩეული გადის.

ბოისას ოდენობის ქულა მიითვალა ესპანეთში მოასპარეზე **ტაირონ ელისმა**, მაგრამ მისმა "კახასოლმა" გაცილებით ხმაურიანი გამარჯვება ჩაიწერა - სევილიაში ევროგრანდი "ბარსელონა" შეარცხვინა - 75:58.

ვიდრე სატურნირო მდგომარეობაზე გესაუბრებოდეთ, ელისის სრულ მონაგარს გაგაცნობთ: 29 წუთში 7 ქულა და 7 მოხსნა. ქულებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მოხსნებში ტაირონი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო.

ამ ეფექტური გამარჯვების შემდეგ "კახასოლს" 9 მატჩში 3 გამარჯვება დაუგროვდა და მე-15-დან მე-13 პოზიციაზე გადაინაცვლა. "ბარსასთვის" კი ეს სეზონის მეორე ნაგება იყო. კატალონიელები მეორე ადგილზე არიან. ესპანეთის პირველობის ფლეი ოფშიც საუკეთესო რვაეული გადის.

ამ მიმოხილვისთვის სათაური უკვე შერჩეული მქონდა, "მხოლოდ მოგებები" უნდა დამერქმია, როცა **გიორგი ცინცაძის** ესტონური მატჩი ვნახე. ჩემთან ერთად, ალბათ ვერც თავად გიორგი მოიფიქრებდა, რომ მოგებათა სერიას "პირატასთან" მატჩში შეწყვეტდა. "ტარტუ როკი" ესტონეთის ჩემპიონატის მე-13 ტურში "პირატას" ესტუმრა და 79:84 დამარცხდა.

გიორგი ცინცაძემ მარკოიშვილს ვერა მაგრამ დანარჩენ ლეგიონერებს კი აჯობა: 26 წუთში 9 ქულა (6-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 2 ზუსტი საჯარიმო), 7 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა. 19 ქულით მატჩის სნაიპერი ბრაიან კუსვორსი გახდა.

სადღეისოდ "ტარტუ როკი" სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციას ინარჩუნებს - 10 მოგება, 3 ნაგება. "როკერები" მხოლოდ "კალევს" ჩამორჩებიან, რომელსაც ერთი ნაგებაც არ აქვს. მესამეა "ტარტუს" მძლეველი "პირატა" - 8 მოგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი

# ნანალაშვილი და პაიკიძე პირველობას ინარჩუნებენ

34 კაციანმა ქართულმა დელეგაციამ მერვე ტურში ყველაზე მეტი მარცხი იგემა - 13; ამათში ორი ქართული დერბის გამოძახილია, - **ქეთი ნანალაშვილმა თინათინ ბერიძეს** მოუგო თეთრებით, **მარიამ დანელიამ** კი ასევე თეთრებით **ნათია ჯალაბაძეს** აჯობა. 7-ჯერ ყაიმით ითამაშეს ქართველებმა და 14-ში იმარჯვეს.

ძალიან სამწუხარო იყო 12 წლამდელებში **ირაკლი ბერაძის** მარცხი, რომელმაც შავებით რუს ივან ბუკავშინთან წააგო. მიუხედავად მარცხისა, ბერაძე ძალიან არ ჩამორჩა ლიდერებს და თუკი მეცხრეში იმარჯვებს, სამეულს მიუახლოვდება. ასევე ძალიან დაგვწყვიტა გული მირანდა მიქაძემ, რომელმაც შავებით ჩეხ კატერინა ნემცოვასთან წააგო და მეთერთმეტე ადგილამდე ჩამოქვეითდა; თავის მხრივ ჩეხი ერთპიროვნულად გალიდერდა - 7 ქულა აქვს.

რამდენიმე ყაიმის შემდეგ 14-წლამდელებში მოთამაშე **ნაზი პაიკიძემ** შავებით უშუალო კონკურენტი ვიეტნამელი მაი ჰანგ ტჰუნი დაამარცხა და კვლავ ერთპიროვნულად ჩაუდგა ცხრილს სათავეში. მარიამ დანელიას მოგებაზე უკვე მოგახსენეთ, დავამატებთ, რომ მარიამმა მნიშვნელოვნად წაიწია წინ და მეექვსე ადგილზეა 6 ქულით.

ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა 16 წლამდელებში **ლევან ბრეგაძემ**, - შავებით აჯობა ძლიერ ებრაელ მოჭადრაკეს, ტამირ ნაბატის და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ლევანს 6,5 ქულა აქვს და ნახევარი ქულით ჩამორჩება პირველადგილოსანს.

ამ ასაკში, სამწუხაროდ, ბრეგაძეს გვერდს ვერ უბამენ **დავით ლომსაძე** და **დავით ბენიძე**, არადა, ისინი ფავორიტებად იყვნენ მიჩნეულნი... ორივეს 5 ქულა აქვს.

ალბათ უკვე შეიძლება იმაზე საუბარი, რომელ ასაკში შეგვიძლია მედლების მოპოვება. ორში - 14 და 16 წლამდე ასაკის გოგონებში ჩემპიონობასაც ველით, არათუ საპრიზო ადგილებს; ჩემპიონობის შანსი გვაქვს 16 წლამდე ვაჟებშიც; მედლებს კი, 12 წლამდე ბიჭებში და გოგონებში და 18 წლამდე გოგონებში შეგვიძლია გამოვკრათ ხელი.

ჩვენებურთა სატურნირო მდგომარეობა 8 ტურის შემდეგ ასეთია: **7 წლამდელები:** 35. ალექსანდრე ფანასენკო (5 ქულა); 118. ნიკოლოზ ჭანტურია (1,5); 14. ნინო ჯალალონია (5); 38. თინათინ ლალაძე (4); **10 წლიანები:** 45. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (4,5); 71. ნოე თუთისანი (4); 85. მამუკა ანთაძე (4); 28. მარიამ ჭოლაძე (5); 68. ნინო ხომერიკი (3,5); **12 წლიანები:** 6. ირაკლი ბერაძე (6); 96. აკაკი რუხაძე (3,5); 11. ნანი უნაფქოშვილი (6); 36. ანა კუჭავა (4,5); 42. ანა შამათავა (4,5); 66. ნატო იმნაძე (4); **14 წლიანები:** 25. გიორგი ნიკოლაშვილი (5,5); 46. ზურაბ ჯავახაძე (4,5); 113. გიორგი ცირეკიძე (3); 1. ნაზი პაიკიძე (7); 6. მარიამ დანელია (6); 13. მერი არაბიძე (5,5); 22. ლელა უგულავა (5); 25. ნათია ჯალაბაძე (5);**16 წლამდელები:** 3. ლევან ბრეგაძე (6,5); 24. დავით ბენიძე (5); 32. დავით ლომსაძე (5); 1. ქეთი ნანალაშვილი (7); 5. თინათინ ბერიძე (6); 13. სოფიკო გურამიშვილი (5,5); 23. სალომე ხაჟომია (5); 41. სალომე სირაძე (4,5); **17 წლიანები:** 19. გიორგი მარგველაშვილი (5,5); 11. მირანდა მიქაძე (5,5); 17. მერი ყორყოლიანი (5,5); 35. ქრისტინე მჟავია (4).

**ზვიად შათირიშვილი**

## გაგუნაშვილი მსოფლიო თასს მიღმა

რუსულ ხანტი-მანსიისკში მიმდინარე საჭადრაკო მსოფლიო თასზე პირველივე ეტაპიდან გავარდა ქართველი დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილი**. მერაბი ჩინელ **პენსიანკ ჭანკს** ხვდებოდა, ორი პარტია ყაიმით დასრულდა. ტაი-ბრეიკში უკვე 25-წუთიანი პარტიები ითამაშეს. პირველი ყაიმით დასრულდა. გადამწყვეტი მეორე პარტია აღმოჩნდა, რომელიც ჩინელმა მოჭადრაკემ თეთრი ფიგურებით მოუგო ქართველს. პარტია 55-ე სვლაზე დასრულდა, როცა გაგუნაშვილს მხოლოდ ეტლი დარჩა მეტოქის ეტლისა და ორი გამსვლელი პაიკის წინააღმდეგ.

**ნ. ნ.**

## სპორტის სასახლე ოზურგეთში

საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების მშენებლობა და ამოქმედება, ისევე როგორც საყოველთაო სარგებლობის მარტივი ტიპის სათამაშო მოედნებისა, ჩვენს ქვეყანაში გეგმაზომიერად გრძელდება.

ამას წინათ, როგორც ვიუწყებოდით, ქუთაისში გაიხსნა ტექნიკის თანამედროვე მიღწევებით აღჭურვილი სპორტული დარბაზი 1500 მაყურებლისთავის გათვალისწინებული ტრიბუნებით. ახლა ასეთივე პროექტით, ამ კვირის ბოლოს, გაიხსნება სპორტის სასახლე ოზურგეთში. სარბიელი გათვალისწინებულია კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის და მინიფეხბურთის მოყვარულებისთვის, ოღონდ ქუთაისისგან განსხვავებით, აქ ტრიბუნები მხოლოდ 500 მაყურებელზეა გათვლილი, რაც დამპროექტებლებს სრულიად საკმარისად მიაჩნიათ. *„გასულ უქმეებზე ოზურგეთის ახალი სპორტული სარბიელი მოვინახულეთ. სამუშაოები დამთავრებულია. ყველაფერი მაღალ დონეზეა შესრულებული. ამ დღეებში ოზურგეთელები სპორტული ბაზის ექსპლუატაციაში გაშვებას სტუმრებთან ერთად იზეიმებენ. ახლო მომავალში კი ახალი სპორტული კომპლექსი დუშეთში გაიხსნება."* - გვითხრა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსმა **ირაკლი სამყურაშვილმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ხელბურთი

ეროვნული ნაკრები

### ფინალამდე ფხაკაძეა

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ, გუშინ პრეზიდიუმის სხდომა გამართა, სადაც ეროვნული ნაკრების შესახებ იმსჯელა. კონკრეტულად, პრეზიდიუმმა განიხილა ნაკრების კონსულტანტ **იმედო ფხაკაძის** მიერ წარდგენილი მოსამზადებელი გეგმა 20 იანვარს გასამართი "ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის.

საბოლოოდ, ფხაკაძის გეგმა მოწონებულ იქნა და მასვე დაევალა ნაკრების მომზადება ფინალისთვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმედო ფხაკაძე სულ მცირე, 20 იანვრამდე უთავკაცებს გუნდს.

პრეზიდიუმზევე, გადაწყდა ისიც, რომ ეროვნული ნაკრების მენეჯერობა დაეკისრება **ელიზბარ არსენაშვილს**, ხოლო დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ჯემალ ცერცვაძე**.

ამ დღეებში ნაკრების საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე წევრები, სტუ-ს დარბაზში დაიწყებენ ვარჯიშს.

ლეგიონერები

### ჭანტურიას მწვანე და რუსიას წითელი

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე მესამე ეტაპის საპასუხო მატჩები გაიმართა. რა თქმა უნდა, ჩვენს უმთავრეს ინტერესს იწვევდა ევროთასებს შემორჩენილი ორი "ქართული" კლუბის - რუმინული "დინამოსა" და მაკედონიური "მეტალურგის" მატჩები.

ცუდი ამბით დავიწყოთ, რომელიც **ვლადიმერ რუსიას** და მის "დინამოს" გადახდათ თავს. უნგრეთის "დუნაფერთან" სტუმრად ათბურთიანი განადგურების შემდეგ, ვლახებმა საკუთარ მოედანზეც უშანსოდ წააგეს (27:36) და ევროპას მომავალ წლამდე გამოეთხოვნენ. პირველი შეხვედრის მსგავსად, რუსიამ კვლავ 3 გოლი შეაგდო. ამას გარდა, იგი ორჯერ მოხვდა ორწუთიან გაძევებაში, ერთხელ კი გააყვითლეს, რაც ბოლოს წითელ ბარათად დაუჯდა.

სამაგიეროდ, მერვედფინალისკენ მწვანე შუქი აენთო **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგს". სკოპიეში მხოლოდ ოთხბურთიანო ფორით მოგება, მაკედონიელებს თავის დაარხეინების საშუალებას არ აძლევდათ და შვედეთში მაქსიმალურად მობილიზებულები გავიდნენ მოედანზე. "მეტალურგმა" დასახული ამოცანა გადაჭარბებით შეასრულა, მეორე მატჩიც მოიგო (31:28) და მერვედფინალში გავიდა. თუკი პირველ მატჩში, ჭანტურია ერთ გოლს დასჯერდა, გუშინ რუსიას მსგავსად, სამჯერ გაიტანა.



სამტრედიის ჭაბუკთა გუნდი

ჭაბუკთა პირველობა

### სამტრედია ზამთრის ჩემპიონია

უფროსების მსგავსად, საქართველოს ჩემპიონატის საშემოდგომო სეზონი დაასრულეს 1992-93 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმაც. ამ ასაკს საქართველოს ხელბურთის ფედერაცის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, რადგან იქ მონაწილე 8 გუნდი, ქართული ხელბურთის ხვალინდელ დღედ ითვლება. ფედერაცია იმედოვნებს, რომ უახლოეს წლებში, ამ ასაკიდან სერიოზულ შევსებას მიიღებენ ეროვნული ჩემპიონატი და ასაკობრივი ნაკრები გუნდები.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად დაყოფილი ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი ჩატარდა საქართველოს რამდენიმე ქალაქში - თბილისში, ყვარელში, რუსთავში, ქუთაისში, სამტრედიაში, გორსა და ბათუმში.

მისასალმებელია, რომ ხელბურთის ფედერაცია ცდილობს, მაქსიმალურად ბევრი რეგიონი მოიცვას, მაგრამ ცუდია, რომ თბილისის გარდა, არსად არ აქვს სტანდარტული მოედანი. იმ ქალაქებში კი, სადაც სამთავრობო პროგრამის ფარგლებში თანამედროვე ხელბურთის მოედნები კეთდება, მხოლოდ ქუთაისში არსებობს ხელბურთი...

საბოლოოდ, ზამთრის არდადეგებისთვის, პირველ პოზიციაზეა სამტრედია, რომელსაც 26 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე მოდიან რუსთავი (22 ქულა), გორი (18), "ქარიშხალა" (12), ფოთი (12), ქუთაისი (6), ყვარელი (6), ბათუმი (2).

ბომბარდირთა დავაში, 133 გოლით ლიდერობს სამტრედიელი **გიორგი ნიკოლაიშვილი**. მას კვალში უდგანან **დავით მძელური** ("რუსთავი, 127), და **ირაკლი გოგიშვილი** ("ფოთი", 123).

ჩემპიონატი გაზაფხულზე მიმოსვლითი სისტემით განახლდება. შემდეგ აღმოსავლეთისა და დასავლეთის რეგიონები გაერთიანდებიან და ბათუმში ეთამაშებიან ერთმანეთს. საბოლოოდ, 6 საუკეთესო გუნდი, თბილისში გამოარკვევს ჩემპიონ-პრიზიორთა ვინაობას.

**კობა ხატისაშვილი**

## ჩოგბურთი



ირაკლი ლაბაძე

### კლასიფიკაციიდან ლაბაძე გაქრა

მას შემდეგ, რაც 1998 წელს **ირაკლი ლაბაძე** პროფესიონალი გახდა, ნიჭიერი და ოდნავ ექსტრავაგანტური ცაცია ჩოგბურთელი მუდმივად მსოფლიო კლასიფიკაციაში იყო. ირაკლიმ 2004 წლის ზაფხულში კარიერის პიკს მიაღწია და მსოფლიოს 42-ე ჩოგანი გახდა. რვაწლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში ირაკლიმ მილიონ 213 ათასი დოლარი მოიხვეჭა. 2002-2005 წლებში ის მუდმივად მსოფლიოს მოწინავე ასეულში იყო. ეს ყველაფერი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ პირველად 1998 წლის მერე ირაკლი ლაბაძე მსოფლიო კლასიფიკაციაში აღარ არის, ტრავმამ მის კარიერას დიდი საფრთხე შეუქმნა, ლაბაძემ წლეულს მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ისიც "დევისის თასის" მატჩში, რომლის შედეგიც ATP-ის რეიტინგში არ ითვლება. ლაბაძე ჯერ მხოლოდ 25 წლისაა, ასე რომ ყველაფერი მის ხელთაა.

მსოფლიო კლასიფიკაციაში კი ოთხი ქართველი დარჩა, ოთხივემ უკან დაიხია. საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** ერთი ადგილი დაკარგა ერთ კვირაში, ლადო 94 ქულით მსოფლიოს 356-ე ჩოგანია. ჩიხლაძემ წელიწადი 546-ე ჩოგნად დაიწყო. როგორც ხედავთ, წინსვლა თვალსაჩინოა, თუმცა დიდებული მონოდების პატრონი 22 წლის ჩიხლაძისგან ქართველი გულშემატკივარი მაინც მეტს ელოდა.

სხვა ქართველები რეიტინგში: 1261 (-9) **ნოდარ ითონიშვილი** - 3, 1475 (-14) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია**. ამ კვირაში გასამართ ჩელენჯერის და ფიუჩერსის ტურნირებში ქართველი ჩოგბურთელები არ მონაწილეობენ.

### სამი ქართველის პირადი რეკორდი

გუშინ გამოქვეყნდა ქალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი, კლასიფიკაციაში კვლავ 10 ქართველი ჩოგბურთელი ქალია. სიას სათავეში კვლავ 24 წლის **მაკა ჩახნაშვილი** უდგას, მაკას 189,5 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 170-ე ჩოგანია, რაც წინა კვირის მაჩვენებელს ორი საფეხურით ჩამორჩება. დღეისათვის ჩახნაშვილს კარიერის განმავლობაში 135 ათასი დოლარი აქვს მიღებული.

მეორე ადგილზეა 17 წლის **ანა ტატიშვილი**, ანა 92 ქულით მსოფლიოს 274-ე (-1) ჩოგანია. ერთი ადგილით დაიხია უკან **სოფიო შაფათავამაც**, რომელიც 46 ქულით მსოფლიოს 403-ე ჩოგანია. კარიერის მორიგი საუკეთესო შედეგი აჩვენა 20 წლის **თინათინ ყავლაშვილმა**, რომელმაც 12 ადგილით წაიწია წინ და ხუთასეულს მიუახლოვდა, თინათინს 31 ქულით 506-ე პოზიცია უკავია.



თინათინ ყავლაშვილი

სხვა ქართველები რეიტინგში: 586 (+1) **სალომე დევიძე** - 22 ქულა; 623 (+2) **მანანა შაფაქიძე** - 19; 638 (+1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18; 697 (+39) **სოფიო ქვაცაბაია** - 15; 794 (+3) **ეკა გორგოძე** - 10; 840 (+4) **სოფიო მელიქიშვილი** - 9. ყავლაშვილის მსგავსად პირადი მიღწევები გაიუმჯობესეს შაფაქიძემ და ქვაცაბაიამ. წყვილთა თანრიგის კლასიფიკაციაში 209-ე პოზიციაზეა მაკა ჩახნაშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა 424-ეა, ხოლო სოფიო ქვაცაბაია - 476-ე.

ესპანეთიქ ქალაქ კასტელონში ვალ დე უხოს თიხნარის კორტებზე დაიწყო საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი), რომლის ძირითად ბადეში გასვლას ურეიტინგო **მაგდა ოქრუაშვილი** ცდილობს. მაგდა პირველ საკვალიფიკაციო წრეში ისვენებდა, მეორეში მან ესპანელი **კაროლა გონსალეს კარიდო** დაამარცხა - 6:1, 6:3. ფინალურ წრეში მას მე-8 ნომრად განთესილი ესპანელი **ლუსია სერვერა-ვასკესი** (1064) შეხვდება. 17 წლის ოქრუაშვილმა აქამდე სამჯერ შეძლო ტურნირია ძირითად ბადეში გასვლა, სამჯერვე საქართველოს კორტებზე. ძირითად ბადეში მანანა შაფაქიძე და სოფიო ქვაცაბაია ითამაშებენ.



ნიკოლოზ ბასილაშვილი

### გორგოძე გავარდა, ბასილაშვილი იწყებს

ამერიკაში მიმდინარეობს ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირი სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდა ჩოგბურთელებს შორის, მათ შორის ყველაზე პრესტიჟულ, უფროს ასაკში (18-წლამდელებში) ტურნირი ITF-ის ეგიდით პირველი კატეგორიისაა. ამ შეჯიბრების საკვალიფკაციო ეტაპზე 15 წლის **ეკა გორგოძე** მონაწილეობდა, ქართველმა ორი ეტაპი გაიარა, თუმცა მესამეში ამერიკელ **ჯესიკა ალექსანდერთან** წააგო - 4:6, 6:4, 1:6 და ძირითად ბადეში ვერ მოხვდა.

ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირის 16-წლამდელთა შეჯიბრების ძირითად ბადეში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** იასპარეზებს, ის მე-14 ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში ბულგარელ **ცვეტან მიჰოვს** შეხვდება.16 წლამდელთა ტურნირის ძირითად ბადეში ერთი ქართველი გოგონაა: **მარი სამადაშვილი** პირველ წრეში მექსიკელ **ვიქტორია ლოზანოს** ეთამაშება. ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირი სხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც იმართება, თუმცა მათზე მოგვიანებით მოგითხრობთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



LOYAL CAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank

# თასს პლუს ბზის თასი

## ყოჩები საქართველოს სამგზის ჩემპიონია

**ფინალი**

26 ნოემბერი, მიხეილ მესხი

**ლელო-ყოჩები 9:15**

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, ფირფილაშვილი, ცერცვაძე (ჯოგლიძე 71), ხმალაძე, ჭინძარაული; (1-8) სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, მჭედლიშვილი, დ. დაუშვილი, ჯალალონია (ი. დაუშვილი 68), მძინარიშვილი, სარდანაშვილი (იორდანიშვილი 18), კოლელიშვილი (ახალაია 56) - *3ს: ყიასაშვილი*

ყოჩები: (15-9) გეგენავა, ელოშვილი, დ. კაჭარავა, ადანაია, ს. ნიჟარაძე, მალალურაძე, გ. კაჭარავა; (1-8) ასეიშვილი, გ. ნიჟარაძე (ჭავჭავაძე 69), ყალიჩავა, ბელაშვილი, არჩუაშვილი, გენებაშვილი (ახვლედიანი 69), ბრეგვაძე, გ. კაჭარავა - *2ლ (გ. კაჭარავა, ჭავჭავაძე); გ,ს (მალალურაძე)*

მსაჯი: პატრიკ პეშამბერი (საფრანგეთი)



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**მიხეილ მესხის** სტადიონზე, საქართველოს მე-18 ჩემპიონატის ფინალში „ყოჩებმა" ურთულეს ბრძოლაში „ლელო" დაამარცხეს და წლეულს მოპოვებულ ერთ ჯილდოს, საქართველოს თასს ჩემპიონისთვის განკუთვნილი "ბზის თასიც" დაუმატეს.

„ყოჩებმა" საქართველოს ჩემპიონის ტიტული 9 წლის შემდეგ დაიბრუნა. 1997-98 წლებში ამ გუნდმა ზედიზედ ორჯერ შესძლო ქვეყნის საუკეთესო გუნდის სახელის მოპოვება. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა იმდროინდელი შემადგენლობიდან ორი კაცი დღესაც იბრძვის ახალი თაობის გვერდიგვერდ. მოთამაშემწვრთნელი ნიკო ჭავჭავაძე და მესამეხაზელი კახა კობახიძე.

ანგარიში „ლელომ" პირველივე შეტევისას გახსნა. მე-2 წუთზე **ირაკლი ყიასაშვილმა** 30 მეტრიდან საჯარიმო ზუსტად დაარტყა - 3:0. ერთი წუთიც არ გასულიყო, „ყოჩებმა" მეტოქეს ლელო გაუტანეს. 8 ნომერმა **კახა კობახიძემ** ბურთი შერკინებიდან სწრაფად გამოიტანა და მოკლე ფრთაზე 9 ნომერ **გიორგი კაჭარავას** გადააწოდა. რატომღაც, აქ ლელოელები მეჩხერად იდგნენ. „კაჭიმ" ამით ისარგებლა და წარმოქმნილ სიცარიელეში სწრაფად შეიჭრა. „ლელოს" ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი მას** ზედ ლელოს ხაზთან წამოეწია, თუმცა შეჩერება ვერ შეძლო. **ლაშა მალალურაძემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა 7:3. ლაშამ კიდევ ერთხელ საჯარიმოდან 29-ე წუთზე გაიტანა, როცა ყიასაშვილის საჯარიმოს შემდეგ ანგარიში 7:6 იყო - 10:6. მალალურაძემ ამის შემდეგ ოთხი საჯარიმო და ერთიც გარდასახვა ვერ გაიტანა.

ოთხი ქულით დაწინაურებული „ყოჩების" წამოწევა „ლელომ" ტაიმის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მოახერხა. ყიასაშვილმა საჯარიმოდან ისევ ზუსტად დაარტყა - 9:10.

მეორე ტაიმი „ლელომ" უფრო აქტიურად დაიწყო. ისინი პირველი ნახევრისგან განსხვავებით ცდილობდნენ, უფრო სწრაფად ემოქმედათ. თუმცა, ლელოელები რატომღაც შერკინებით ცდილობდნენ სანადელის მიღწევას, მაშინ, როცა ეს რგოლი სულაც არაა ამ გუნდის ყველაზე ძლიერი მხარე. "ლელოს" მოძრავი, სწრაფი და ლამაზი კომბინაციებით გამორჩეული უკანა ხაზი მთელი თამაშის განმავლობაში თითქმის უქმად იდგა.

„ლელომ" რამდენჯერმე საკუთარი დერეფანიც წააგო. ერთ-ერთი ასეთი შეცდომის გამო ისინი ლელოთი დაისაჯნენ და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. 71-ე წუთზე მათ საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანი უხეიროდ ააგდეს. „ყოჩების" შერკინებამ რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელა და რაკში უხვად ჩაითრია მოწინააღმდეგე. მერე **გიორგი კაჭარავამ** მარჯვნივ მოკლე ფრთაზე **კახა კობახიძეს** გაუტანა ბურთი, ამან კიდევ უფრო მარჯვნივ, ერთის გამოტოვებით კიდესთან ეულად დარჩენილი კვაჭს **ნიკო ჭავჭავაძეს** გადააწოდა, რომელმაც ფიზიკურად ბევრად პატარა, მოწინააღმდეგის ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** გადათელა და გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა, მალალურაძემ ვერ გარდასახა - 15:9.

დარჩენილ დროში „ლელოს" ერთხელ მიეცა შანსი, მატჩი გადაერჩინა. მეტოქის ლელოს ისინი შერკინების დარტყმებით უტევდნენ. ბურჯმა **გიორგი მჭედლიშვილმა** რაკიდან გამოტანილ ბურთთან ერთად ხაზი გაქრა და ლელოდან ერთ მეტრში შეაჩერეს, იქ კი ნაქცეულმა ბურთს ხელი არ გაუშვა და დაჯარიმდა.

**საქართველოს რაგბის კავშირმა გამარჯვებულ გუნდს პრემიალური თანხა, 5000 ლარი გადასცა, ფინალისტს - 3000. ფინალის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს "ყოჩი" გიორგი კაჭარავა და "ლელოელი" ვახტანგ მძინარიშვილი. ამით 2007 წლის სარაგბო სეზონი დასრულდა. მომდევნო წელიწადი თებერვალში, ევროპის ერთა თასის მატჩებით გაიხსნება.**

ბესიკ ჯანგავაძე

# ფრანგმა ქართულ ჭიდაობაში რაგბის რეზერვი დაინახა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ბოლოდროინდელ აღიარებასთან ფრანგი სპეციალისტის **ნიკოლა ფულკიეს** სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული. ეს კაცი, წლეულს, ივლისიდან, ბორჯღალოსნებთან მწვრთნელად მუშაობს საერთო ფიზიკურ მომზადებაში და დიდი წვლილი მიუძღვის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩვენი გუნდის სახელოვნად წარმოჩენაში.

რაგბის განვითარების პროგრამა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის მითითებით ხორციელდება, მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს, მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთა მომზადების ჩათვლის. ნიკოლა ფულკიეს საქართველოს რაგბის კავშირმა შესთავაზა მოკლევადიანი კონტრაქტი, გრძელვადიანად აქციოს და 2008 წლიდან, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იმუშაოს საქართველოში საერთო ფიზიკური მომზადების მწვრთნელად მორაგბეთა ყველა ასაკის ნაკრებში, ამასთან, პარალელურად, მოამზადოს სპეციალისტები.

გუშინ, საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა **გია ნიჟარაძემ** ფრანგი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან მომავალ გეგმებზე სასაუბროდ მიიწვია. საუბარი გაიმართა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან **გია გალდავასთან.**

გარდა იმის განმეორებისა, რაც შეჯერებული იყო რაგბის კავშირთან და მთავარზე ზემოთ უკვე ითქვა, ფრანგმა მწვრთნელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მორაგბეთა საერთო ფიზიკური მომზადების მეთოდიკა იხვეწება, ინერგება მთელი რიგი სიახლეები და ამ სიახლეთა უნიკალურ, ჯერ კიდევ ხელუხლებ შესაძლებლობებს ის ხედავს სწორედ საქართვლეოში, კონკრეტულად კი ქართულ ჭიდაობაში.

*„რაგბი მეტწილად ძალისმიერი სპორტის სახეობაა და გამარჯვება დიდადაა დამოკიდებული ამ კომპონენტზე. მე ვიცი, რომ ქართულ ჭიდაობას უამრავი ილეთი გააჩნია თავის ტექნიკურ არსენალში, ვიცი ისიც, რომ ბევრი თქვენი მორაგბე სწორედ ჭიდაობიდან მოვიდა სპორტის ამ სახეობაში, თუნდაც ლევან ცაბაძის მაგალითი რად ღირს. ნათლად ვხედავ, ქართული ჭიდაობის ილეთების დანერგვა საერთო ფიზიკური მომზადების პროცესში რა სიკეთეს მოიტანს. ახლო მომავალში სულ სხვა დონის და შესაძლებლობების ასაკობრივი ნაკრებები გეყოლებათ საქართველოში"* - თქვა ნიკოლა ფულკიემ.

გია გალდავამ აღნიშნა, რომ ფრანგ სპეციალისტს მუშაობის საუკეთესო პირობებს შეუქმნიან. ხოლო, რაც შეეხება კონტრაქტის ოფიციალურ გაფორმებას, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თქმით, ეს საკითხი მომავალი წლის იანვრის მეორე ნახევრაში საბოლოოდ გადაწყდება, რაზედაც შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლა ფულკიე სამშობლოში მიემგზავრება და საქართველოში დაახლოებით 10 იანვრისთვის დაბრუნდება.



ნიკოლა ფულკიე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

## ო'ნილი ჯერ ვერ ბრუნდება

"ინდიანა პეისერსის" ლიდერ **ჯერმეინ ო'ნილს** ზედიზედ მესამე მატჩის გამოტოვება მოუწია. ფორვარდმა მარცხენა მუხლის ტრავმის გამო "კლივლენდთან" შეხვედრაში ვერ მიიღო მონაწილეობა.

ო'ნილმა ფეხი ჯერ კიდევ 8 ოქტომბერს დაიზიანა, შემდეგ კი, ტრავმა გაიმიზეზა და ახლა, ექიმები ვერ აკონკრეტებენ მისი მოედანზე დაბრუნების ზუსტ თარიღს.

ჰოკეი

## ნეშვილის პრეზიდენტს მინესოტას ყიდვა სურს

როგორც ცნობილია, "ნეშვილ პრედატორზის" მფლობელმა **კრეიგ ლეოპოლდმა** გასულ კვირას შეათანხმა კლუბის 193 მილიონ დოლარად გაყიდვის საკითხი. ახლა კი ირკვევა, რომ ბიზნესმენი მომავალ ზაფხულს NHL-ის მეორე კლუბის, "მინესოტა უაილდის" შეძენას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ "ველურების" ხელმძღვანელობა კლუბისთვის ახალ ინვესტორს ეძებს, ლეოპოლდი კი, რომელიც მეზობელ შტატ ვისკონსინშია დაბადებული, შესანიშნავი ვარიანტი შეიძლება აღმოჩნდეს.

## ჩიკაგომ ფინელი გამოიძახა

"ჩიკაგო ბლეკჰოქსის" ხელმძღვანელობამ შემადგენლობის გაძლიერების მიზნით, ფარმ კლუბ "როკფორდიდან" 23 წლის ფორვარდი **პეტრი კონტიოლა** გამოიძახა.

ფინელი ფორვარდი საკმაოდ შედეგიანად თამაშობს "როკფორდის" რიგებში. ამ ჰოკეისტის ანგარიშზე 19 მატჩში ოთხი გოლი და 16 შედეგიანი გადაცემა მოდის.

ფორმულა 1

## ჰონდა უნდა გაძლიერდეს

**ედი ჯორდანს** მიაჩნია, რომ ახლა, როცა "ჰონდაში" მივიდა "ფერარის" ყოფილი ტექნიკური დირექტორი **როს ბრაუნი**, იაპონური საჯინიბო ვალდებულია წარმატებებს მიაღწიოს. ამიერიდან, ჩავარდნის შემთხვევაში "ჰონდას" გასასამართლებელი საბუთი აღარ ექნება.

*"ბრაუნი "ჰონდაში" არ წავიდოდა, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო ფინანსურ დახმარებაში, ინჟინრების მაღალ კვალიფიკაციასა და პილოტების შემადგენლობაში. დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ გუნდისთვის უსწრაფეს მანქანას შექმნის. ამ სპეციალისტმა უკვე არაერთხელ დაიმსახურა ფორმულა 1-ის სამყაროს ყველა წევრის პატივისცემა. ის შეიძლება საუკეთესო კონსტრუქტორი არ არის, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად საუკეთესოა გუნდის გაერთიანებასა და მართვაში. გარდა ამისა, შორსჭვრეტის კარგი უნარი და უდიდესი გამოცდილება გააჩნია, მის აზრს იზიარებენ მაქს მოსლი და ბერნი ექლსტოუნი. როს ბრაუნს დიდი მიღწევები ჰქონდა "ბენეტონში" და "ფერარიში", მაგრამ მისი ამჟამინდელი ამოცანა ყველაზე რთული იქნება"*, - ამბობს გუნდ "ჯორდანის" ყოფილი მფლობელი.

## სუპერ აგურიში შემცირებებია

ფორმულა 1-ის იაპონურ გუნდ "სუპერ აგურიში" შტატების შემცირება იწყება. სავარაუდოდ, ამ საჯინიბოს 30 თანამშრომელს სამსახურის დატოვება მოუწევს.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ "სუპერ აგურის" მთავარმა სპონსორმა - SS United-მა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები და ამის გამო, 2008 წლის დასაწყისისთვის მომსახურე პერსონალის რიცხვი შესამჩნევად შემცირდება.

გამორიცხული არ არის, რომ დათხოვნილი თანამშრომლები დიდხანს არ დარჩებიან უმუშევრები და მათ "ჰონდა" შეიფარებს.

## რენომ სპონსორი შეინარჩუნა

ანალოგიური პრობლემები არ ემუქრება ფრანგულ "რენოს". ამ გუნდმა გააგრძელა კონტრაქტი თავის ტექნიკურ სპონსორთან - კომპანია Mecachrome International-თან, რომელიც ფორმულა 1-ის ბოლიდებისთვის ძრავების აწყობაზე სპეციალიზირდება. ახალი ხელშეკრულება 2010 წლის ბოლომდეა გაფორმებული.

*"რენო" და Mecachrome International უკვე მრავალი წლის მანძილზე თანამშრომლობენ. ამ მუშაობის შედეგები შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს. რად ღირს თუნდაც ფერნანდო ალონსოს მიერ მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ორი ტიტული. ამასთან დაკავშირებით, მხარეებმა თანამშრომლობის გაგრძელება გადაწყვიტეს"*, - წერია კომპანიის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

## ზაუბერს ახალი სპონსორი ჰყავს

ამასობაში, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორეადგილოსანმა, "BMW-ზაუბერმა" ახალი სპონსორი იშოვნა. გასულ უიქ ენდზე, ამ საჯინიბომ კონტრაქტი გააფორმა შვეიცარიულ ქიმიურ კონცერნ Sika-სთან.

ხელშეკრულების გაფორმება საკმაოდ პომპეზურად ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს "BMW-ზაუბერის" ბოსმა **მარიო ტიისენმა** და გუნდის პილოტებმა - გერმანელებმა **ნიკ ჰაიდფელდმა** და პოლონელმა **რობერტ კუბიცამ**.

## ჰაიდფელდმა მაკლარენი იუარა

სწორედ Sika-სთან კონტრაქტის გაფორმების დროს, ჟურნალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს **ნიკ ჰაიდფელდთან** გასაუბრების შესაძლებლობა და პილოტს ბოლოდროინდელი ჭორების კომენტირება სთხოვეს. საუბარი ეხებოდა გერმანელი პილოტის "მაკლარენში" სავარაუდო გადაბარგების პერსპექტივას.

*"BMW-ზაუბერთან" გასული სეზონის შუაში გავაფორმე კონტრაქტი და იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს "მაკლარენს" დიდ კონკურენციას გავუწევთ, თუმცა ეს ძალიან რთული იქნება. მოკლედ, ჩემს ამჟამინდელ გუნდთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და ამ მხრივ სხვა სათქმელი არაფერი მაქვს - არანაირი მოლაპარაკებები არ ყოფილა და არც იქნება"* - კატეგორიულად უარყო ჭორები ჰაიდფელდმა.

## რალფს მაკლარენი მოსწონს, მაგრამ არ უნდა

ჰაიდფელდისგან განსხვავებით, "მაკლარენში" გადასვლის პერსპექტივა ძალიან ხიბლავს ამჟამად უგუნდოდ მყოფ კიდევ ერთ გერმანელს, **რალფ შუმახერს**. სააგენტო "როიტერთან" საუბარში, უმცროსმა შუმახერმა სწორედ **ფერნანდო ალონსოს** წასვლის შემდეგ გაჩენილი ვაკანსია დაასახელა ყველაზე სასურველ ადგილად მთელს ფორმულა 1-ში.

*"მაკლარენის" სუპერმანქანაზე ნებისმიერი პილოტი იოცნებებდა. გამონაკლისი არც მე გახლავართ"* - აცხადებს გერმანელი პილოტი, მაგრამ იქვე ამატებს, რომ მას "მაკლარენმა" შესაბამისი წინადადებით რომც მიმართოს, ის კონტრაქტს მაინც არ გააფორმებს, რადგან იცის, რომ ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს**.

"ტოიოტადან" წასვლის შემდეგ, რალფ შუმახერს ჯერაც ახალი გუნდის ძიებაშია.



რეიტინგი

# ფედერერის 200 კვირა



როჯერ ფედერერი

2004 წლის 2 თებერვალს, პროფესიონალ მამაკაცთა რეიტინგს სათავეში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ჩაუდგა. გუშინ, 2007 წლის 26 ნოემბერს, "კორტების მეფემ" კლასიფიკაციაში უწყვეტი, 200-კვირიანი ბატონობა აღნიშნა. მანამდე, ამ მაჩვენებლით რეკორდსმენად ლეგენდარული ამერიკელი ჯიმი კონორსი ითვლებოდა, რომელმაც ზედიზედ 160 კვირის მანძილზე არავის დაუთმო პირველობა რეიტინგში, თუმცა მისი რეკორდი ამ წლის დასაწყისში გენიალურმა შვეიცარიელმა მოხსნა.

ATP-ის რეიტინგების თანამედროვე ისტორია 1973 წლის 23 აგვისტოს დაიწყო, როცა პროფესიონალ ჩოგბურთელთა სიას სათავეში რუმინელი **ილიე ნასტასე** ჩაუდგა, რომელმაც პირველ ადგილზე 40 კვირა გაძლო. აქედან მოყოლებული, 34 წლის განმავლობაში პირველი ჩოგანის ტიტულის მფლობელი 85-ჯერ შეიცვალა.

მართალია, ფედერერმა კონორსის ერთი რეკორდი მოხსნა, მაგრამ წარსულის ვარსკვლავებს როჯერისთვის კიდევ ერთი გამოწვევა აქვთ. ამერიკელი **პიტ სამპრასი** სხვადასხვა პერიოდში, ჯამში 286 კვირის განმავლობაში იყო ATP-ის საუკეთესო ჩოგბურთელი. ის ამ მხრივ მსოფლიო რეკორდსმენია. შემდეგ მოდის გაამერიკელებული ჩეხი **ივან ლენდლი** - 270 კვირა, ხოლო სამეულს ავსებს ჯიმი კონორსი - 168 კვირა.

ასე რომ, თუ ფედერერს უნდა სამპრასის რეკორდის მოხსნა, მაშინ მან 2009 წლის 20 ივლისამდე უნდა გაძლოს საჩოგბურთო მეფის ტახტზე.

რეიტინგი და გამოკითხვები

# იანკოვიჩი რეკორდსმენია

## ყველაზე მომხიბვლელი და სასურველი ჩოგბურთელების სიას სამი სერბი ლიდერობს

წლევანდელი საჩოგბურთო სეზონი დასრულდა და ექსპერტები თუ სხვადასხვა გამოცემები წლის ლაურეატებისა და რეკორდსმენების გამოვლენას იწყებენ.

ერთ-ერთი ასეთი რეკორდსმენი გახდა სერბი ჩოგბურთელი **ელენა იანკოვიჩი**. აღმოჩნდა, რომ წლევანდელ პროფესიულ ტურში სწორედ მან ჩაატარა ყველაზე მეტი მატჩი. იანკოვიჩს, რომელმაც 2007 წლის სეზონი მე-12 ჩოგანის რანგში დაიწყო და საბოლოოდ, მესამე პოზიციამდე ალზევდა, იანვრიდან მოყოლებული 96 მატჩში მოუწია მონაწილეობის მიღება.



ელენა იანკოვიჩი

ამ მაჩვენებლით იანკოვიჩმა არა მხოლოდ თავის ქალ კოლეგებს, არამედ მამაკაც პროფესიონალ ჩოგბურთელებსაც კი აჯობა. სხვათა შორის, ამ მხრივ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის პირველობა ვინმე **მიგელ ანხელ ლოპეს ხაენს** ერგო - ATP-ის რეიტინგში 278-ე ადგილზე მყოფ ესპანელს იანკოვიჩზე ხუთით ნაკლები მატჩი დაუგროვდა.

შედარებისთვის, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა და სეზონის მთავარმა ტრიუმფატორმა, ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** 64 მატჩი ჩაატარა, იანკოვიჩის თანამემამულე **ანა ივანოვიჩმა** - 66. წელს ნაკლებად აქტიური იყო რუსი **მარია შარაპოვა**, რომლის ანგარიშზეც 45 შეხვედრა მოდის. ამის მიზეზი მარიას ტრავმიანობა იყო.

რაც შეეხებათ ATP-ის ტურის ლიდერებს, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, შესაბამისად 73-ჯერ, 83-ჯერ და 79-ჯერ გავიდნენ კორტზე.

■ ■ ■

მეტად საპატიო ტიტულზეა ნომინირებული შვეიცარიელი როჯერ ფედერერი. ჟურნალი GQ, ტრადიციულად წლის მამაკაცს ასახელებს და 2007 წლის ტიტულზე პრეტენზიას სწორედ თანამედროვე ჩოგბურთის ლიდერი აცხადებს. როჯერის კონკურენტები არიან ნიუ იორკის მერი **მაიკლ ბლუმბერგი**, მსახიობი **ტომ ჰენქსი** და ბეისბოლის გუნდ "ნიო იორკ იანკის" მოთამაშე **ალექს როდრიგესი**.

ლეგენდარულმა შვედმა ჩოგბურთელმა **ბიორნ ბორგმა** ფედერერისადმი მხარდასაჭერად ასეთი წერილი გამოაცხო: *"ჩემთვის ფედერერზე დაკვირვება - იგივეა, რაც მსახიობზე დაკვირვება, ვინაიდან როჯერს კორტზე ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ფედერერს სურს გახდეს ისეთი მოთამაშე, რომელსაც კარიერაში "დიდი სლემის" ყველაზე მეტი ტურნირი ექნება მოგებული და მჯერა, რომ ის ამას შეძლებს. თუ შვეიცარიელი ასევე მოტივირებული იქნება და ტრავმებს არ მიიღებს, ყველა დროის ყველაზე დიადი ჩოგბურთელი გახდება"*.

■ ■ ■

პოპულარულმა ვებ-გვერდმა outsports.com-მა კი, თავის თავზე აიღო წლის ყველაზე მომხიბვლელი ჩოგბურთელების გამოვლენა. გამოქვეყნდა საუკეთესო ათეული და საინტერესოა, რომ სამი პირველი ადგილი სერბმა ჩოგბურთელებმა დაიკავეს: პირველი იყო ნოვაკ ჯოკოვიჩი, მეორე ანა ივანოვიჩი და მესამე - **იანკო ტიპსარევიჩი**.

ხუთეულს ავსებენ სლოვაკი **ნიკოლ ვაიდიშოვა** და ესპანელი რაფაელ ნადალი: შემდეგ მოდიან **სანია მირზა** (ინდოეთი), **ოლივიე როხუსი** (ბელგია), **ელენა დემენტიევა** (რუსეთი), **ენდი როდიკი** (აშშ) და **ტატიან გოლოვინი** (საფრანგეთი).

რეიტინგის შემდგენლებმა თავიანთი არჩევანი ასე ახსნეს: *"არცერთი ჩვენთაგანი არ უყურებდა ტაბლოს, როცა ისინი თამაშობდნენ"*. სწორედ ამიტომაც, ამ გეი-საიტის სიაში ვერ მოხვდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგნები - როჯერ ფედერერი და ჟუსტინ ანენი. ასევე ვერ ვხედავთ ყველაზე სასურველთა რეიტინგში მარია შარაპოვას, **დანიელა ჰანტუხოვას** და **მარია კირილენკოს**.

ვარსკვლავი

# ჩინეთში ჩანგის აკადემია გაიხსნება

ჩოგბურთის ისტორიაში "დიდი სლემის" ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული, ამერიკელი **მაიკლ ჩანგი** თავის დროსა და ფულს ჩინური ჩოგბურთის განვითარებას მოახმარს. მომავალ წელს, ჩინეთში მუშაობას დაიწყებს ჩანგის საჩოგბურთო აკადემია.

სკოლა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გოლფ-კლუბში, Mission Hills Country Club-ში იქნება განთავსებული. ამ ტერიტორიაზე უკვე არსებობს თიხის საფარიანი 51 კორტი.

*"ჩინეთი შესანიშნავი ქვეყანაა ჩოგბურთის ასაღორძინებლად"*, - ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება მაიკლ ჩანგმა, რომელმაც 1989 წელს როლან გაროსი მოიგო და თავის დროზე, მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილი ეკავა.

როგორც ჩანს, სწორედ ეს აკადემიაა იმის მიზეზი, რომ ამიერიდან, ჩანგი აღარ ითვლება ქალთა შორის ჩინეთის მეორე ნომრის, **შუაი პენის** მწვრთნელად. თუმცა მაიკლს მიაჩნია, რომ მაინც შეძლებს თავის აწ უკვე ყოფილ შეგირდს პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოგებაში დაეხმაროს.

ჩანგი პენს ამ სეზონში ავარჯიშებდა და ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ჩოგბურთელი ძალიან ცოტა დროს უთმობს ვარჯიშებს. მათი თანამშრომლობის შეწყვეტის ერთი მიზეზი ესეც არის. *"მე აღარ ვიქნები მისი პირადი მწვრთნელი. პენს სჭირდება სპეციალისტი, რომელიც მასთან ერთად ტურნირებზე იმოგზაურებს. მე კი, ამის დრო არ გამაჩნია. მაგრამ თუ მას რაიმე დახმარება დასჭირდება, ჩვენი აკადემიის კარი ყოველთვის ღია იქნება მისთვის. ჩვენ ძალიან ბევრს ვკამათობდით. შესაძლოა, შუაის ძალიან მკაცრი ვეჩვენებოდი და ამის გამო, არასაკმარისად ვარჯიშობდა"*, - აცხადებს ჩანგი.

საერთოდ, ამერიკელს მიაჩნია, რომ ჩინელებმა უნდა შეცვალონ საწვრთნელი პროცესისადმი მიდგომა, კერძოდ, ეს ეხება ფიზიკურ მომზადებასა და სათამაშო სტილს.

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–დალასი 2:3**

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 იაგრი-5 (დუბინსკი-3), 1:1 ი. იოკინენი-8 (რობიდასი-4), 2:1 შენეჰანი-7 (ეივერი-7, გომესი-13), 2:2 ლ. ერიქსონი-1 (ზუბოვი-17, მოდანო-9), 2:3 მოროუ-9 (რიბეირო-13, ნისკანენი-6).

**სენტ ლუისი–კალგარი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მაიერსი-5 (სტემპნიაკი-10, ბრიუერი-4), 2:0 ბოიესი-13 (უეიტი-6, ბეკმენი-6), 3:0 მაიერსი-6 (რ. ჯონსონი-4, სალვადორი-2).

**ანაჰაიმი–ლოს ანჯელესი 3:2**

0:2, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 კალდერი-4 (კამალერი-8, დ. არმსტრონგი-10), 1:2 დ. ბრაუნი-10 (რ. ბლეიკი-6, ვიშნოვსკი-14), 1:2 გეტცლაფი-9 (ბოშემენი-8, შნაიდერი-7), 2:2 გეტცლაფი-10 (ბერტუცი-3, ბოშემენი-9), 3:2 კუნიტცი-8 (ბერტუცი-4, ე. მაკდონალდი-10).

**ვანკუვერი–ჩიკაგო 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბ. მორისონი-7 (სალო-1, ნესლუნდი-10), 2:0 დ. სედინი-9.

### ტურის მოვლენები

- "დალასმა" ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო. ამ სერიის დროს, გუნდმა მხოლოდ 5 შაიბა გაუშვა, რაც ძირითადი მეკარის, **მარტი ტურკოს** დუბლიორის, **მაიკ სმიტის** დამსახურებაა. ამ გოლკიპერმა მოგებული ხუთი მატჩიდან ოთხჯერ დაიცვა "ვარსკვლავების" ღირსება.

- "რეინჯერსმა" ამ მატჩში 41 ზუსტი დარტყმა შეასრულა და აქედან 39 მოიგერია მაიკ სმიტმა.

- მას შემდეგ, რაც "დალასიდან" გაუშვეს პრეზიდენტი **ჯიმ ლაიტსი** და გენერალური მენეჯერი **დუგ არმსტრონგი**, გუნდმა ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოიგო.

- ბოლო პერიოდში, "ვარსკვლავები" ბრწყინვალედ თამაშობენ რიცხობრივი უპირატესობისას. "რეინჯერსთან" მატჩში მათ სამიდან ორჯერ გამოიყენეს ზედმეტი მოთამაშე, ხოლო ბოლო შვიდ ტურში, 21-დან 10 შემთხვევაში შეძლეს გოლის გატანა.

- "რეინჯერსმა" ზედიზედ მეორედ წააგო საკუთარ მოედანზე, არადა მანამდე, ნიუიორკელებს "მედისონ სკვერ გარდენში" ზედიზედ ხუთი მატჩი ჰქონდათ მოგებული.

- მასპინძელთა რიგებში ერთი შაიბა **იარომირ იაგრმა** გაიტანა. ამ გოლამდე, ცნობილი ჩეხი ზედიზედ ხუთი მატჩი ვერ ახერხებდა ქულის მოპოვებას.

■ ■ ■

- "სენტ ლუისის" მეკარემ **მენი ლეგასმა** 24 დარტყმა მოიგერია და 17 თებერვლის შემდეგ პირველი შათაუტი შეასრულა.

- "ბლუზმენებმა" ბოლო შვიდ შეხვედრაში მეექვსე გამარჯვებას მიაღწიეს.

- მასპინძლებმა მეტოქეს მხოლოდ ცხრაჯერ დაარტყმევინეს ზუსტად კარში.

■ ■ ■

- "ანაჰაიმმა" შეწყვიტა ორმატჩიანი წაგებათა სერია.

- "ლოს ანჯელესი" ახლო იყო სტუმრად ზედიზედ მეორე მატჩის მოგებასთან. ასეთი წარმატება ამ კლუბს 2005 წლის დეკემბრის შემდეგ არ ჰქონია.

- "ანაჰაიმის" ფორვარდი **რაიან გეტცლაფი** ზედიზედ 8 მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს ყინულს. ეს ამ ჰოკეისტის კარიერის რეკორდია.

■ ■ ■

- "ვანკუვერის" მეკარემ **რობერტო ლუონგომ** 27 დარტყმა მოიგერია. ეს მისთვის ამ სეზონში მეორე და კარიერაში 34-ე შათაუტი იყო.

- "ვანკუვერმა" ბოლო 10 მატჩში მეშვიდე გამარჯვება იზეიმა.

- "ჩიკაგომ" შეწყვიტა წარმატებული ხუთმატჩიანი სერია, როცა ეს გუნდი მინიმუმ ქულას აგროვებდა შეხვედრაში.



დალასი აღარ ხუმრობს

# კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სქაილზის დედამ კობის გაასწრო

ბოლო "ჩიკაგოს" არ უჩანს საშინელ თამაშს, გუნდის მთავარი მწვრთნელი **სქოტ სქაილზი** კი იხტიბარს არ იტეხს, ყველაფერი გეგმისამებრ მიდის და რომ არა **ლუოლ დენგის** ტრავმა, "ბულზის" საქმეები გაცილებით კარგად იქნებოდაო.

მორიგი ფიასკო ილინოისელებმა "რეპტორზთან" გასვლით ჯახში განიცადეს. არადა, სტუმრებმა მშვენივრად, სროლების მაღალი პროცენტული მაჩვენებლით დაიწყეს მატჩი და პირველი მეოთხედიც ტრავმამოშუშებული დენგით გაძლიერებული "ბულზის" გამარჯვებით დასრულდა.



ლებრონ ჯეიმსი

მერე და მერე კი კანადელთა საოცრად დაბალანსებულმა "ტორონტომ" **კრის ბოშის** სამწამიანში ბატონობითა და ახალბედა **ჯამარიო მუნის** აფეთქებით ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი წინ გავიდა და უკან არც მოუხედავს.

კანადელებს არც ამჯერად ჰყოლიათ ტრავმირებული ძირითადი გამთამაშებელი **ტი. ჯეი. ფორდი**, მაგრამ ბოლო ორ შეხვედრაში იმდენად დიდებულია მისი შემცვლელი **ხოსე კალდერონი**, რომ ფორდის არყოფნაც ნაკლებად იგრძნობა.

დენგმა, რომელიც გუნდს სამი მატჩის გამოტოვების შემდეგ დაუბრუნდა, ჩვეული სტაბილურობით კი მოიმკო ქულა-მოხსნა, მაგრამ სხვებს ამჯერადაც ინერტულობა ეტყობოდათ და ბოლო დეკადის ერთ-ერთმა საუკეთესო მომხსნელ-დამფარებელმა **ბენ უოლასმა** შეხვედრა ოდენ 5 მოხსნით (35 წუთში) დაასრულა.

"ბულზი" ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა და "მაიამისთან" ერთად კვლავ არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ მთელი ლიგის მთავარ იმედგაცრუებად რჩება. მესამე მეოთხედის შუაწელიდან მოყოლებული, ტორონტოში ჩასულმა ჩიკაგოელმა ფანებმა მაგარი სტვენა აუტეხეს სქაილზს და "ლოიალობა" იმით გამოხატეს, რომ წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად ბოლომდე დარჩნენ დარბაზში და სქოტის დედის გინებითაც მაგრად იჯერეს გული.

*"ჩვენ გვსურს გვყავდეს გუნდი, კობი და არა - სქაილზი"* - გამოფინა ერთ-ერთმა ფანმა პოსტერი, "ჩიკაგოში" **კობი ბრაიანტის** გადასვლის საკითხი კი კვლავ აქტუალურია და იქამდე დარჩება დღის წესრიგში, სანამ "ბულზი" კონფერენციის ფსკერს არ მოცილდება.

■ ■ ■

"ინდიანამ" "კლივლენდთან" მესამე მეოთხედში 13-ქულიანი დეფიციტი აღმოხვრა, მაგრადაც იომა, მაგრამ ფენომენალურ ფორმაში მყოფ **ლებრონ ჯეიმსს** საფრენი გზები ვერ გადაუკეტა და მაინც წააგო.

ლებრონმა მიმდინარე რეგულარულში მეოთხე ტრიპლ-დაბლი გამოცხო და ეს კვლავ 30-ქულიანი ზღვარის დაფიქსირებით გააკეთა. ჯეიმსის სასწაულები რომ არა, ახლა სადღაც, 3-4 მოგებით კონფერენციის აუტსაიდერთა შორის იქნებოდა.

"პეისერზმა" **ჯიმ ობრაიენის** თავკაცობით მოუკლო შეცდომებს დაცვაში და შეტევაშიც უფრო დისციპლინირებულია, თუმცა გუნდს მაინც აკლია მთავარი ვარსკვლავი, ფორვარდი **ჯერმეინ ონილი**, რომლის გარეშეც "ინდიანას" სამწამიანის გადაკეტვა უჭირს.

ლებრონს დავუბრუნდეთ. კარიერაში მე-14 სამმაგი დუბლი ჯეიმსმა მასპინძლეთა ყველა პერსონალური მეურვის აბუჩად აგდებითა და მეტოქის ყველა დაცვითი სქემის გავლით დააფიქსირა. ჯეიმსი აგდებდა სამიანებს, ატენიდა ბურთს თავზე მასზე გაცილებით მაღალ მოთამაშეებს და კარგად ისროდა საჯარიმოებსაც.

**სიეტლი–სან ანტონიო 101:116**

30:32, 34:32, 20:27, 17:25

**სიეტლი:** შჩერბიაკი (27 ქ), დიურანი (25 ქ. 6 მ. 4 პ), უილკოქსი (16 ქ).

**სან ანტონიო:** დანკანი (26 ქ. 5 მ. 3 პ. 2 დ), ტ. პარკერი (22 ქ. 7 პ. 5 მ), ჯინობილი (22 ქ), ბონერი (12 ქ. 6 მ), ფინლი (11 ქ).

**ტორონტო–ჩიკაგო 93:78**

26:33, 24:11, 20:20, 23:14

**ტორონტო:** კალდერონი (19 ქ. 14 პ. 2 ჩ), ბოში (16 ქ. 13 მ. 4 პ), მუნი (15 ქ. 9 მ. 6 დ. 3 ჩ), დელფინო (13 ქ. 8 მ).

**ჩიკაგო:** დენგი (21 ქ. 9 მ. 3 პ), გორდონი (17 ქ. 6 პ), ჰაინრიხი (15. 7 პ), ნოჩიონი (11 ქ. 8 მ. 2 დ).

**დეტროიტი–იუტა 93:103**

34:30, 16:27, 19:22, 24:24

**დეტროიტი:** მაკდაიესი (19 ქ. 12 მ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (17 ქ. 7 პ), ბილაპსი (15 ქ. 6 პ), პრინსი (13 ქ. 5 მ), მაქსიელი (11 ქ. 6 მ. 2 დ).

**იუტა:** ბუზერი (36 ქ. 11 მ. 3 პ), დ. უილიამსი (21 ქ. 14 პ. 3 დ), ოქური (12 ქ. 7 მ), კირილენკო (11 ქ. 10 მ. 3 პ), რ. ბრიუერი (11 ქ. 3 ჩ).

**ინდიანა–კლივლენდი 106:111**

25:21, 21:33, 29:19, 31:38

**ინდიანა:** მ. დენიელსი (25 ქ), ტინსლი (24 ქ. 10 პ. 9 მ), გრეინჯერი (21 ქ. 4 მ), ჰარისონი (11 ქ. 7 მ. 2 ჩ), ფოსტერი (9 ქ. 9 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (30 ქ. 11 მ. 10 პ. 4 ჩ), გუდენი (23 ქ. 12 მ), პაველოვიჩი (22 ქ. 5 პ).

**ლეიკერსი–ნიუ ჯერსი 100:102**

26:18, 23:19, 23:35, 28:30

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31 ქ. 7 პ. 4 ჩ), ფიშერი (20 ქ), ოდომი (16 ქ), ბინუმი (12 ქ. 13 მ. 3 ჩ. 3 დ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (27 ქ. 5 მ. 3 ჩ), ვ. კარტერი (19 ქ), კიდი (15 ქ. 14 პ. 7 მ. 2 ჩ), ნახბარი (15 ქ. 2 ჩ).

# TV სპორტი

**27 ნოემბერი. სამშაბათი**

### რუსთავი 2

23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლიონი-ბარსელონა (LIVE).
02:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
03:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სევილია-არსენალი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:30 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:05 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შტუტგარტი-რეინჯერსი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:20 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
09:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:50 სპორტკლუბი.
11:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ატალანტა.
12:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
15:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:20 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
16:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-დორტმუნდი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ეინდჰოვენი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მანჩესტერი-სპორტინგი (LIVE).
01:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შტუტგარტი-რეინჯერსი.
03:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კალგარი (LIVE).
06:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
12:30 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა.
13:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლივერპული-ბეშიქთაში.
15:00 მულტისპორტი.
15:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბარსელონა-რეინჯერსი.
16:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მანჩესტერი-დინამო.
17:45 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა (LIVE).
20:15 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. HS108. ჰინტერცარტენი. გერმანია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან-პრი. HS132. კურშეველი. გერმანია.
22:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-კ. ბერდი (აშშ). ერფურტი. გერმანია.
00:00 პროფესიული კრივი. სუპერმჩატე წონა. ხ. მარკესი (მექსიკა)-რ. ხუარესი (აშშ). ლას ვეგასი. აშშ.
02:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა.
04:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სელიე (სლოვენია)-გუმერსბახი (გერმანია).
14:00 მინი-ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ესპანეთი-იტალია. პორტუგალია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ევროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
17:30 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
19:00 მულტისპორტი.
19:30 პული. ევროპის ტური. შვეიცარია.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. IV ტური. პანელინიოსი (საბერძნეთი)-დინამო (რუსეთი) (LIVE).
23:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. IV ტური. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-ბოლონია (იტალია).
00:30 კარტინგი. ბრაზილია.
01:15 სუპერკროსი. იტალია.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი.
03:30 ახალი ამბები.

## თხილამურებით რბოლა

### მსოფლიო თასი. II ეტაპი

**ბეიტოსტოლენი (ნორვეგია)**

**მამაკაცები**

**15 კმ (თავისუფალი):** 1. **ტაიხმანი** (გერმანია) - 36.31,1; 2. **ბაუერი** (ჩეხეთი) - + 6,3; 3. სიოდერგრენი (შვედეთი) - +13,3.

**4X10 კმ. ესტაფეტა:** 1. **ნორვეგია II** (ჰელსტადი, დალი, გეუსტადი, გლერსენი) - 1:39.47,1; 2. **ნორვეგია I** (ჰიელმესეტი, ეილიფსენი, რენინგი, იერდალენი) - +0,4; 3. **რუსეთი I** (რიოჩევი, პანკრატოვი, ლეგკოვი, დემენტიევი) - +11,0.

**ქალები**

**10 კმ (თავისუფალი):** 1. **ბიორგენი** (ნორვეგია) - 26.16,3; 2. **სკოფტერუდი** (ნორვეგია) - +20,3; 3. **კალა** (შვედეთი) - 21,2.

**4X5 კმ. ესტაფეტა:** 1. **ნორვეგია I** (იაკობსენი, იუჰეუგი, ბიორგენი, შეფტერუდი) - 55.30,7; 2. **გერმანია I** (ცელერი, ბელერი, ზაჰენბაჰერ-შტელე, კიუნცელ-ნიუსტადი) - +8,9; 3. **ფინეთი** (საარინენი, სარასოია, როპონენი, მურანენი) - +13,2.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ინგლისი | |
|---|---|
| **ჩემპიონატი** | |
| ლესტერი–კარდიფი | 0:0 |
| **კონფერენსი** | |
| სტევენეიჯი–ალტრინჩემი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი–მაინცი | 0:0 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| მეხელენი–სერკლი | 2:4 |
| **პორტუგალია** | |
| ბოავიშტა–გიმარაეში | 3:2 |
| **დანია** | |
| ორჰუსი–ნორდსილანდი | გადაიდო |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო–ბანიკი | 3:0 |
| **უნგრეთი** | |
| სოპრონი–მტკ | 0:1 შეწყდა |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა–ჟილინა | 0:1 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| დინამო–ლადა | ო.ტ. 4:3 |
| მედ-ს. იულაევი | 2:7 |
| ლოკომოტივი–სკა | 4:2 |
| სევერსტალი–ხიმიკი | 6:2 |
| აკ ბარსი–ტორპედო | 3:0 |
| ნეფტეხიმიკი–ცსკა | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| მოდო–ტიმრე | 2:0 |
| ჰვ 71–ფროლუნდა | 5:3 |
| ლინჩოპინგი–სოდერტალე | 4:3 |

# სვინდალი და შილდი მეორე რბოლას იგებენ

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ სამთო კურორტებზე – პანორამასა და ლეიკ ლუისში სამთო მოთხილამურეთა სეზონის მორიგი, მეოთხე რბოლები ჩატარდა. ლეიკ ლუისში კაცები ერთმანეთს სუპერგიგანტში შეეჯიბრნენ, მასზე კი ბადალი არ აღმოაჩნდა ნორვეგიელ **აკსელ ლუნდ სვინდალს**, ვისთვისაც ეს ახალ სეზონში მოგებული მეორე რბოლაა. პანორამაში კი ქალებს სლალომის მეორე რბოლა ჰქონდათ, რომელიც, ისევე როგორც პირველი ეტაპი, ავსტრიელი **მარლის შილდის** გამარჯვებით დასრულდა.

სვინდალი სუპერგიგანტის სპეციალისტად არ ითვლება, მაგრამ ამის მიუხედავად, ზორბა ნორვეგიელმა საკმაოდ ადვილად დაჯაბნა ყველა მეტოქე. შეგახსენებთ, რომ მისი სპეციალობა გიგანტური სლალომია, რომლის პირველი ეტაპი, სეზონის პირველი რბოლა, მანვე ავსტრიის ზოლდენში მოიგო. ამგვარად, სვინდალის ანგარიშზე უკვე ორი გამარჯვებაა და აბსოლუტურ ჩათვლაშიც მან ლიდერის პოზიცია დაიბრუნა, რომელიც წინა დღეს, დაშვების შემდეგ, ფინელ **კალე პალანდერს** დაუთმო.

ამჯერად მეორე შედეგს დასჯერდა ავსტრიელი **ბენი რაიხი**, ვისაც ორი წლის წინ, აბსოლუტურ ჩათვლაში, მსოფლიო თასი აქვს მოპოვებული (შარშან ამ თასს სვინდალი დაეუფლა). რაიხმა თითქმის ნახევარი წამი წააგო გამარჯვებულთან. თავად კი 0.16 წამით აჯობა შვეიცარიელ **დიდიე კუშეს**.

ისევე როგორც შარშანდელ სეზონში, წელსაც ბროლის დიდი გლობუსისთვის რაიხი და სვინდალი იბრძოლებენ. თუმცა, თუ ნორვეგიელს ამ სეზონის ოთხიდან ორი რბოლის მოგება შეძლო, რაიხი ამდენივე რბოლაში მხოლოდ ორ (ორივე შემთხვევაში მეორე ადგილს) საკვარცხლბეკე ფინიშს დასჯერდა.

*"ახალ სეზონში მეორე ადგილი მეორედ დავიკავე და ორივე შემთხვევაში, მხოლოდ აკსელთან წავაგე. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ის ჩემზე კარგადაა მომზადებული. მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. წინ გრძელი სეზონი გველის და ბუნებრივია, ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. თუმცა, აკსელის დამარცხება ყოველთვის ძალიან ძნელი იქნება. ის ყველა დისციპლინაში ძალიან ძლიერია და ბუნებრივია, სეზონის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობა მისთვის სერიოზული ფორა იქნება"*, - ნარბოლევს განაცხადა რაიხმა.

თავისი სახელოვანი თანამემამულეების – **ლასე ჩუსისა** და **ჩეტილ ანდრე ომოდტისაგან** განსხვავებით, რომლებიც უფრო ჩქაროსნული დისციპლინების სპეციალისტები იყვნენ, სვინდალი უნივერსალ მოთხილამურედ ჩამოყალიბდა და პრაქტიკულად ყველა ეტაპზე ახერხებს ქულების დაგროვებას. ის ახლა აბსოლუტურ ჩათვლას 234 ქულით ლიდერობს, რაიხი 166 ქულით მეორეა, მესამეზე კი (140 ქულით) პალანდერი იმყოფება.

*"ასეთი კარგი სტარტი გაოცებული სულაც არ ვარ. იმიტომ, რომ სეზონისთვის კარგად მოვემზადე. როგორც ჩანს, ამ სეზონსაც მაღალ დონეზე ჩავატარებ. ახლა ჩემი მიზანი ყოველ რბოლაში გამარჯვებისთვის ბრძოლა იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გლობუსის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებ"*, - ამბობს სვინდალი.

სხვათა შორის, ამ სეზონში, აბსოლუტურ ჩათვლაში პირველობისთვის ბრძოლას ამერიკელი **ბოდე მილერისგანაც** ელოდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, აშშ-ის ნაკრებთან განშორებამ მასზე უარყოფითად იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, ახალ სეზონს ის მოუმზადებელი შეხვდა. დაშვებაში მან სკ- 20 ადგილი დაიკავა, სუპერგიგანტში კი კიდევ ხუთი ადგილით დაბლა გავიდა.

კაცებს მომდევნო ოთხი რბოლა აშშ-ის ბივერ კრიკში ექნებათ.

რაც შეეხება შილდს, მან ამ სეზონში პირველი გამარჯვება შინ, რაიტერალმის ტრასაზე მოიპოვა და ამჯერადაც საუკეთესო იყო. პანორამას ფერდობ "ოლდტაიმერზე" მან კარიერაში მე-15 გამარჯვება მოიპოვა, რითაც აბსოლუტურ კლასიფიკაციაში ლიდერის პოზიცია დაიბრუნა. ორი ცდის ჯამში, მასთან 0.68 წამი წააგო სლალომში ბროლის გლობუსის მფლობელმა, ჩეხმა **სარკა ზაჰრობსკამ**, ვისაც თავის მხრივ, ოდენ 0.01 წამით ჩამორჩა ხორვატი **ანა იელუშიჩი**. მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა ბროლის დიდი გლობუსის შარშანდელი გამარჯვებული, ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპი**, შვედი **ანია პერსონი** კი მეათეზე გავიდა. სხვათა შორის, მეორე ცდაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა შვეიცარიელ **ანიტა კამასტრალს**, ვინც საბოლოოდ მე-11 ადგილს დასჯერდა, ეს კი მის კარიერაში საუკეთესო შედეგია.

*"ვიმედოვნებ, შარშანდელივით, სლალომში ბევრ რბოლას მოვიგებ. შარშანდელზე უკეთ ვარ მომზადებული, თუმცა ამის მიუხედავად, პირველ ცდაზე ზედმეტი რისკის გარეშე ვიასპარეზე, რაც ჩემს შედეგზე უარყოფითად აისახა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ეს ტრასა მეტისმეტად სახიფათოა და არ მსურდა, მცირე შეცდომის გამო საქმე გამეფუჭებინა"*, - განაცხადა შილდმა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



აკსელ ლუნდ სვინდალი

**პანორამა (კანადა).**
ქალები. სლალომი

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1:39.95 (49.68, 50.27); 2. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 1:40.63 (49.87, 50.76); 3. ანა იელუშიჩი (ხორვატია) 1:40.64 (49.86, 50.78); 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:40.82 (50.05, 50.77); 5. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:41.31 (50.51, 50.80); 6. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 1:41.56 (50.42, 51.14); 7. კიარა კოსტაცა (იტალია) 1:41.58 (50.69, 50.89); 8. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 1:41.66 (51.08, 50.58); 9. რეზი შტიგლერი (აშშ) 1:41.68 (50.90, 50.78); 10. ანია პერსონი (შვედეთი) 1:42.19 (51.75, 50.44)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 262; 2. დენიზე კარბონი (იტალია) 209; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 162; 4. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 151; 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 143...

**ლეიკ ლუისი (კანადა).**
კაცები. სუპერგიგანტი

1. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 1:29.19; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:29.63; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:29.79; 4. ანდრეი იერმანი (სლოვენია) 1:29.83; 5. ერიკ გაი (კანადა) 1:29.85; 6. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) 1:29.90; 7. ჯონ კუჩერა (კანადა) 1:29.96; 8. იან ჰუდეცი (კანადა) 1:30.04; 9. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 1:30.16; 10. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 1:30.19...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 234; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 166; 3. კალე პალანდერი (ფინეთი) 140; 4. იან ჰუდეცი (კანადა) 132; 5. დიდიე კუშე (შვეიცარია) 106...



# დეფარი და გაი

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ გასული სეზონის საუკეთესო მძლეოსნებად ამერიკელი სპრინტერი **ტაისონ გაი** და ეთიოპიელი სტაიერი **მესერეტ დეფარი** დაასახელა. სპეციალურ პრიზებთან ერთად, საპატიო წოდების ლაურეატებს ფულადი ჯილდო, თითოეულს 10 000 დოლარის ოდენობით, გადაეცა.

25 წლის გაიმ ოსაკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს სამი მედალი მოიპოვა. აქედან ორს ინდივიდუალურად, 100 და 200 მეტრზე სპრინტში დაეუფლა, ერთს კი - 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. ას მეტრზე სპრინტში, მან ფინიშს 9.85 წამში მიაღწია და მესამე ადგილზე დატოვა მსოფლიოს იამაიკელი რეკორდსმენი **ასაფა პაუელი**. ორას მეტრზე სპრინტში კი მან დისტანცია 19.76 წამში მიაღწია, რაც ამ დისტანციაზე ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგია.


ტაისონ გაი და მესერეტ დეფარი

ამ შედეგით, მან მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი ჩამოართვა ლეგენდარულ **მაიკლ ჯონსონს**, ვინც ახლაც ამ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენია. დაკიდევ, გაი სულ მეოთხე მძლეოსანია, ვინც მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე ოქროს სამი მედლის მოპოვება შეძლო.

24 წლის დეფარმა ოსაკამდე, ოქროს ლიგის ოსლოს შეხვედრაზე, 5 000 მეტრზე სირბილში მსოფლიოს თავისივე რეკორდი რვა წამით გააუმჯობესა (14 წუთი და 16.63 წამი). ოსაკაში კი ამავე დისტანციაზე მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ ამ დისტანციაზე მას ოლიმპიური ოქროც (ათენში) აქვს მოგებული. გასულ სეზონშივე, დეფარმა მსოფლიოს რეკორდი ორჯერ გააუმჯობესა ორმილიან (3.2 კმ) დისტანციაზე. გარდა ამისა, მსოფლიო რეკორდი (8:23.72) დაამყარა 3 000 მეტრზე ჭერქვეშ ასპარეზობისას. სწორედ ამ რეკორდების წყალობით, სეზონის საუკეთესო მძლეოსნის წოდებისთვის ბრძოლაში აჯობა მან ამერიკელ **ელისონ ფელიქსს**, რომელმაც ოსაკაში ოქროს სამი მედლის მოპოვება შეძლო.

*"სიტყვები არ მყოფნის იმის გამოსახატავად, თუ რამდენად ბედნიერი ვარ. ეს აღიარება ამ სეზონში მიღწეულ გამარჯვებათა შესაფერი დაგვირგვინებაა. ყველაფერს ვიღონებ, რათა მომდევნო, ოლიმპიური სეზონიც მსგავსი მიღწევებით დავამთავრო"*, - განაცხადა ეთიოპიელმა, ვინც თავისი აღიარება ეთიოპიელ მძლეოსან ქალებს მიუძღვნა.

პაუელმა და ხორვატმა სიმაღლეზე მხტომელმა **ბლანკა ვლასიჩმა** სეზონის ყველაზე გამორჩეული გამოსვლებისთვის მიიღეს ჯილდოები. პაუელმა ას მეტრზე მსოფლიოს ახალი რეკორდი (9.74 წამი) დაამყარა, ვლასიჩმა კი 19-დან 18 ტურნირი მოიგო და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ერთხელ 2.07 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, რითაც ყველა დროის მესამე საუკეთესო შედეგი გაიმეორა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**





არსლანი (მარჯვნივ) ჰილს უტევს

# ჰილმა ტიტული დაკარგა

ᲓᲠᲔᲖᲓᲔᲜᲨᲘ გამართულ, ეგრეთ წოდებული კრეისერის, ანუ მძიმე წონის სატიტულო ბრძოლაში, თურქული წარმოშობის **ფირატ არსლანმა** ქულებით მოუგო ამერიკელ **ვირჯილ ჰილს** და მას WBA-ის ჩემპიონის სარტყელი ჩამოართვა.

არსლანმა თითქმის მთელი ბრძოლა შეტევაში გაატარა. ჰილი კი ამაოდ ცდილობდა მისი მუშტების მოგერიებას, თუმცა ბოლომდე გაუძლო შეტევებს. მას განსაკუთრებით ბოლო რაუნდებში გაუჭირდა. არსლანმა 43 წლის ამერიკელს მეცხრე და მეათე რაუნდებში თავისი ცაცია ჰუკით შავი დღე აყარა, რითაც პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდევ შეხვედრის ბედი. საბოლოოდ, სამივე მსაჯმა პრეტენდენტის აშკარა უპირატესობა (118-110, 116-113 და 117-111) დააფიქსირა.

ჰილი (50-7, 23 ნოკაუტი) მსოფლიოს ჩემპიონი (WBA-ის ვერსიით) პირველად ოცი წლის წინ, ქვემძიმე წონაში გახდა მას შემდეგ, რაც ნოკაუტი აგემა **ლესლი სტიუარტს**. ამ ოცი წლის განმავლობაში ის ორ-ორჯერ ფლობდა ქვემძიმე და კრეისერის წონებში მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. აქედან ქვემძიმეში ტიტულს ათი წელი არავის უთმობდა. სულ კი 29 სატიტულო ბრძოლა ჩაუტარებია. ისიც სათქმელია, რომ არსლანამდე ბოლო სამი ბრძოლიდან ორი წაგებული ჰქონდა.

მორიგი წაგების შემდეგ, ჰილი პროფესიული კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა. *"ამ ბრძოლისთვის დიდი მონდომებით მოვემზადე. თითქოს, კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ რინგზე სულ სხვაგვარად გამოჩნდა. მოკლედ, ახლა მოსაფიქრებელი მაქვს, რას ვაპირებ შემდეგში. იქნებ, უმჯობესი იქნება, თუ რინგს დავტოვებ"*, - განაცხადა ამერიკელმა, ვინც WBA-ის ვერსიით მუდმივი ჩემპიონის წოდებას ფლობდა, ამავე ვერსიით კი ეგრეთ წოდებული გაერთიანებული ჩემპიონის წოდებას ბრიტანელი **დევიდ ჰეი** ფლობს, ვინც იმავდროულად, WBC-ს ჩემპიონიცაა.

თუ ჰილისთვის ეს მორიგი სატიტულო ბრძოლა იყო, 37 წლის არსლანმა (28-3-1, 18 ნოკაუტი), ვისაც პირველად მოკრივის ხელთათმანი 18 წლისას ჩაუცვამს, საჩემპიონო ქამრისთვის პირველად იბროლა. მან სწორედ მეცხრე და მეათე რაუნდებში მიიმხრო სამივე მსაჯი. თურქმა ამ რაუნდებში მეტოქეს ხელის განძრევის საშუალებაც არ მისცა, თავად კი მუშტების სეტყვა არ მოაკლო მის თავს.

*"ამ შანსს ოცი წელი ველოდი. ხშირად, ყველაფერი ისე არ მიდიოდა, როგორც მსურდა, მაგრამ მოთმინებამ ბევრი პრობლემა გადამალახინა და ბოლოსდაბოლოს, ჩემპიონიც გავხდი"*, - განაცხადა არსლანმა.

ჰილის და არსლანის ბრძოლის ანდერქარდზე, WBO-ის ვერსიით ქვემძიმე წონის ჩემპიონმა, უნგრელმა **ზოლტ ერდეიმ** (28-0, 17 ნოკაუტი) ზედიზედ მეცხრედ დაიცვა თავისი ტიტული. მან ქულებით, მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით აჯობა პანამელ **ტიტო მენდოსას**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნიფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით ქოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძნთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ძეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა